

# ლიტერატურული გაზეთი

№11 (219) 1 - 14 ივნისი 2018

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

## ლია სტურუა

\*\*\*

შენ ხარ ვენახი!  
 ლარზე გაჭიმული სქოლიოზი —  
 ერთი შექტარი ტკვილი!  
 აქ სულ დღის 3 საათია,  
 როცა მზეს და ვენახს  
 უყვართ ერთმანეთი, ისე ცხარედ,  
 რომ არავითარი გამზავებელი სიტკბო!  
 სოფიტების და პროუექტორების  
 წარმატებული ნაშთი,  
 არავითარი კანონი! მაგრამ  
 ლიტერატურის თეორიას რა წაღეკავს?  
 არ იძირება, ქვეტექსტი არ აქვს...  
 ამ ვენახის ნაწყვეტი თუ ვარ,  
 რომლის ბოლოშიც ძახილის ნიშანი,  
 ჩემი კაციც, როცა სული მაღლა ასდის,  
 მზის თავგადასავლებში მონანილეობს,  
 ე.ი. ისევ ვყავართ ერთმანეთს,  
 ბრინჯაოსაც  
 ისევ მაღალი ტემპერატურა აქვს  
 და ამ ამოებაში  
 შვილების გაჩენის სურვილი,  
 იქნებ, რამდენი ხორციც მაკლდება  
 კანონებთან ომში, იმდენივე შუქს ვჭამ?  
 შეუძლებლობის ფორმულა!  
 ეკიდოს ასე ჰაერში, დაინახონ!

IV-V



თბილისის საერთაშორისო  
 ლიტერატურული ფესტივალი  
 THE 4<sup>th</sup> TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF LITERATURE

II-III

## ეთერ თათარაიძე

\*\*\*

ჩემზე ნურაფერს ნუ იტყვ,  
სანამ ჩემ ლექსს არ გი'ცნობ...

\*\*\*

რა'ს სუნსულებ, ნიავო,  
ნაშალ ციხეს მხვევარე  
ბალახ-ბულახებში.

სი მიზძვრებ,  
რა'ს იკვლევ მანდ,  
ნაჯინჭრ-ბურახებში...

რა'ს საქმე გაქვ,  
რა'ს დაზძვრებ  
ეხებ-ბუნაგებში...

სახლ არ გაქვა, ნიავო?

VIII-IX

## დიანა ანფიმიადი

სალამო

„სალამოს სალამო მოვა...“  
გიორგი

სალამოს სალამო მოვა —  
 ამბობს პატარა ბიჭი,  
 ათას უსარგებლო წვრილმანს  
 ამოყრის ქურთუკის ჯიბიდან.  
 წვნიანში შეცურავს გემით,  
 ორ კოვზში შეხვრიბა გემო,  
 სულ ცოტა შიმშილის ხათრით,  
 რალაც აუხსნელი ჯიბრითაც.  
 სალამოს სალამო მოვა,  
 სალამოს გავშალოთ ლოტო,  
 ახლა კი რვეულის ბადიდან  
 გამოვხსნათ წითელი თევზები,

თორმეტს მივუმატოთ ხუთი,  
 ნუ დახრი, გამართე ნაწერი!  
 ბიჭი კი საფიქრალს მისდევს —  
 — დე, აიანტი თუ თეზესი?  
 სალამოს სალამო მოდის,  
 როგორც შემთხვევითი მგზავრი  
 ან მოხეტიალე ცირკი  
 ან მოსალოდნელი სტუმარი,  
 რთავს ხმაურს — სიცოცხლის მუსიკას,  
 და სუნთქვას იჩერებს სრულებით,  
 რადგანაც ოთახის კუთხეში —  
 ჩრდილებით თამაშობს ბიჭი,  
 ჩრდილებით თამაშობს ბიჭი  
 და — დავიწყებულთა სულებით.

IX

14 მაისი

მაჩაბლის ქუჩაზე, მწერალთა სახლის სააქტო დარბაზში, მწერალთა სახლის დირექტორმა ნატა ლომოურმა სახეიმოდ გახსნა ფესტივალი. სტუმრებს მიესალმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველი ქეთევან დუმბაძე, რომელმაც მოკლედ მოუთხრო აუდიტორიას ფესტივალის სტუმრების ორდინიან მოგზაურობაზე სვანეთში, სადაც იტალიელმა და ქართველმა ავტორებმა „ვორქ-შოპი“ გამართეს. მასპინძელმა მწერლებმა, ნუნუ გელაძის პნკარედების დახმარებით, თარგმნეს იტალიელი პოეტების ლექსები და აქტიური შემოქმედებით პროცესისა და დროის სიმცირის მიუხედავად, მესტიის, უშგულისა და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილის დათვალიერებაც მოასწრეს.

სტუმრებს მიესალმა ფესტივალის კონსულტანტი და საორგანიზაციო ჯგუფის წევრი შოთა იათაშვილი, რომელმაც, ასევე, ისაუბრა ღონისძიებაზე მონვეულ აზერბაიჯანელ პოეტ მურად კოჰნეკალას არჩამოსვლის საგარეუდო პოლიტიკურ მიზეზებზე და საზოგადოებას გააცნო ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ მომზადებული პეტიცია, რომელიც აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან თავისუფალ შემოქმედთა შევიწროებასა და მათ წინააღმდეგ განხორციელებულ ცენზურას შეეხებოდა. სამუხარაო, რომ წლევანდელ ფესტივალზე თავდაპირველად მონვეულმა აზერბაიჯანელმა ავტორმა რასიმ გარაჯამაც თბილისში გამოგზავრების წინ შეიტყო, ქვეყნიდან გაუსვლელობის სტატუსის გამო ვერ გადმოლახავდა საზღვარს.

საზეიმო და, ამავდროულად, საქმიანი მისალმების შემდეგ ფესტივალი გახსნილად გამოცხადდა და პირველები აუდიტორიის წინაშე იტალიელი პოეტები წარდგინეს. თუმცა მანამდე იტალიის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ანტონიო ენრიკო ბარტოლიმ ისაუბრა, რამდენად მნიშვნელოვანია მსგავსი ღონისძიებების გამართვა და რამდენად აახლოებს ლიტერატურა ხალხებსა და სახელმწიფოებს. ბატონმა ელჩმა დიდი მადლიერება გამოხატა იტალიაში მცხოვრები მთარგმნელის, ნუნუ გელაძის მიმართ, რომელიც ორი ქვეყნის კულტურული ურთიერთობების განსამტკიცებლად ძალისხმევას არ იშურებს და, ამ თვალსაზრისით, კულტურის ნამდვილი დესპანია.

პირველი ავტორი, რომელიც ნუნუ გელაძემ გაგვაცნო, მილო დე ანჯელისი იყო — პოეტი დიდი შინაგანი გამოცდილებითა და ღრმა ხედვით. იგი მილანში დაიბადა, დღემდე იქ ცხოვრობს, წერს ლექსებს, თარგმნის, აქვეყნებს კრიტიკულ წერილებს და ასწავლის ლიტერატურას მკაცრი რეჟიმის კოლონიისაში. ჯერ ავტორმა ნაიკითხა რამდენიმე ლექსი იტალიურად, შემდეგ გიორგი ლობჯანიძემ — ქართული თარგმანი. მკითხველს მილო დე ანჯელისზე მისი მეუღლის, ვივიანა ნიკოდემოს, მიერ გადაღებული ფილმის ნახვაც ელოდა.

ახალგაზრდა პოეტი დომენიკო ბრანკალე, ამავც დროს, პერფომერი და გალერისტი. კურიერებს გამომცემლობა „ეფიჯეს“ საზღვარგარეთის პოეზიის განყოფილებას, თანამშრომლობს ვენეციის ერთ-ერთ ცნობილ სამხატვრო გალერეასთან, რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია, შარშან ზღაპარიც გამოსცა — „ორი გოგონა“ — ვირჯინია მორის ილუსტრაციებით. ხშირად ლექსებს ერთ-ერთ იტალიურ დიალექტზე წერს და შემდეგ თვითონვე თარგმნის იტალიურად. მისი ნაწარმოებები ნიკა ჯორჯანელმა გადმოაქართულა და წაგვიკითხა. შოთა იათაშვილმა კი ფრანჩესკო იანონეს პოეზია გაგვაცნო.

ძალიან საინტერესო იყო ფესტივალის ძველი მეგობრის, მისი ერთ-ერთი პირველი მონაწილის, კლაუდიო პოცანის პოეტური პერფორმანსი და ნუნუ გელაძის არანაკლებ ემოციური თარგმანების მოსმენა.

რეზო კიკნაძისა და მისი ჯაზ-ბენდის შესანიშნავი კომპოზიციების სმენაში 10-წუთიანი შესვენება ალბათ მეტხანს გაგრძელდებოდა, რომ არა ფესტივალის კოორდინატორის მონაწილეობა, მსურველები დაბრუნებულიყვნენ სააქტო დარბაზში, სადაც ნორვეგიულ საბავშვო მწერალ არნე სვინგენთან შეხვედრა ელოდათ.

თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი 14 მაისს მეოთხედ გაიხსნა. ფესტივალის ორგანიზატორი საქართველოს მწერალთა სახლია, ხოლო მთავარი ფინანსური მხარდაჭერები კულტურისა და სპორტის სამინისტრო და თბილისის მერია არიან.

ფესტივალი ყოველწლიურად სულ უფრო ფართოვდება, მეტად წარმომადგენლობითი და საინტერესოა, მისი პროგრამა კი — მრავალფეროვანი. ყველა ელოდება ამ ლიტერატურულ ზეიმს, თბილისში ჩამოდიან სტუმრები, უცხოელი ავტორები — ყოველწლიურად სულ უფრო მეტი — ემზადებიან ქართველი მწერლებიც, ითარგმნება ტექსტები, იგეგმება სხვადასხვა ღონისძიება, შეხვედრა, პრეზენტაცია, მკითხველები ელიან ახალ ლიტერატურულ შთაბეჭდილებებს, ახალი ავტორების გაცნობას, ძველების ხილვას, მოსმენას, ირგვლივ რაღაც განსაკუთრებული განწყობა სუფევს და ასე, საზეიმო ფუსფუსში, ახლოვდება ფესტივალის გახსნის დღე.

მრავალ ენაზე ამატყვებელი მაისი

14.05.2018 - 19.05.2018



არნე სვინგენი ოსლოში დაიბადა და დღეს მის სამშობლოში საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ავტორად მიიჩნევა. თუმცა მას დაწერილი აქვს რამდენიმე რომანიც უფროსებისთვის. საერთაშორისო აღიარება კი მოუტანა ნაწარმოებმა „ბალადა გატეხილ ცხვირზე“, რომელიც 2012 წელს გამოვიდა და მალევე თოთხმეტ ენაზე ითარგმნა, მათ შორის —

ქართულად. შეხვედრის მოდერატორი იყო ლუკა გრიგოლია, რომელმაც საუბარი სწორედ ამ წიგნით დაიწყო და, ზოგადად, საბავშვო მწერლობის სპეციფიკაზე დაუწავა ავტორს პირველი კითხვები. გარეთ კი სულ უფრო მეტი ხალხი გროვდებოდა ძველ საყვარელ პოეტურ გაერთიანება „რეაქტიული კლუბის“ წევრებთან შესახვედრად. იქვე გადიოდა „კლუბის“ ისტორიის ამსახველი ვიდეოკადრები.



პოეზიის ღამე საღამოს 9-ისთვის დაიწყო „რეაქტიული კლუბის“ წევრთა ლექსებით, ჯაზით, ღვინით...

15 მაისი

ფესტივალის მეორე დღეს, 12 საათზე, უკრაინისტიკის ინსტიტუტი პოეტ ჰალინა კრუკს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-5 კორპუსში შეხვდა. ჰალინა ლვოვიდანაა, გამოცემული აქვს ოთხი პოეტური კრებული, წერს საბავშვო წიგნებს და აქვეყნებს ნაწარმოებებს სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალში. მისი წიგნები მრავალ ენაზეა თარგმნილი. საბავშვო მწერლებს სააქტო დარბაზი დაეთმო მწერალთა სახლშიც, 3 საათზე იქ არნე სვინგენი და ქართველი ავტორი ვასილ გულეური შეხვედრენ ახალგაზრდა მკითხველს. საღამოს ფესტივალის მონაწილეებმა ერთდროულად რამდენიმე დარბაზი დაიკავეს. კავკასიურ სახლში მურად კოჰნეკალას საღამო პოეტის გარეშე გაიმართა, ღონისძიებას გაუძღვა ოქტაი ქაზუმოვი, მან აზერბაიჯანელი პოეტის ლექსები ჯერ მის მშობლიურ ენაზე, ხოლო შემდეგ ქართულად წაიკითხა. საღამო კი შოთა იათაშვილის გამოსვლით დაიწყო, მან კიდევ ერთხელ გააცნო დამსწრე საზოგადოებას ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ მომზადებული პეტიციის ტექსტი, იოქტაი ქაზუმოვმა კი მურად კოჰნეკალას მიერ საგანგებოდ გამოგზავნილი წერილი წაიკითხა — პოეტს საღამოს უთვლიდა ფესტივალის მონაწილეებს, სტუმრებს, ყვებოდა მისი არჩამოსვლის მიზეზებზე და გამოთქვამდა თბილისელ მკითხველთან მომავალში შეხვედრის იმედს.

იმავც საათებში მწერალთა სახლის ბიბლიოთეკა მასპინძლობდა სომეხ პოეტს, ესეისტსა და პუბლიცისტს, ოთხი კრებულის ავტორს, მარინე პეტროსიანს, ხოლო სააქტო დარბაზში ქეთი დუმბაძემ აუდიტორიას წარუდგინა პოეტი ლალი ციპი მისხელი და მისი კრებული „50 ლექსი“ ქართულ ენაზე, რომელიც „ნოდარ დუმბაძის გამომცემლობამ“ გამოსცა. ლალი ციპი საქართველოში დაიბადა და შვიდი წლისა მშობლებთან ერთად ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად. დღეს ის ბენ გურიონის უნივერსიტეტის პროფესორი და ხუთი პოეტური კრებულის ავტორია. გასაკვირი არ არის, რომ პრეზენტაციას განსაკუთრებული ემოცია ახლდა თან.

მკითხველის ნაწილი ამ დროს ილიაუნში, წიგნის მალაზია „ლიგამუსის“ მეორე სართულზე ელოდა საყვარელ ავტორს ვიქტორ ეროფეევს. შეხვედრა 8 საათისთვის დაიწყო. მას უძღვევოდნენ მწერალი დათო ტყარაშვილი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბელა ნიფური. ორივე მოკლედ შეეხო მწერლის მდიდარ შემოქმედებას და განსაკუთრებით აღნიშნა მისი წიგნი „კარგი სტალინი“, რომელიც ქართულად დაგვიანებით ითარგმნა (მას შერე, რაც წიგნი 47 ენაზე გამოიცა). ვიქტორ ეროფეევი შესანიშნავი მთხრობელია, საუბარი დაიწყო იმით, თუ როგორ და რატომ დაინერა ეს წიგნი. მან მსმენელის თვალწინ გააცოცხლა საბჭოთა ეპოქა და გასული საუკუნეების 30-იანი წლები და მოკლედ მოგვითხრო მამამისზე, შეიძლება ითქვას, მისი წიგნის მთავარ გმირზე, რომელიც 24 წლისა აღმოჩნდა კრემლში და წლების განმავლობაში ბელადის პირადი თარგმანი იყო. ამის შემდეგაც მალალი თანამდებობები ეკავა, საბჭოთა დიპლომატიის საუკეთესო წარმომადგენლად მიიჩნეოდა და ცხოვრობდა ფუფუნებაში. ერთ მშვენიერ დღეს კი ყველაფერი დაკარგა, რადგან მისმა ვაჟმა, ვიქტორ ეროფეევმა, ანტისაბჭოთა ნაწარმოებების წერა დაიწყო (თუმცა კი არავინ უბეჭდავდა) და ბოლოს იმით დაამთავრა, რომ მწერალთა კავშირიდან გარიცხეს. თუმცა, ეს ბოლო კი არა, დასაწყისი აღმოჩნდა, საზარელი დევნის დასაწყისი... როგორც მოდერატორებმა თქვეს, „კარგი სტალინი“ ერთ-ერთი ყველაზე უფრო გულწრფელი წიგნია, რაც კი წაუკითხავთ.

ამასობაში პოეტი ნიდერლანდებიდან ტონუს ოსტერჰოფი მწერალთა სახლში ხვდებოდა მკითხველს. მის საღამოს ზვიად რატინი გაუძღვა. საზოგადოებას საშუალება ჰქონდა მოესმინა ადამიანისთვის, რომელიც „ლექსები მოძრაობაში“ ჟანრის პიონერად მიიჩნევა და მრავალი



ლიტერატურული ჯილდოს მფლობელიცაა. ზვიად რატიანმა უცხოელი სტუმრის ლექსები ქართულად წაიკითხა.

შემდეგ კი იმავე დარბაზში პაატა შამუგიამ უმასპინძლა პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორს, ამერიკის ხელოვნებისა და მეცნიერებათა აკადემიის სწავლულს, მრავალი წიგნის ავტორს, ნიუ-იორკელ პოეტსა და ესეისტ ჩარლზ ბერსტაინს.

ფესტივალის მეორე დღე დაასრულა პოეტური გაერთიანების — „ქრონოფაგები — ანომალიური პოეზია“ — რეტროსპექტივამ, რაც არა მხოლოდ მოსასმენად, არამედ სანახავადაც ძალზე შთაბეჭდავი აღმოჩნდა...



16 მაისი

სალამოს 5 საათისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეხუთე კოსრბუსში 313-ე აუდიტორიის კარი ესპანელ პოეტ იოლანდა კასტანიოსა და ესპანური კათედრის სტუდენტებისთვის გაიღო. იოლანდა ესპანური ფილოლოგიის დოქტორი და აუდიოვიზუალური ხელოვნების სპეციალისტია. 2009 წლიდან დღემდე ექვსი პოეტური კრებული გამოსცა და არაერთი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელია.



კავკასიური სახლის ეზოში კი ეგვიპტელ პოეტ ნაბილ აბუ ზურკათინს უმასპინძლეს. სალამო მელიორდო არაბულ ენაზე წარმოთქმულმა ლექსებმა დაამშვენა, შესანიშნავი თარგმანებს ქართულ ენაზე გიორგი ლობჯანიძე კითხულობდა. ის ძალზე საინტერესოდ გაუძღვა სალამოს, ისაუბრა პოეტის შემოქმედებასა და ცხოვრებაზე.

პარალელურად მწერალთა სახლის სააქტო დარბაზში უკრაინელ პოეტსა და მთარგმნელს, გალინა კრუკს ხვდებოდნენ. შეხვედრის მოდერატორი შოთა იათაშვილი იყო.



საზოგადოება მოუთმენლად ელოდა დისკუსიას თემაზე „ენა ვირუსია“, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩარლზ ბერსტაინი, ტონუს ოსტერპოფი, ბარბარა პოგანჩიკი, იულია ფიედორჩუკი და ზვიად რატიანი. დისკუსიას პაატა შამუგია გაუძღვა. ავტორებმა ძალზე საინტერესოდ შეიძლება ითქვას, სახალისოდაც, განავითარეს დისკუსიის თემა, საკუთარი მწერლური გამოცდილება გაუზიარეს დამსწრეთ და სხვა „დავირუსებულ“ ავტორებიც გაიხსენეს.

გერმანელი პოეტი რონ ვინკლერი და ავსტრიელი ჰელმუტ ა. ნიდერლე წარუდგინა მკითხველს მთარგმნელმა თამარ კოტირაძემ. სალამოზე წაიკითხეს ლექსები გერმანულად და შემდეგ — ქართული თარგმანები გააჟღერეს. ისაუბრეს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებზე გერმანიასა და ავსტრიაში.

მოგვიანებით ისევ გაივსო სააქტო დარბაზი — გაიმართა შეხვედრა ვიქტორ ეროფეევთან და მისი წიგნის — „კარგი სტალინი“ — პრეზენტაციაც შედგა. ამჯერად სალამოს ლევან ბერძენიშვილი გაუძღვა.

ფესტივალის მესამე დღე კიდევ ერთი პოეტური გაერთიანების რეტროსპექტივით დასრულდა. მწერალთა სახლის ეზოში შეკრებილთა წინაშე „ბებერი პოეტების ორდენი“ წარდგა...

17 მაისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფესტივალის მონაწილეს კიდევ ერთხელ უმასპინძლა. ამჯერად ილიაუნს ავსტრიელი მწერალი, მთარგმნელი და გამომცემელი ჰელმუტ ნიდერლე ესტუმრა. ავტორი და მისი შემოქმედება სტუდენტებსა და პედაგოგებს მანანა პაიჭაძემ გააცნო.

მწერალთა სახლში კი ესპანური პოეზიის შესანიშნავი სალამო გაიმართა. იოლანდა კასტანიომ აუდიტორიას თავისი ლექსები წაუკითხა და აუდიოვიზუალური ხელოვნების ნაწარმოებზე წარმოუდგინა. პოეტის ლექსების ქართულ თარგმანს გიორგი ლობჯანიძე კითხულობდა. სალამოს მოდერატორმა გურანდა ფაჩუღლიამ კი ბრაზილიელი პოეტი ნილსონ მუნისი „ამეტყველა“ ქართულად.

შემდეგ კიდევ ერთი დისკუსია გაიმართა მწერალთა სახლის აღმოსავლურ ოთახში. თემა გახლდათ „ლიტერატურა პოსტკოლონიურ სივრცეში“, რაც ვიქტორ ეროფეევმა, ანდრეი ხადანოვიჩმა, მიჰალ ჰავერანმა, მარინე პეტროსიანმა და ზურაბ ქარუმიძემ განიხილეს. შეიძლება ითქვას, რომ დისკუსიამ ორი დღის წინ გამართული საუბრების თემაც — „ენა ვირუსია“ — თავისთავად მოიცვა. თითოეული მონაწილე ყვებოდა პოსტსაბჭოთა რეალობაში საკუთარ მწერლურ გამოცდილებაზე და, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მათგანი ამ რეალობის ნაწილია, გამოცდილება და საკითხის მიმართ დამოკიდებულება აბსოლუტურად განსხვავებული აღმოაჩნდათ, ამან კიდევ უფრო საინტერესო გახადა შეხვედრა და დისკუსია ძალზე გააცოცხლა.

ბარბარა პოგანჩიკი სლოვენიიდან საზოგადოებას გააცნო დალილა გოგამი. შემდეგ პოლონელი პოეტების სალამოზე შეიკრიბა ხალხი — ბარბარა კლიცკა და იულია ფიედორჩუკის პოეზია ზვიად რატიანმა ამეტყველა ქართულად. ფესტივალის მეოთხე დღე პოეტური გაერთიანების რეტროსპექტივით დასრულდა. 2005-ში შექმნილმა „ლაბორატორიამ“ დაადასტურა, რომ ისინი პაციენტები არიან, ექიმებისგან გათავისუფლებულ ლაბორატორიას დაეფლენ და „სამყაროს აღსასრულამდე“ არ აპირებენ მის დათმობას.



18 მაისი

ფესტივალის სამუშაო დღე პოეზიით დაიწყო და პოეზიით დასრულდა. ზურა რთველიაშვილი და პერ სანსონი — პოეტები შევედითიდან მწერალთა სახლის სააქტო დარბაზში მასპინძლობდნენ მკითხველს. ამ ძალზე საინტერესო და ემოციურ სალამოს დავით გაბუნია გაუძღვა. კავკასიური სახლის ეზოში კი ლატვიელი პოეტის სემიონ ხანინის შემოქმედების მოყვარულები შეიკრიბნენ, სადაც დავით ჩიხლაძემ ილაპარაკა ხანინის შემოქმედებაზე, მისი ლექსების პოეტიკასა და თარგმნის პროცესზე. გაიმართა პოეტური კრებულის — „მაგრამ არა მათ“ — პრეზენტაცია.



ცია. სლოვაკ მიხალ ჰავერანს კი მწერალთა სახლში შეხვედნენ, პაატა შამუგია მოდერატორობდა სალამოს და ავტორის ლექსებს ქართულად უკითხავდა დამსწრეთ. მოგვიანებით პოეტური გაერთიანება „ვარდისფერი ავტობუსის“ რეტროსპექტივა შედგა და 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში წარმოქმნილმა არტ-კომეტამ იქვე, ეზოში, ყველას თვალწინ კიდევ ერთხელ გაიელვა.

ფესტივალის დაასრულა ღვინისა და პოეზიის სალამო In Vino Veritas, რომელშიც ფესტივალის ყველა სტუმარი მონაწილეობდა...




19 მაისი

პირველად თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ისტორიაში პროექტი გასცდა დედაქალაქის საზღვრებს. მონაწილეებს კახეთმა უმასპინძლა და ერთკვირიანი ლიტერატურული დღესასწაული თელავის ისტორიულ მუზეუმში დაგვირგვინდა. დასრულდა ლიტერატურული კვირა, მრავალ ენაზე ამეტყველებული მაისიც მიიწურა. ფესტივალს მომავალ შეხვედრამდე ვეგემილობებით!..

მომავალ თამარ ჟურნალზე





სულხან საბა ორბელიანი

რა შეუძლიათ ნაილონ ჩემგან?
სულხან საბას ლექსიკონი,
დაობებული ძეხვი, ბალახის ქოჩორი
ნითელ მინაზე — უიღბლო მეტაფორა
ჩემი დეკადენტური ნარსულიდან
და, ვითომ, რეალისტი ორბელიანი?
სურნელოვანი, გლამურული ლუდოვიკოები
რომ ჩაიძვრინა ქართულ ტვინში,
დაგრეხილში, რომელიც ლექსიკონს
ლექსიკით აწერინებს, თანხმობების მუსიკა,
უკვე, ატონალური, ჯერ არავერობული,
სადაც კლავესინები — სპილოს ძვლის ინცესტი
ნიჭიერ ისტერიკასთან, ისეთ შვილს აჩენენ,
ნაბიჭვარს ვერ დაარქმევ, ენა არ მოგიბრუნდება,
ვერც ტვინს დააბრალე უმოქმედობას,
სანამ სიფილისის ჭია არ შესჩენია,
ნატიფი თავებიდან პეპლები ისედაც მოფრინავენ...
ხომ არ გეუცხოება ეს პეპლები,
რიყის ქვებთან შედარებით,
ჩემო მონყენილო ორბელიანი?
რუსთაველი უკვე იყო,
ვაჟა ჯერ არ მოსულა, მაგრამ
შენც ხომ იცი, რა მძიმედ ფიქრობს ქვა?
კურტუაზიული პოეზია მისი საქმე არაა,
გაუშვი, გლანძღონ, წვერებით გათრიონ,
რუსთაველზე გააყიდონ მშვიერმა პოეტებმა
შურიანებმა? (მუსიკა ერთი, აზრი უკულმა)
ეს მუსიკა რომ დაუტოვო
და რომელიმე ივანე ჩატენო,
რაც ყველაზე კარგად გამოგდის
და ახლა ეროვნული მარშრუტი ევინროვოთ?
შენუხებული სახე დადე ქვის პიედესტალზე!
გიყურონ და უკვირდეთ საკუთარ თავში
ამდენი სულხან საბა ორბელიანი,
ან უხაროდეთ!

ლურსმანი ნარტილივით

ცხოვრება მიდის ომებში
კითხვა-პასუხის რეჟიმში
შეკითხვაზე: — ვის ვახსოვარ ტკბილად?
ჩავიჭრები
ჩრდილოეთის ყინულოვანი ლოგინი,
უმუხტო დიეტა...
როცა დღეს კილოვატსაათებით ვზომავდი,
ელექტრობა თავზე რაღაც მოშარავანდედოს
მახურავდა და მხედავდნენ
მსუბუქად დამუხტულები,
ალტაცება ვერბალური ჰქონდათ,
ზუსტად საჩემო, მათ არაფერს არ ავალბდათ,
მოდოდნენ, მიდიოდნენ...
რა შუქი იდგა!
რამდენი ზაფხული შეიძლებოდა აქედან!
კაცების რელიეფური რუკა,
ზედ აღნიშნული ცხელი ნერტილებით,
ქალების მუხტებიანი კოლაჟი —
ეპოსი, ტილო, მასშტაბი!
და სანყალი, ყოველდღიური თავი,
კისერზე ლურსმნებით დამაგრებული,
ასსანთლიანი ნათურასავით, ვნერ, ვკითხულობ
კიდევ კარგი, თავი მწითური მაქვს!
ისიც ხომ ვიცი:
აქედან ერთი ლურსმანიც რომ ამოვიღო,
მაშინვე მოვკვდები...

„ზე“ თანდებული

ყოყმანის ჭია —
არც ვარდისფერი, ატმის მატლივით,
არც პეპლების ამომგდები
აბრეშუმის პირიდან, მუდმივი და მშვიერი,
თუ ღმერთს ვუყვარვარ!
რა უნდა ვაჭამო?
ჩემი მატყუარა სიმართლებები?
ყოველდღიური, ნორმალური დოგმა?
თუ წიგნის ჭიად გადავამზადო,
ბიბლიოთეკაში შევუშვა, უყუროს,
ანგელოზები როგორ ეზიდებიან კლასიკას
აბსოლუტისკენ. არის კი რამე აბსოლუტური,
თუნდაც, სიმართლე?
ჯოჯოხეთში რომელიმე ნიცივე
კიბეს ხარშავს, „ზე“ თანდებულების
მოჭარბების გამო, ცხრა წრეზე სცხელა,
რომ ჩემი მეთაუდან, არანაკლებ მოხარულიდან,
ზოგჯერ დავიხახო
ერთი თვალეგაბრწყინებული სამოთხე...


სიზმარ-ცხალი

ზღვა მესმის, ფრინველების შრიალი,
მკვდრები დადიან მალალ ღეროებზე
და ერთმანეთს გვანან, ისევე,
როგორც დამინებული ნაცნობები...
უერთმანეთობა თავისუფლებაა, თუ მარტოობა,
არ იციან, არც მე ვიცი...
იმაშიც, რომ ეჭვი შევიტანო,
ზღვა მესმის და ფრინველი, თუ
ელემენტარული ქუჩა, სადაც
ორი შემორჩენილი ხე გიჟდება
ცის სივინროვისგან,
მაშინ ისინი, მალალ ღეროებზე, საიდან?
ინგრეოდნენ და კრეფდნენ ერთმანეთს,
აშენებდნენ? ხომ მათზე ვნერ,
მაგრამ ასეთი დინამიკა იმდენ ქალაქს ითხოვს,
არც ერთ გვერდზე ჩემი სახე არ გამოდის,
თუნდაც, ყოველგვარი ზედსართავის გარეშე,
იქნებ ზეთის საღებავებით, მაინც,
ან ტუშით, ან შეუძლებელი შრამით ჰაერზე?
ხეები გიჟდებიან ცის სივინროვისგან
ოლონდ, გააჩერეთ ეს ხეები!

მანვილი სიტყვაზე

ნახევარ ქალაქს ძვლები
თეთრი საცვალივით უჩანს მინიდან,
ამის არდანახვას ვცდილობ,
უადრესი ხარისხის მორბილებას
და ბალიშის ქვეშ ამოდებას...
მე რომ ღამისკენ შევბრუნდები,
დედა მოვა
და დახშული სმენის ბინდიდან
თვალის კაკლებს გამოაცურებს,
რომ დაინახოს, მაინც, ჩემი სიტყვები,
მათზე დასმული მახვილები,
ჩიტებივით და არა მარწუხებივით,
მაგრამ მე რომ არ ჩავაფრინდე სიტყვას,
ჩვეულებრივ თოვლიან მინას მათქმევივებს,
ისე დადებითად დარბილებულს,
თითქოს, ჩემს მკვდრებს ძვლები დაუნაყეს...
მეტაფორა რენტგენი არაა,
არც ოქროს გვირგვინი კბილებზე
მშობლების და მათი მშობლების,
ტრადიციულად გაბანტულ პირში!
სქოლიოზე რომ არაფერი ვთქვა,
საიდანაც ის ზემოთ ნახსენები სირბილე
(მაგ. კუ, ლოკოკინა)ვერ იყვირებს,
მათ არც გაქცევა შეუძლიათ, არც ხელის შებრუნება,
როცა ქვას ესვრიან, ან ნემსებით ჩხვლეტენ,
ამიტომ სიტყვაზე მარწუხები,
რომ ნითელი ხორკლები ტვინში მაინც მეტკინოს!
რასაც უკვე გაიგონებენ, დაინახავენ...






\*\*\*  
 თავი როგორი უნდა მქონდეს?  
 თუ ღმერთის ჩანაფიქრით,  
 იქნებ, გუმბათის ფორმის,  
 და ეს ფუთიანი თავი საიდან?  
 ლიტერატურით გატენილი, — უსახურავო ბიბლიოთეკა,  
 რომელსაც წვიმა ჩასდის რადიკულიტში  
 და დგომას უმრუდებს,  
 ასევე უჭირთ ხერხემალი  
 ჩემს ლოთებს, გიჟებს, ჰომოსექსუალებს.  
 საკუთარ სიგიჟეს რომ გამოვადგებ,  
 ყველა მათგანი უნდა მიყვარდეს  
 და არცერთი არ გავიმეორო,  
 ნერვებით კი ვგავართ ერთმანეთს,  
 სიტყვით — არა,  
 მაგრამ მეტაფორულ სიგიჟეს  
 ფსიქიატრიულში ვერ მოათავსებ,  
 ქუჩაში გადამდებია.  
 მსუბუქ თავებს ნერვები გარედან უხუჭუჭდებათ,  
 ჰერმეტიკულიდან გრამობით ჟონავენ,  
 ჩემი თავი მარგინალურ მოაფრიალებს,  
 თავი სახელმწიფო არაა, მაგრამ  
 დროშა ჭირდება თვითდამკვიდრებისთვის,  
 გიჟების, თვითმკვლელების, მათხოვრების შესანახად,  
 თვითონაც მათხოვარს, თვითონაც გიჟს,  
 ფუთიან თავს რა მინდორი ეყოფა მოსაძოვად,  
 ანთოლოგიები თუ არ ჩამოყარა,  
 ღმერთის კონსტრუქციას არ მიუახლოვდა,  
 გუმბათის ფორმის, იქვე სამრეკლო...  
 რამდენი მნათე უნდა მოკვდეს  
 ერთი ლექსისთვის?

**თავისუფალი ლექსი**

აცივდა. სახე შეკრთა  
 და ნაოჭებით უპასუხა,  
 სადაც მცენარეებია ჩაკეცილი,  
 მთელი ჰერბარიუმი  
 ნამქვებელი სინათლე აღარაა:  
 ერთმანეთზე მეტ-ნაკლები ლურჯი და მწვანე,  
 ყაყაჩოების მინიმუმბა სისხლის ლაქებზე, —  
 რკინიგზა, ისედაც პოტენციური მკვლელი...  
 ღმერთმა ჯერ თავისთავადი საგნები მოიგონა,  
 მერე შეუძლებლობა, როგორც ასეთი,  
 თორემ, საიდან ლექსის მასალა?  
 თავლი — მოვლენა  
 და არა წყალში ჩაყრილი სიტკობი  
 ამო მშობლებისგან?  
 ჩემი მწერობაც, არა მიბაძვა,  
 არამედ შავი მუშის თემა  
 პათოსური ფასადის უკან.  
 პატიოსნების გასაგონად ვამბობ,  
 მუდამ მართლების საკუთარ თავთან:  
 კატეგორიულობაც რომ აენვათ.  
 ლოგიკა მაინც თავლისკენ წაუვიათ,  
 მხედველობაში თუ არ მიყოლიეს  
 ასეთი პათოლოგიური მატყუარა,  
 ტაკიმასხარა, ვირის მუშა,  
 დღის ბოლოსთვის ლექსი,  
 თავისუფალი არამარტო მარცვლების რაოდენობით,  
 სიმწარითაც...

\*\*\*  
 ახალი წელი. ნოტიო მანდარინი  
 მონითალო, ალბათ ზღვისპირელების  
 სისხლისგან...  
 ჩემი ჰავა, ისეთი მშრალი, თითქოს,  
 კვერცხისგულეების დიეტაზე მამყოფებს,  
 არ ცნობს ასეთ ამომხტარ ფერებს...  
 ზამთრის სიხარულს სხვებისგან ვსესხულობ,  
 ფუფუნების კანონების მცოდნეებისგან  
 და, მაინც, ზაფხული — აი  
 ნამდვილი მონატრება, გინდა, ახალ წელს.  
 გინდა, მერე,  
 უფრო შენელებული მგრძობიარობის დროს...  
 იქამდე მიმალწვინა!  
 და როცა ბალახზე ჩამოვფდები,  
 თვალებიდან ხის კენწეროებს  
 ნუ ამომაცლი, ღმერთო!

\*\*\*  
 ქარმა რომ პოეტი ამაგლიჯა  
 თავის დროზე, 90 პროცენტი მისი ვარ,  
 დანარჩენი რუტინის.  
 ოღონდ, ბოლომდე ნუ გადამივლის!  
 ტანის ნანგრევებიდან, სადაც გენი მიზის  
 და რაღაც მეტაფორული სისულელები,  
 ერთი-ორი ბავშვი კიდევ აშენდება,  
 თავზე გუმბათს დაიდგამენ,  
 უნივერსიტეტის სტატუსს მიიღებენ  
 და გააჭენებენ, როცა იქვე  
 აკადემიურობას უცხოებენ პურივით...  
 ესენი კი ყურს იჭრიან,  
 ანუ კიდევ ერთ პოეტს,  
 ხალხს ინვევენ, პოეტი ვახშმად!  
 როგორი პასაჟია?  
 მაპატიებენ ჟესტის ქურდობას  
 ჩემი ძველი სიყვარულები?  
 ასეთივე გაფრენილი მანიფესტების შემთხვევები,  
 როცა 90 პროცენტი ამათი ვარ,  
 დანარჩენი რუტინის, მაპატიებენ?



**ელისაბედ**

ელისაბედ — სი(ყვ)არული (გა)დამლელია,  
 ავერძალოთ სი(ყვ)არული!  
 ელი, შენ ალბათ ელი  
 როდის გავარდისფრდება  
 ნაცრისფერი ცის ტატნობები,  
 როდის დახუჭავს თვალებს  
 მთვარე... ოცნების ფრთებით  
 ქარებს როდის მიუალერსებ.  
 ეს ყველაფერი კიდევ არაა...  
 შენ არ ელი სევდის ჰამაკებს,  
 და არც სევდიანი, ვერცხლისფერი  
 მთვარის უძილარ თვალებს...  
 არც მოხერხებულ ხეტილს დამის.  
 და თუ მოხდება რასაც არ ელი,  
 და თუ ცა ვარდისფერი  
 ისევე თავის ფერს დაიბრუნებს,  
 და თუ ფრთების გაშლამდე  
 ფრთებს დაგანინწინან,  
 გაცრეცილ საკუთარ თავს ჩაუბუტბუტე:  
 — აღარ ხარ ელი, ხარ ელისაბედ...  
 დავხუროთ კარი...  
 ელისაბედ — დამლელია სი(ყვ)არული,  
 უნდა ავერძალოთ სი(ყვ)არული,  
 უნდა ავერძალოთ...

\*\*\*  
 ჩემზე ბევრად უფრო ახალგაზრდა,  
 ჩემზე ბევრად უფრო ძლიერი,  
 გაზაფხულის სურნელივით მქრქალი  
 ნარსულის ნიავს დაატარებს...  
 ხელში აქვს მთელი გაზაფხული,  
 ხელში აქვს მთელი გაზაფხული,  
 თეთრ ხელჩანთაში დამწყვედი  
 ნასულ გაზაფხულთა მოგონება...  
 მისი მაჯები ახლად დაფოთილი ხეებია,  
 მისი ლოყები კვირტებდამსკდარი რტოებია,  
 მისი თვალები, თვა-ლე-ბი მი-სი  
 წყლიდან არეკლილი მზის სხივები...

ის ჩემზე უფრო ახალგაზრდა,  
 ის ჩემზე უფრო გაზაფხულა,  
 ის ჩემზე უფრო ბედნიერი...

\*\*\*  
 უნდა ფიქრობდე სიყვარულზე,  
 უნდა წერდე სიყვარულზე,  
 მაგრამ ნანერძი ერთხელაც  
 კი არ უნდა ახსენო მისი სახელი...  
 დაე, მთელმა სამყარომ გაიგოს,  
 დაე, ესმოდეს ჰაერს, წყლის ყველა უფრედს,  
 ცაზე გაფენილ ვარსკვლავთა გუნდებს,  
 რომ დუმილში დამალულხარ  
 და ხმაურის შეგმინებია...  
 სირცხვილი შენ — სიმართლის გადამალვისთვის...

**სიცოცხლე**

ხანდახან გიჭირს იარო...  
 და როცა სიარული მიჭირს,  
 და როცა სუნთქვაც მიჭირს,  
 მახსენდება ბაბუაჩემი,  
 რომელმაც ყველაფერი  
 ოცდაათი წლის ასაკში  
 ხელახლა ისწავლა.  
 როცა პირველად დაიბადა,  
 სუნთქვა ისწავლა...  
 მერე სიარული ისწავლა...  
 ლაპარაკი ისწავლა...  
 და როცა მეორედ დაიბადა:

ისწავლა სუნთქვა ბებიჩემით,  
 ისწავლა სიარული ბებიჩემით,  
 სიყვარულიც ხელახლა ისწავლა,  
 ბებოს არ დაეზარა და ასწავლა...  
 როცა ბებიჩემი მახსენდება  
 და მისით ცოცხალი ბაბუაჩემი...  
 ხანდახან სიარული მიჭირს...  
 და როცა ვიხსენებ  
 ნარსულში ცოცხალ პაპაჩემს,  
 ნარსულში მთრთოლ პაპაჩემს,  
 მინდება მისი ცეცხლი გავინანილო  
 და ვიარო ყველგან,  
 სადაც სიცოცხლე  
 სიარულზე უფრო მეტია...

**პელოცვა**

ხანდახან უნდა ადგე, გაჩუმდე,  
 უნდა ადგე და სადღაც გაჩუმდე...  
 უნდა ხანდახან სადღაც წახვიდე,  
 ხანდახან სადღაც რაღაც უნდა თქვა...

დღეს ლაპარაკი გადავწყვიტე:  
 ტირი — ტირს, ქარი ქრის,  
 ტირი — ტირს, ქარი ქრის,  
 დუმილი სირუმეზე მეტია...

.....  
 ვზი-ვარ... ფე-ხზე ვარ... ვსუ-ნთქავ... გა-ნვი-ცდი...  
 შენ ზიხარ სადღაც სიდარბაისლით.  
 ვზი-ვარ... ფე-ხზე ვარ... ვსუ-ნთქავ... გა-ნვი-ცდი...  
 შენ დგახარ სადღაც სიდარბაისლით...

გესმოდეს ჩემი უხმო ბუტბუტის,  
 გესმოდეს ჩემი უხმო ბუტბუტის,  
 გაიგონე ჩემი... გესმოდეს ჩემი,  
 გესმოდეს ჩემი უხმო ბუტბუტის.

შელოცვაა მთელი ეს ტექსტი,  
 შეგილოცე — და აქამდე ჩემი თუ არ გესმოდა,  
 ახლა დუმილის ხმას გაიგონებ.

ახლა შემიძლია — ავდგე, გავჩუმდე,  
 ახლა შემიძლია — სადღაც გავჩუმდე,  
 უნდა ავდგე და სადღაც წახვიდე,  
 უნდა ავდგე და სადღაც წახვიდე...

**ბოშა ქალი**

ჩემო ქალბატონო, დღეს მზემ  
 დაგინვათ თეთრი კანი...  
 თეთრი კანი, მზემ  
 დაგინვათ, ქალბატონო...

— ინებეთ ვარდის წყალი...  
 მოუხდება დამსკდარ ღანწებს,  
 ინებეთ ვარდის წყალი...  
 დამსკდარ ღანწებს, ქალბატონო...

ჩემო ბატონო, ის დგას ავი მარტივით,  
 შუა იენისში მზით და თქვენით მთვრალი  
 და არც ევარდება, არც ეშვებება,  
 მისი გული გამწვარია — ჩემო ბატონო...

**შენი თვალები ცისფერია**

ყოველთვის, როცა,  
 ყოველთვის, როცა,  
 მომინდება გავიხსენო  
 დასავიწყარი შენი თვალები,  
 შენი თვალები და-სა-ვი-წყა-რი,  
 ვუყურებ ზეცას...  
 შენი თვალები — ოკენა  
 გადასაცური...  
 ვგზავნი წერილებს,  
 და წერილების ხმამალალი,  
 ხმამალალი წერილების  
 ხმამალალი აღსარება  
 იკარგება შენს მშფოთვარე  
 და ხმაურიან ქუთუთოებზე...  
 ხანდახან მშვიდი ნაპირივით  
 ისე მშვიდად ხარ...  
 ისე მშვიდი ხარ...  
 მოახლოება მოგინდება.  
 ხანდახან კი — ისე მშფოთვარე,  
 ისე მშფოთვარე,  
 რომ ვანყებდი ცხრა მთას,  
 ცხრა ცას და არასდროს — ცხრა ზღვას...  
 შენი თვალები ოკენა,  
 მშფოთვარეა, ცისფერია  
 შენი თვალები:  
 აქაფებული ტალღებია,  
 ღრმა ზღვებია,  
 მე კი მხოლოდ  
 ახლა გამახსენდა:  
 — ცურვა არ ვიცი!!!



ჭკბკ, ჭკბკ... კრკკრკრკ... ჭკრნ... კჭკ, ჭკს... კნრკკრნ... კრჭ... კრკკრკრკ...

ამ ხმებს თქვენი ფანჯრის ზემოთ დამტვრეული თხილი და ფანჯრის ქვემოთ ჩამოცვენილი ნაჭუჭი გამოსცემდეს — ნერვების მოშლა მაშინ გენახათ.

რას ეტყვი? როგორ ეტყვი? მეზობლებს განირაგ? მერე რა, რომ წესიერად არც იცნობ და ორ-სამჯერ თუ გადაყრისარ სადარბაზოში. რა ვიცი, მსგავს უმსგავსობაზე მე რომ მომითითონ, იქნებ თავიცი მოვიკლა. შეიძლება ამიტომაც არ ვყრი თხილს ნაჭუჭს სხვისი ფანჯრის წინ. მე.

\*\*\*

არა, შიგადაშიგ სიგარეტის ნამწვიც ვარდება. მაგრამ ეგ ადრე მანუხებდა — სანამ თხილის ნაჭუჭის ჩამოყრას დაინწყებდნენ. ისედაც, სიგარეტს რა უჭირს: უხმაუროდ ინევა და ფანჯრის წინ რბილად ეცემა. მეორე სართულის აივანზე გამოფრქვეული კვამლი პირველ სართულამდე ძნელად ჩამოდის. ისე ინტენსიურად მოწევა შეუძლებელია, როგორც თხილის ჭამა. თან, თუ მოწევეს — ქმარი. შანსი არ არის, მაგან ცოლს ეგ გააბედვინოს... მოკლედ, სიგარეტს ბევრი უპირატესობა აქვს თხილთან შედარებით.

ნამწვი რალაცნაირად ქალაქურიცაა, ნაჭუჭისგან განსხვავებით, არა?

\*\*\*

ნოდარას ვუთხარი. ნოდარა ადრე, საბჭოთა კავშირის დროს, სტამბის დირექტორად მუშაობდა. ახლა მალიარია. ყველაზე უფრო მაინც ეგ მემეზობლება. გიჟები არიან, მაგათი დედაო — შუაფასა. ასე იცის ნოდარამ — ყველა მეზობელს თითქმის ერთნაირად აფასებს. თუმცა პირში შეფასებას ერიდება.

მგონი, ჯობდა, არც მეთქვა. მაშინვე წარმოვიდგინე — მეზობელმა შესჩივლა ჩემზე რალაც. ნოდარას პასუხს რალა წარმოადგენდა უნდოდა.

\*\*\*

არადა, ამის ჩუმად ატანა კიდევ უფრო შეუძლებელია. რას ლაპარაკობ — თბილისი — ჩვენი ქალაქი, რამე. არა, რამდენიმე საათის მერე საზოგადო სატკივარი კი გავიწყდება და მხოლოდ გეჩვენება, რომ იმ თხილს თავზე დამტვრევინე, ხოლო ნაჭუჭს გაოგნებისგან დაღებულ პირში დაყრიან, მაგრამ დამეთანხმეთ, არც ეგ არის სასიამოვნო.

მით უმეტეს, თუ ამ დროს სრული სიმყუდროვე გჭირდება.

ძილზე არ არის ლაპარაკი. მაგაში, დღისით კი არა, ლამითაც არ ვუქნევარ ღმერთს. მაგრამ ხანდახან რომ ვმუშაობ კიდევ?! მერე, საქმესაც გააჩნია... ჰო, საქმეა თუ რაც არის — ვნერ, პატივცემულუბო, ვნერ!

უფრო სწორად — ველარ ვნერ!

\*\*\*

რა ვქნა, ერნესტ ჰემინგუეი არ ვარ — სამუშაოდ სასტუმროს ნომერი დავიქირაო. თქვენ წარმოიდგინეთ, არც — აკა მორჩილად — ინგლისში გავერინდე.

ვიღაც ამბობდა — წერის დაწყებამდე ჰარდროკს ვრთავ და ყურსაცვამს ვირგებო. მე, სამწუხაროდ, როცა მუსიკას ვუსმენ, მაშინ მუსიკას ვუსმენ. ხოლო კონკრეტულად მიმე როკს ისევე თხილი მირჩვენია. ანუ ახლა მეზობელი, კრანაკრუნის ნაცველად, ჰარდროკს რომ მთავაზობდეს, მე კი სხვა აუდიოარჩევანი არ მქონდეს, უყოყმანოდ გავიკეთებდი ყურსაცვამს და იმას მოვუსმენდი, რასაც ახლა უყურსაცვამოდ ვუსმენ:

ჭკბკ, ჭკბკ... კრკკრკრკ... ჭკრნ... კჭკ, ჭკს... კნრკკრნ... კრჭ... კრკკრკრკ...

\*\*\*

ადრე სულაც პოეტი ვიყავი. მერე მიცხვდი, რომ პროზაიკოსობა ნაკლებად სასაცილოა. სამაგიეროდ, უფრო ძნელი გამოდგა. მით უმეტეს, რომ ვერლიბრი უკვე მოსინჯული მქონდა. პირველი მოთხრობა სულაც ისევ ლექსი გამოივიდა. ვერლიბრი, რა თქმა უნდა. მარტივად მოხდა: მოთხრობის იდეა ჯერ წერილობით ჩამოვყალიბე, შემდეგ კი ფაბულად გავშალე. ეს იყო და ეს. ჰო, კარგი, მერე პოეტური სმენაც გავიმახვილე და ხელიც გავკარი აქა-იქ დავებქდე კიდევ. ორივეგან. ვფიქრობდი, როდისმე მოთხრობადაც



### ზაზა ბიბილაშვილი

# თხილი

გადავამუშავე-მეთქი. მაგრამ პერსონაჟების გამოგონება, სიუჟეტის ლოგიკურად გაშლა და შთამბეჭდავი ფინალის მოფიქრება დამეზარა. ეტყობა, ვიგრძენი, რომ ამას დაახლოებით იმდენივე დრო და გარჯა დასჭირდებოდა, რამდენიც ამავე მასალისგან კარგი კონვენციური ლექსის მიღებას. თითქოს ერთდროულად ტრეფიკინგის მსხვერპლიც გამოვდიოდი და ტრეფიკერიც...

იმის მერე მოთხრობის იდეას ფურცელზე აღარ ვშლი, სიზარმაცის გამო ისევ ვერლიბრი რომ არ დავარქვა და პროზას სულ არ გადავეჩვიე.

\*\*\*

არადა, ახლა სწორედ მოთხრობების კონკურსია გამოცხადებული. ნამუშევრების მიღება ზუსტად ერთ კვირაში მთავრდება. მესამე საპრიზო თანხასაც კი არა უშავს. ნუ, ჩემი გადასახედიდან.

რა თქმა უნდა, კონკურსებში ალაღად გამარჯვების მონაწილე შეშლილთა სექტის წევრი არ ვარ. უბრალოდ, როგორც გავიგე, სასტიკად გასაიდუმლოებული ჟიურის სამი წევრიდან ერთი ჩემი ბავშვობის მეგობარია, ხოლო კიდევ ერთი — მოზრდილობის ამხანაგი. ზოგი ასეთ კომბინაციაში კარგს ვერაფერს ხედავს, რაკი ჰგონია, რომ კოლეგა მეგობრის წარმატება გაცვილებით უფრო ძნელი ასატანია, ვიდრე კოლეგა უცნობისა. ალბათ არც მთლად უმაგისობაა, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვა ფაქტორიც მუშაობს: ბოლოს და ბოლოს, ანუ კონკურსის ბოლოს, საიდუმლო ჟიურის შემადგენლობა უკვე ოფიციალურადაც მჭვავნდება. შესაბამისად, იქაურ შინაურებს ორიდან ერთი უსათუოდ მოუწევთ: ან შენთვის გამარჯვების მოლოცვა, ან შენთვის იმის უმტკივნეულოდ და დამაჯერებლად ახსნა, თუ რატომ ვერ გაიმარჯვე. ჰოდა, ადვილი შესაძლებელია, მეორეს პირველიც კი ერჩივნო. მერე კიდევ, ჟიურის წევრობა თუნდაც წარმატებულ კონკურსანტობაზე უფრო მნიშვნელოვანი პოზიციაა და ამ სიმაღლიდან მთლად აუტანლად აღარ მოჩანს პრიზით ხელდამწვენილებული მეგობარი.

თუმცა ერთი პრობლემა ყველა შემთხვევაში რჩება: შენს მაგივრად არავინ დაწერს. ხოლო ასე, თხილის ჭამებს შორის წინ როგორ წავა საქმე, არ ვიცი.

\*\*\*

ფეისბუქზე კი დავწერე. კარგი ენამახვილური პოსტი გავაშანშალე. თუმცა ეგ თხილიჭამიები, რა თქმა უნდა, ფრენდებში არ მყავს. თუ ვინმეს ჰყავს საერთოდ. ფრენდები და ფეისბუქი კი არა, რამდენჯერმე სადარბაზოში რომ არ გადავყროდი, მეგონებოდა, რომ მხოლოდ ჩემი ფანჯრის ზემოთ მდებარე აივანზე ბინადრობენ. სათქმელი მაინც ისე ოსტატურად ჩავლევლარქნე, რომც ნაიკითხონ, ეჭვი მაქვს, რამე გაიგონ. ყოველი შემთხვევისთვის, სახელებიც შევუცვალე — პოსტში აბგარა და ფეგო დავარქვი (ისე ნიკა და ნანა ჰქვიათ).

კარგად დალაიქდა, სხვათა შორის. ეგ

არის, მოთხრობა ისევ მომავლის იმედად რჩება. ესეც თუ იმედა.

ჭკბკ... ჭკბკ... კრკკრკრკ...

\*\*\*

აკრძალული ხილიც თხილივით რამე თუ იყო, მაშინ მშვენივრად მესმის იმისი, ვინც სამოთხიდან დაგვიფრინა. თუმცა რად გინდა — ამათ აივანზე უპოვიათ ახალი სამოთხე და სულ არ ადარდებთ, ქვევით რა ჯოჯოხეთს ატრიალებენ.

არადა, რალაც განსაკუთრებულის დაწერა მიწოდდა. დიდი ხანია, ამისთვის ვეზზადები. ისეთი სიუჟეტური მონახაზები მაქვს, კაი გრაფომანის ხელში ერთი ათი მოთხრობა მაინც გამოდნებოდა — ზოგი ფსიქოლოგიური, ზოგი მისტიკური, ზოგი ასეთიც და ისეთიც. კონკურსის გამოცხადებას ველოდებოდი. ეგ კიდევ მაინცდამაინც ნიკა-ნანას გადმოსახლება დაამთხვიეს. თუ, პირიქით, ამათ დაამთხვიეს გადმოსახლება. რა მნიშვნელობა აქვს. ფაქტია, რომ ახლა ფიქრი მარტო თხილზე შემოიღია. ნუ ამტვრევთ თხილს! ნუ ყრიან ნაჭუჭს!

ამ დროს ერთი თქმა უნდა, სულ ერთი თქმა. ყოველ შემთხვევაში — ჯერ ერთი... ჭკბკ.

\*\*\*

მგონი, გონება გამინათდა. ისიც ადგა და აქვე, ჩემ ერთოთახიან ხრუშჩოვკაში მორბენალი ორი კურდღელი შეამჩნია. რა თქმა უნდა, ორივეს გამოდევნებასა და ვერცერთის დაჭერას კი არა, ერთი გასროლით ორივეს მოკვლას ვაპირებ. უღლის გადაგდებზეც გამიგია რალაც, მაგრამ ის, მგონი, იმეორებუა და თან ბოლოს მხოლოდ ერთი კურდღელი კვდება — არ მანყობს.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაიმასვექნა, ვიცი, საკონკურსო მოთხრობა რაზეც უნდა დავწერო. თხილზე. დიახ, თხილის ჭახუნითა და კრანუნით გამწარებულ სიცოცხლეზე. თხილის შამფურებსა და ორკაპებზე. თხილის ჯოჯოხეთზე. სათანადო მუხები კი მაყრია თავზე და განსაკუთრებული პირობების შესაქმნელად გარჯა არ დამჭირდება (ვთქვათ, მტვერსასრუტის ჩართვა ნისქვილის ეფექტისთვის. ნ. დუმბაძე. და ასე შემდეგ).

ამას გარდა და რაც მთავარია — ჰე, ჩემო, ესე უსტარი. ანუ ეს იქნება მოთხრობა, რომლის მეშვეობითაც მეორესართულელებს ჩემი გულის ძახილს მივანვცენ.

წერილი ურთიერთობა ყოველთვის მიადვილდებოდა. ნუ, ჩვეულებრივის ფონზე. ის. ე. წ. სოციალური ქსელები. გადაიკ. ჩემი პოსტები, კომენტარები, ჩატები, და შეად. ჩემსავე არავირტუალურ ურთიერთობებს. მამაკაცურ წარმატებასაც ინტერნეტში უფრო ვაღწევ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შევემლოტი და გამოვლიპიანდი. პროზას, დამატებით, თავისი საიდუმლო არსენალიც აქვს — გადატანითი მნიშვნელობები, ქვეტექსტები, ნიალსვლები, გაზვიადება, ირონიის შეპარება, სარკაზმის ჩარევა, პამფლეტამდე გამძაფრება... მხატვრული სიტყვის ძალა!

მოკლედ, მოვიფიქრე, კურდღლებო და მეზობლებო.

\*\*\*

ჭკბკ, ჭკბკ... კრკკრკრკ... ჭკრნ... კჭკ, ჭკს... კნრკკრნ... კრჭ... კრკკრკრკ...

\*\*\*

შეიძლება ზედმეტად მძაფრი ტექსტიც გამომივიდა. ხომ ვამბობდი — წერისას თამამი ვარ.

კონკურსზეც კარგად მიდის საქმე. ბავშვობის მეგობარმა დამირეკა — ნემსის ყუნწში ვძვრები და ალბათ ყველაფერი რიგზე იქნებაო. სტუდენტობის ამხანაგი უფრო თავშეკავებული იყო — ნუ გეშინია, ძირითადად, უარესი მოთხრობები შემოვიდა და შენი სამეულში გაყვანა უნდა მოხერხდესო.

სამწუხაროდ, კონკურსის დასრულებამდე მოთხრობის გამოქვეყნება აკრძალულია. ასე რომ, ჯერ ისევე: ჭკრნ... კრკკრკრკ...

\*\*\*

პირველი პრემია ავიღე. ბავშვობის მეგობარი მაინც სხვაა. ჟიურის წევრებმა განსაკუთრებულად მომილოცეს. თუმცა იმავე ბავშვობის მეგობრის თვალეზში თითქოს მაინც მომეჩვენა ეჭვი — ცოტა ზედმეტი ხომ არ მომივიდაო. არა უშავს, იმედია, მომდევნო წლებში აღარ შეიყვანენ ჟიურში.

სახლში ნახევარი პრემიაც არ მომყოლია, მაგრამ მაინც კარგ ხასიათზე დავებრუნდი. თხილის კრანაკრუნმაც ვერ გამიფუჭა გუნება. დიდხანს გაგრძელდება თუ რა?

\*\*\*

ნოდარას კონკურსში მონაწილე ტექსტების კრებული ვაჩვენე. ვააჰ, კაი მოზრდილი რამეაო, მომილოცა. მერე ჩემი მოთხრობის მოკლე შინაარსი მოვეუყვი და მუხებზეც მივანიშნე საჩვენებელი თითის რამდენჯერმე აწეე-დაწეეო. იცინა, მაგარი ხარო. ეგ — ჰო, მაგრამ იმათ როგორ წავაკითხო-მეთქი. რისი ნამკითხავები არიან, მაგათი დედაო. მაინც კრებულის ორივე ეგ ზემპლარი გამომართვა. ერთი — სახლისთვის, მეორე ნიკა-ნანას დაუფლო კართან. კი ვიცი, თავისი ცალი ხათრით რომ წაიღო და არ წაიკითხავს, მაგრამ არც მენალვლება. ამისთვის, სულ ცოტა, სამი საფუძველი მაქვს: შინაარსი ისედაც მოეხსენება, თხილი არ უყვარს, და ჩემთვის სახიფათო ზონაში არ ცხოვრობს.

ნოდარას გასვლის მერე გულის ფანცქალით ვაყურადებდი, ჩემი ფანჯრის ზემოთ და ქვემოთ რა მოხდებოდა. თხილის კრანაკრუნში ჩამეძინა.

\*\*\*

ჭკბკ, ჭკბკ... კრკკრკრკ... ჭკრნ... კჭკ, ჭკს... კნრკკრნ... კრჭ... კრკკრკრკ...

რალაც ვერ გავთვალე. შანსი არ არის, ნაკითხათ და ყველაფერი ძველებურად გაგრძელდესო. ჯიბრით გააძლიერებდნენ მაინც მტვერვასა და მირთმევას. ისინი კი ისეთი პირველყოფილი უშფოთველობით აჭახუნებენ, თითქოს არა ტრიუმფატორი, არამედ ჟიურისგან დაწუნებული ან წაუკითხავ მასაში ჩარჩენილი ტექსტი დამენეროს.

ახლა ვზივარ და, ამოვშლი ადრე დაწყებულ მოთხრობებს — ჩავხურავ, ამოვშლი — ჩავხურავ... არ ჩახურო და მიაშტერდი, თუ გინდა — თავში არაფერი შედის და, მით უმეტეს, იქიდან არაფერი გამოდის. ვითომ ამ გასურკვეველი დანიშნულების დღიურებს ვაყოლებ გულს. თან უკვე იმ დღეებს მივტირი, თხილის მოთხრობას რომ ვწერდი. აფსუს, როგორ ძირფესვიანად დავამუშავე თემა. ბოლომდე მაინც არ ამომწერა სათქმელი.

ახლა რა ვქნა, პიესად ხომ არ გადავაკეთებ?

\*\*\*

პიესა თეატრ „ბალაგანი“ დაიდგა. ნორმალური სპექტაკლი გამოვიდა. ნუ, ყველა შემთხვევაში, „ბალაგანი“ და მაინც სახელია. ჰონორარით ვერ გამაკვირვებს, ანუ ვერ გამახარებს, მაგრამ, სამაგიეროდ, სპექტაკლის ბილეთები მეტო ბლომად. ოთხი ცალი ნოდარას მივეცი — ორი — შვილებისთვის და ორიც — ნიკა-ნანას კარის ღრიჭოში გასაჩხერად. მშვიდად ცხოვრება თუ გინდა, ყველაფერი უნდა სცადო.

ჭკბკ, ჭკბკ... კრკკრკრკ... ჭკრნ... კჭკ, ჭკს... კნრკკრნ... კრჭ... კრკკრკრკ...

მი მქვია მარინე.  
მი მქვია მარინე.  
მი მქვია მარინე.

\*  
გულისცემას ყურებში ვგრძნობ, მხნეობის მოსამატებლად ჩანთას მთელი ძალით ვებლაუჭები. ნამოც და, გამბედაობა მილაღობს, ისევე ისე ქურდულად დავეშვები კიბეზე, როგორც ამოვედი, მაგრამ ველარ ვასწრებ, ფეხის ხმა მესმის და გასაღებიც ტრიალებს.

— გამარჯობა, — დაძაბულობისგან არაბუნებრივად ვუღიმი.  
— გამარჯობა, — ისიც მიღიმი, გულლიად და ოდნავ დაბნეულად.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ დაახლოებით ასეთი წარმოდგინა — სამოც წლამდე, ბორდოსფერად შეღებილი თმით, საშუალო სიმაღლის, თითქმის გამხდარი. უფრო ზუსტად, არ ვიცი, ასეთი წარმოდგინა, თუ ასეთი დამამახსოვრდა. ერთმანეთს ერთადერთხელ რომ შევხვდით, ათი წლის ვიყავი. ორნი მოვიდნენ, ქალი და კაცი. მათ მოსვლამდე სახლში უჩვეულო დაძაბულობა იგრძნობოდა. ისედაც დალაგებულ მისაღებ ოთახში ბებო, აი, უკვე მერამდენედ შემოდიოდა, ბუფეტზე მტკვრს წმენდა და ნერვიულად ასწორებდა გვერდებში აკეცილი მწვანე ფარდის ფოჩს. მერე კარზე ზარი დარეკეს, სტუმრები მოვიდნენ. არ ვიცნობდი, მაგრამ საპატიო სტუმრები კი ჩანდნენ — ყველანი დავხვდით — ბებო, ბაბუა, მამა, დედა, ბიძაჩემი, მე და ჩემი ძმა გიგია. ასეთი სტუმრები არასდროს გვეყოლია — დადიოდნენ და მთელს სახლს გულდასმით ათვალიერებდნენ. ჯერ სასადილო ოთახი ნახეს დაკვირვებით, მერე — საძინებელი, მეორე საძინებელი, სამზარეულო, სააბაზანო. რას ლაპარაკობდნენ, აღარ მახსოვს — გიგია გაცხოველდა და თვალების ბრიალა აღარაფერი უშველა. ამიტომ ეზოში ჩავვიშვეს. მალე შებინდებას დაიწყებდა, ოდნავ გრილოდა და ოთხივე კორპუსის ყველა ბავშვი იქ იყო. გიგია ორ ნაამში სადღაც გაქრა. მე რეზინობანას მოთამაშებისკენ წავიდი. გაუხარდათ და ერთი ამბავი ატყდა, ვის გუნდს შევუერთდებოდი, იმიტომ, რომ ეზოში ერთ-ერთი ყველაზე გამხდარი და გრძელფეხება ვიყავი და უმარტივესად ვართმევდი თავს რეზინობანას ბოლო ეტაპს — „ყელეებს.“

დაახლოებით ორ საათში დედა და მამა ჩამოვიდნენ და ჩვენს სახლში წავედით. გზაში გაირკვა, რომ ბებოს სახლი იყიდებოდა, ან უფრო ზუსტად, თითქმის გაიყიდა.  
მე ათი წლის ვიყავი, გიგია — თერთმეტის. ყოველთვის ყველაფერი ვიცოდით ერთმანეთის და ეს მაძლევს უფლებას, განვაზოგადო ჩემი მამინდელი ემოცია: ბებოს სახლი ჩვენთვის გაკრიალებული მისაღები კი არ იყო მწვანე ფარდებითა და ამავე ფერის სავარძლებით, ან ფანჯრის რაფაზე მოყვავილი იები, ან ბუფეტში თავმოწონი, მდინარის პირას მონებივრე მადონასა და მისი ხუჭუჭა შვილების გამოსახულებიანი სერვიზი, ან უპრეტენზიო საბჭოთა სამზარეულო ან ასეთივე უპრეტენზიო საბჭოთა საძინებელი ოთახები; არა — ბებოს სახლი იყო კარის მეზობლად მცხოვრები ანა და გიორგი, დონდლო თამთა, ლამაზი ნინო, დარიბაშვილების სამი შვილიშვილი, მიშკა, ქერათმიანი მარიანა, რომლის დედაც სილაშაშის სალონში მუშაობდა და შვილს, ჩვენი გულის გასახეთქად, რვა წლიდან აჭრიდა ფრჩხილებზე ნუნებს. და კიდევ ერთი ბიჭი, რომელიც ჩვენთან ერთად არასდროს თამაშობდა და რომელსაც ნაკლოვან ძიმად მოვიხსენიებდით ჩვენთვის სრულიად გაუგებარი დიაგნოზის — ცერებრული დამბლის გამო.

ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენი მშობლები და ბებია-ბაბუები მიტინგებზე დადიოდნენ. ვიცოდით, რომ კუპონი საბედისწეროდ გაუფასურდა, რომ დავალებების დაწერა დაბინდებამდე უნდა მოგვეწერა, თორემ ლამფის შუქზე თვალები დაგვეთხრებოდა. ვიცოდით, რომ ზოგიერთებმა უკეთესად აუღეს ალო პოსტსაბჭოთა და პოსტნაომარ ყოფას — სავაჭრო ჯისურები გახსნეს. ზოგსაც რძლები თვის გადანახული ოქრო გამოადგა. მათი ფანჯრების ქვეშ გენერატორი მომაკვდინებლად ღმუოდა, სამაგიეროდ კი უჩვეულად ენთო შუქი.  
არაფერი გვსმენოდა ჩვენგან გასხვავებულების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონეების, მათი და, ზოგადად, ადამი-



## მაცა ცხვედიანი მი და შენ, მარინე

ანების უფლებების შესახებ. არც ჩვენ და არც ჩვენზე უფროსები არ ვცნობდით ერთგვარ ფაქიზ ეთიკას, რომელმაც, მოგვიანებით შემოჭრილმა ჩვენს ცნობიერებასა და ცხოვრებაში, თავი ველური ტომის პირმშობად გვაგრძნობინა. არ ვცნობდით არავითარ სოლიდარობას. არავითარ პოლიტიკორექტურას.

\*  
— არ გეხსომები. გაგიკვირდებოდა, ალბათ, იცით, მე იმ ქალის შვილიშვილი ვარ, ბინა ვისგანაც იყიდეთ. გახსოვთ ის ცოლ-ქმარი?

— კი, კი, როგორ არ მახსოვს! ხომ მშვიდობაა, მობრძანდით!

შემოსასვლელი სპილოსძვლისფრადაა შეღებილი, კედელზე მარჯვენა მხარეს დიდი სარკე კიდია. სასტუმრო ოთახისკენ მიმიძღვის.

— რამე ხომ არ მოხდა, შემეშინდა უცებ! მახსოვხართ მე თქვენ, პატარა იყავით, რამხელა გაზრდილხართ, რა ლამაზი გოგო ხართ!

სასტუმრო ოთახიც სპილოსძვლისფერია. აგურისფერი სამეულის წინ ყურნალების მაგიდა დგას და მოპირდაპირე კედელზე ტელევიზორი კიდია. მეტი არაფერი. ამდენი ცარიელი სივრცის გამო ოთახი უფრო დიდი ჩანს, ვიდრე მახსოვდა.  
— ძალიან მეუხერხულეობდა ასე შემოჭრა, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რამდენ ხანს ვნატრობდი ხუთი წუთით მაინც შემომეხედა ამ სახლში. მთელი ბავშვობა აქ გავატარე.

— რა იყო მოსარიდებელი, მოსულიყავით ნებიერი დროს, — გულლიად მიღიმი, — როგავ არიან თქვენები?  
— ბებო, თვრამეტი წელია, გარდაიცვალა. აქედან რომ გადავიდნენ, მაღევე, დაახლოებით ხუთი წლის შემდეგ.  
— რას ამბობთ?! როგორ მეწყინა! რითი გარდაიცვალა, არ იყო ხნიერი.  
— წნევამ დაარტყა. სამოცდაექვსი წლის იყო. ძალიან განიცადა აქედან გადასვლა. გიჟდებოდა, ისე უყვარდა თავისი სახლი. აი, ეს საძინებელი...

\*  
როცა ბებოსთან ვრჩებოდით, მე ბებოს და ბაბუას შუაში მეძინა, გიგია — ბიძაჩემთან ერთად, მეორე საძინებელში. ზოგჯერ გამთენიისას მეღვიძებოდა, ღია ფაჯრიდან ნიავს ძაღლების ყრუ, გაბმული ყეფის ხმა მოჰქოდა, შიგადაშიგ ბელურები შესწყვილებდნენ. აქეთ-იქიდან ბებო და ბაბუა სვინდნენ შეწყობილად, უშფოთველად. მერე მეც მეძინებოდა.

ბებოსთან ხშირად მივიდიოდით ხოლმე, თითქმის ყოველ შაბათ-კვირას. გიგია მაშინვე ეზოში გარბოდა ან პირდაპირ ეზოში რჩებოდა და დაღამებამდე ვერც ამოიყვანდი, მე ცოტა ხანს ბებოს ველაპარაკებოდი ხოლმე. ტელევიზორი ხის პატარა ტუმბოზე გვედგა. ამ ტუმბოში იყო ხუთი ან ექვსი წყვილი ფეხსაცმელი, მათ შორის ოქროსფერი, ბრჭყვიალა მაღალქუსლიანი ქოშებიც. ბებო ამ ტუმბოს ყოველ შაბათს გამოაცარილებდა ხოლმე და შალის ნაჭრით საგულდაგულად

აშორებდა მტკვრს ფეხსაცმელებს. მე როგორც კაჭკაჭს, რაც თავი მახსოვს, გულგრილად არასდროს შემეძლო ოქროსფერი ქოშის ყურება — ფეხს გავუყრიდი და დავაკუნობდი, ლამის კისერი მომეტყვია. ყურადღებას არ ვაქცევდი ბებოს, გაბზარული ხმით რომ მიმეორებდა — არ გინდა, ბებო, არ გინდა, ბებოო. მარინესი იყო ეს ფეხსაცმელები — მამიდაჩემის, რომელსაც არ ვიცნობდი. ჩემს გაჩენამდე ხუთი წლით ადრე მოულოდელად დაიღუპა თვრამეტი წლის.

\*  
მარინეს მარტო სკოლაში მეძახდნენ, კლასელები არა — მასწავლებლები. მძულდა ჩემი სახელი ბავშვობაში ძველმოდურობის, უფრო წამოზრდილს კი მისი ისტორიის გამო. და სულ ვუჯანყდებოდი მშობლებს — ხან გულში, ხან ხმამაღლა, რომ თვრამეტი წლის ასაკში დაღუპული, უიღბლო მამიდის გოიმური სახელი დამარქვეს. მით უმეტეს, რომ სწორედ კონტექსტის გათვალისწინებით, სახლში არასდროს, ერთხელაც კი არავის დაუძახია მარინე. დაუღვეული უხერხულობის გამო, უსიამოვნო განცდის გამო, ვერნაპოვნინე ნუგუმის გამო და, ალბათ, კიდევ ბევრი სხვა რამის გამოც. თინეჯერობისას, ყველასა და ყველაფრისადმი გამძაფრებული პროტესტის ფონზე, რამდენჯერაც ოჯახის წევრებზე გავზრახდებოდი, ვიმუქრებოდი, წავაღ და ამ საზიზღარ სახელს გადავიკეთებ-მეთქი.

\*  
ის, დიდი მარინე, როგორი იყო და, შავთეთრი სურათი იყო. შავ ჩარჩოში ჩასმული. კიდევ ერთი დიდი ფოტო იყო, წიგნების კარადაში შეკურებული — ძალიან მოკლე საზაფხულო კაბით. კიდევ სხვა ფოტოებიც იყო, მთელი ალბომი რომ ეკავა. ტალღოვანი თმა და ძალიან დიდი, არაბუნებრივად ნაღვლიანი თვალები ჰქონდა. ამ თვალების პატრონს, წესით, წინასწარ უნდა სცოდნოდა, რომ სულ თვრამეტი წლის სიცოცხლე ერგო; რომ არცერთ მის ოცნებას ახდენა არ ეწერა. სამაგიეროდ, სადღაც ცაში — ღრუბლებში ან მის მიღმა, ეწერა ის, რომ კინოთეატრის რიგში ბილეთის მომლოდინეს ეახლებოდა თავნება კავალერი — სიკვდილი.  
გიგია რომ გაჩნდა, მარინე ოთხი წლის გარდაცვლილი იყო, ერთი წლის მერე მე გაეჩნდი. ჩვენ არ გვახსოვს ბებოს სახლში ხილული გლოვა, ან სამგლოვიარო განწყობა, ან ჩვენი თანდასწრებით ბებოს ტირილი. ჩვენ გვახსოვს მარინეს ფოტოები, მისი ფეხსაცმელები; რაჭაში — მისი კაბებიც. და კიდევ ერთგვარი გადამდები უხერხულობა, რომელსაც მარინეს ხსენების დროს განვიცდიდით.

\*  
აღდგომას საფლავზე ჩვენც გავყავდით ხოლმე. ბაბუა თავდახრილი იჯდა, სახეს ვერ ვხედავდით. ბებო ტიროდა — მოგუდულად. პირზე ხელს იფარებდა — შვილო, შვილოო. იმ წუთებში ვხვდებოდი კი არა, უფრო ვგრძნობდი, რომ ბებო, ალბათ, სხვა დროსაც ტიროდა. თუმცა იმ

სევდაზე, რომელსაც ოჯახის თითოეული წევრი საკუთარი მეთოდით, თავისებურად ებრძოდა, ერთმანეთთან ჯიუტად ვდუმდით. არა, ტაბუ კი არ ედო, უფრო, ალბათ, ერთმანეთს ვინდობდით. ცოტა რომ წამოვიზარდე, გაცილებით ხშირად მეფიქრებოდა მარინეზე. უფრო მტკივნეული მნიშვნელობა შეიძინა მისმა ცხოვრებამ და სიკვდილმა ჩემთვის. მაგრამ ბევრი, ბევრი წლის შემდეგ მოვისმინე ის, რაც მინდოდა მხოლოდ ჩემი საკუთარი განცდების ერთობლიობა ყოფილიყო და არა ჩვენი საერთო განაჩენი. შეიძლება ბოლომდე არ მივყვებოდი ამ ფიქრს, თავს ვაჯერებდი, რომ შეიძლება ტკივილს მოიერო, რომ შეიძლება თვით უდიდესმა ტრაგედიამაც ჩაიაროს და დაგიტოვოს მხოლოდ ბუდოვანი, ასატანი სევდა. ბებო უკვე წლების გარდაცვლილი იყო, გიგიას ახლად მოყვანილი ცოლის, რუსას, დაბადების დღეს აღვიშნავდით ჩვენთან სახლში. მარინეს ხსოვნის სადღეგრძელოსთვის ჩვენც და ბიძაჩემსაც ერთნაირი ჭიქები გვაქვს სახლში. მარინეს იხსენებდნენ და ზაზამ, ბიძაჩემმა, რუსას მშობლებს უთხრა: „უბედნიერესი ოჯახი ვიყავით, ყველაფერი გვექონდა ბედნიერებისთვის და ერთ დღეს ეს ყველაფერი მორჩა.“

მახსოვს, რომ მამინ, იმ წუთას შემეყვარდა რუსას დედა, ნატა, ინგლისური ენის უძლიერესი სპეციალისტი და მთელი ცხოვრება ნისლიან ლონდონში ცხოვრებაზე პოეტურად მეოცნებე, რომელიც ისე ატონდა, რომ ჩემი ცრემლები აღარავის გაკვირვებია. პირველად ვტიროდი ჩვენი ოჯახის ნაღვლიანი ხვედრის გამო და ტკივილამდე ვგრძნობდი, რომ არსებობს უბედურება და არსებობს ტრაგედია. და რომ მე, უბრალოდ, ძალიან, ძალიან მინდოდა დამეჯერებინა, რომ ბებო უძლიერესი იყო; მინდოდა დამეჯერებინა, რომ შეიძლება მოგიკვდეს შვილი და შენ მაინც გიხაროდეს მარწყვის შემოსვლა ან ახალი ქუდი.

\*  
ზაზას საძინებელში ფანჯარასთან სანერი მაგიდა იდგა, ზემოდან შუშა ედო და მის ქვეშ შეკურებული 80-იანი წლების პლაკატზე ჩემი ახალგაზრდა მწვანეთვალე ბიძა მომღერალ მადონას ძუძუებს უჭერებდა. ამ მაგიდასთან ვწერდი მშობლობით მათემატიკის დავალებას და ველოდი კარლოსს. ზუსტად ასეთად მქონდა წარმოდგენილი ბიჭუნას ოთახის განლაგება. ვიჯექი და ვცდილობდი, რაც შეიძლება მოწყენილი შესახედაობა მიმელო, რომ სადღაც შორს, სახურავების თავზე მოზუზუნე გოდორა კაცს ზმანებასათვის ეხილა ჩემი სევდა და მის გასაფანტად ოთახში შემოჭრილიყო.

ზაზა არქიტექტორია, ომისშემდგომ თბილისში სხვადასხვა სარფიანი მექანიზმით გამდიდრებულ თბილისელებს ორსართულიან ვერანდებიან სახლებს უპროექტებდა. ნარმატებული პროფესიული საქმიანობის ფონზე გაურკვეველ ფინანსურ მანიპულაციებში გაყო თავი. სახლში არავინ არაფერი იცოდა, პრობლემა მოულოდნელად გამოცხადებულმა პირველმა მეველემ გააფურა. მას მეორე მოჰყვა, მერე — მესამე, ზაფხულის ბოლოს კი გადაწყდა, რომ სახლის გაყიდვის გარეშე სიტუაციიდან გამოძრომის შანსი წულის ტოლი იყო.

\*  
მამაჩემმა იმ ზაფხულს უნივერსიტეტი დაამთავრა და სამ მეგობართან ერთად გაგრაში ისვენებდა. მარინე მისაღებ გამოცდებს აბარებდა, ბაბუასთან და მის დასთან, თინასთან ერთად იყო თბილისში. ბებოს ზაზა ჰყავდა წაყვანილი რაჭაში, აგვისტოში ყველანი რაჭაში ჩავიდიოდნენ. ბებოს რომ დაურეკეს და უთხრეს, მარინემ ფეხი მოიტყვებოდა, სულ თხა, თხა იძახა თურმე. გადარეული წამოსულა თბილისში, ფეხმომტვრეული ბოლო გამოცდას როგორ ჩააბარებსო.

ბოლოსწინა გამოცდის საღამოს მარინე კინოთეატრ „გაზაფხულის“ ხალა-როსთან ბავშვობის მეგობართან ერთად იდგა. ბილეთის მოლოდინში წამოიყვირა და ნაიქცა. სასწრაფო დახმარება რომ მოვიდა, უკვე გარდაცვლილი იყო. სიკვდილის მიზეზი — თავის ტვინის ანევრიზმა — სამედიცინო ექსპერტიზამ ამოიცნო.



\*\*\*

დილის გრილ, გაცრილ ჰაერს  
ჯაფარა' ჩიტმ გადუ'ფრინ...

\*\*\*

შხამიანი-დ ეკლიან  
დღეებს არ აქვ სათვალავ,  
ვერასი მომიწვლავ  
ასთა ყოფის სამალავ.

ეჰ, სიცოცხლე დარდ ყოფილ,  
სუ სამარგელ, სანარავ...

\*\*\*

გულის ტკივილ მომატანს,  
თუშეთ რო მომაგონდებ.

\*\*\*

ჩამომხედ, ჩამომეშველ  
ზეცას მყოფელ უფალო,  
ჩემ სამშობლო: მტვრადგაყრილ,  
უქმლო-უხანჯარ-უფაროდ.

მომეშველე-დ მიძლიერ,  
ნუ გამიქრობ უკვალოდ.

\*\*\*

ჰო, ბარეე დღეს დავაყრი-დ  
ნისქვილსავით ჩამოვხფეკე —  
ხან ხვრიშ, ხან წმიდა ლექსებს...

\*\*\*

სულო, თავისუფლების მიმდევარო-დ მნატრელო,  
ათას განსაცდელისი-დ სატივირისგან ნაჭედლო,  
ამოდ ერთხენა-დ ჯორც წირ, მაინც ცას ასაჭრელო.

სულო, გაფონდი-დ გალად, ზეცისკრისკ ანაჭკდელო...  
ჯორცო, მიწას დამინდი-დ სულო, ცისკ ასანქრელო...  
დროს ტყუილადა' ხჯაფრავ, თავისუფლება არ მოვ!

\*\*\*

„ორჩია“, ითამამებ,  
მზის სადრელ ცოლ გყვანი“, —  
ამირანს უთხრ ერთ ჳევსურმ.  
მისმინ, ამკელი-დამკელი,  
ამირანმ შოორ ცას ახედ...  
ორჩია' — რა თქმა უნდა.

\*\*\*

გარეე სიტყვის თეთრ ფარებს  
ჩანაქანცარ ვმწყემსავ...

\*\*\*

უუ, რა ბედზე მოვასწარ  
თავთავდახრილ, დანამძიმარ,  
დანაპურალ ყანებს.

სისუშესულ, დანამზრალ,  
წვიმით თირთო შეპარულ,  
განაძაგძაგ ყვავებს.

უუ, რა ბედზე მოვასწარ  
თეთრად თოვლით განაჭოდ,  
შენაქოს გძელ ზამთარს.

გაზაფხულ ცხვრის თეთრ ფარებს,  
იმით წინ-უკვენ მომსვლელ  
დალლილ-ძალ-ცხენთ თქანთქარს.

უუ, რა ბედზე მოვასწარ,  
მეცხვარე მამის ხედრით  
კავკასზე ტკმელ თენებებს.

მკვდართ ხარჯებში მუ'მცდარად  
თვალგამლივარ ცხენ-მწედართ  
გაკვივლით ჭენებებს.

უუ, ბედზე მოვასწარ  
ანაფერად ლელესა-დ  
გვირილა შლილ ველებს.

ზამთარ-ზაფხულ ფეჭუ'ცვლელ  
ძიო, ზალო, ბერდედებს,—  
ჩემ თუშეთის მცველებს.

უუ, რა ბედზე მოვასწარ  
ჩემ დანოს სამჭედლოში  
გამოჩორკნილ ნამგლებს.

### ეთერ თათარაიძე

კერა'ის გძელ ჯაჭვებსა-დ  
რაზებს, ნალებს, ყაირებს,  
ძალის ყელის ჩანგლებს.

უუ, რა ბედზე მოვასწარ  
გულგამხეთქ „ხმით ტირილებს“,  
წელერთიან მტანჯველს.

უძველეს ზარს „დალაის“,  
კავკასიურად გლოვას,  
თვალთ ცრემლის დამდენს.

უუ, რა ბედზე მოვასწარ  
„თუშურ გარმუნის გიჟებს“,  
რიდით ნაწად დღეობებს.

უწმო, წმიდა სიყვარულს  
ვერ განაბედსა-დ ბოლომდ  
სატანჯველით ტყვეობებს.

უუ, რა ბედზე მოვასწარ  
საქსლოს დადგმულ აკაზმებს,  
ზედ ფარდაგებს-მქადაგრებს.

გძელ, მწვანე ეზოებში  
თუშ ქალის ნაწელსაქმართ,  
ჭკვა-გონით დამკარგავებს...

უუ, რა ბედზე მოვასწარ  
ჩემ დედის დედისდების  
მრემ ნაბედების თელვას.



სოფლის-ჩემ დანოს პირში  
კალია'ებით დამტკმარ  
მწიფე ყანის ლელვას.

ვერ დავეწენ, ვერ, ვერ, ვერ  
ნას-გადასულ სიმშვიდეს,  
იმის დრო-დრო ელვას.

უუ, რა ბედზე მოვასწარ, თვარ...

\*\*\*

უგემური-დ უამურ დღეების დგას წყება,  
გარეულ-შინაურთგან წყენა, წყენა, წყენა.  
მაინც ამ სოფლიზ ბლაჯურ, მაინც ვერ შეწყენა...

ნეტავ, რა'ი სამზეოე?!

\*\*\*

ეს დღეებ დილაობით  
ვისმინ შაშვის ჩივილ,  
ბალღებით განაძარცვალ  
უბან ღბოლევდ ჩილიმს.

წმალება აღარსი იდგ,  
დილით ნუხრამდ ლივილ,  
სიდ წავიდნეს, დი'კარგნეს,  
გულს ხფლეთს მძიმე ტკივილ.

ეს დღეებ გულსანყვეტო,  
ვისმინ შაშვის ჩივილ...

\*\*\*

გახუნებულ საფლავებ,  
დავინყებულ მკვდრებ...

\*\*\*

უკვე ყვავის ტყემალი-დ  
შვინდ, ჭერემი-დ გარგარ,  
მალ სისეს დი'ფენს არაგვი-დ  
დანადუმარ ჩარგალ.

ბუნება გაბობოქრდებ,  
ეეს ჯადოქარ, მქარგავ.

\*\*\*

მინა მთელ ზამთრ ნადუმარ  
დგანდგარ შეყრილ ყვავილთ შლიდ...

\*\*\*

სმენის მტკმობელ ჩიტუნა'  
ხითა ხეს სწორს უძახოდ...

\*\*\*

ცხენი-დ კვიცი-დ, ძალ-ლეკვა',  
კატა-კოტნა', ჩიტი-დ-ბლარტ  
გაზაფხულის მეხვედრად  
მზეზე მიუშლ-მოუშლი  
ანაჩქარალ მარტს...

\*\*\*

— მოდ, მთებ გადავიფრინოთ...  
— არა, ჯერ გრილ დღეები!

\*\*\*

ეუთხარი ნუშის ხეს:  
— დაო, მიაბე ღმერთზე  
და ნუშის ხე აყვავდა...  
ნიკოს კაზანძაკისი

მეაც მინდ ნუშის ხედ ქნილ  
ღმერთის აწსენებაზე  
ავიპენტო-დ აყვავად.

მემრ ი'ს ყვავილ არ გავყარვ,  
ადამიანად არ ვიქც,  
ყვავილშლილ ხედ გაქვავად.

მარტო ღმერთზე რო ვიფიქვრვ...

\*\*\*

ჩემ ტმილმ უფალმ უფსკერო  
სიხარულით კერა გვიმვს:  
სამ შვილიშვილს მოგვასწარ —

ანასტასიას შემდეგ  
ანდრია არაბული-დ  
ლუკა ბიჭით მოგვატკმე...

ღმერთო, ათასად გვიქცი  
ალალ-მართლებ, ჯანმრთელებ, —  
ეეს სათხოვარ მოგვაქვ.

ტასო, ანდრია, ლუკა  
რა ბადაგად მოგაქვ...

\*\*\*

ერთხენ უკვე გითხარი-დ  
კიდევ ერთხენ დაგნონავ,  
შეგეხვენებ კიდევ:

საიქიოს სიმთხილით  
შესვლა გვინდ, რო შეცდომით  
არ შევწდეთ ცხვათ კიბეს.


თვარამ იქაც თუ მეკარგ,  
ჩემ გაკვივლ გა'ყრუებს  
შავეთის ცის კიდეს...

\*\*\*

გაძალღებულ ღამეებს  
ღრენა-ღრენით ვათენებ...







\*\*\*

— „ლელაჲ“! — დედამ მიძახავ  
წუხრ სიზმარში ცხადადავ.

— ნეტაი შენ, ლელა, რო  
დედის ჳმა მოგედინ...

\*\*\*

ოწრის მამულს დანაფერ,  
განანირალ მთის სოფლებ...  
დაფიქრდ, ჳელითა მიგდის,  
გიცოტა'დებ სამშობლოა.

\*\*\*

წეროებით ლურჯ ცაზე  
სიყვარული მიწერილ...

\*\*\*

ადვილადამც მათქმევი,  
რა'ის თქმაიც ბევრია-დ,  
რა'ის თქმაიც ძნელი.

სხივებითამც მა'მარამაშ,  
რა'იც უთენებია-დ  
მრუმეია-დ ბნელი.

მათქმევიამც, სანუთროა  
რა'გვერითა' მზაკვარი-დ  
ყელს მხვევ, ცივ, მხრობ გველი.

მათქმევიამ ადვილად,  
სიცოცხლე რო წუთისი,  
მინაია-დ მტვერი.

ადვილადამ მათქმევი,  
ძნელ რაა ამოთქმა-დ  
კაც რო თავის მტერი...

\*\*\*

ფეფე მაწონს აფოფრილ,  
დადიოდის მთვარეულ,  
ძველის-ძველის მიმდევარ,  
ახალ იმიზდ მხალეულ.

„პატარზალ შინ ვერ შემოვ,  
ადათ ანაცხავეულ,  
უბიანებ უნ ეცვას,  
პირს ჩადრ ანაფარეულ“.  
თქვაა-დ ა'სრულ დანაქადნ  
ქორნილ არვის დარეულ,  
უბე-ფარაგა'იან  
ზალო მზეს ნადარეულ.

ხალხ ნამდვილ არსს დანაბრუნ,  
ერთია' დლე მტკნარეულ,  
ფეფე მაწონს აფოფრილ,  
ძველ ადათით მტკნარეულ...

\*\*\*

ფთებსველ წერო რა'გვერც ცას,  
ლონელებულ მინას ვლგლი...

\*\*\*

დარდის კუნძად ნაქცევიარს  
ამოდა' ცეცხლ მიკიდავ.

\*\*\*

შიშის ჟირჟოლ დამივლის  
დროის უღლელ დენაზე.

\*\*\*

დუ'ხარჯველა' შეშაი  
შავ ყორზე მინანყობ,  
ჯანგმოდებულ რკალურ ნალ  
კარის დირეს მინაკრობ.

კუთხივ მარჯვენას ხარბად  
მზე მოცინარ-მინაცხრომ...

\*\*\*

ახლ იდგების დაღვრემილ,  
დანაჩუმარ არეჲ,  
ლილად ექნებ შენაბამ  
ცას მირგველა' მთვარეჲ.

\*\*\*

ყაზბეგს, ლამესა-დ წვიმას,  
გულ დარდითამსულ მყინვარს,  
თერგს მირღვეს, განამ მჭირვალს  
ჩაგადნებითამც გულში!..

\*\*\*

ჭირხლი ბეთლემს მოდებულ  
მარგალიტის მძივსავით...

\*\*\*

მეაც მინდოდ, საქსლოს რო  
ლეგა ტოლ შენდ მებეჭ,  
ტანთართლიან კრაველ რო  
შენდ მერჩია-დ მეკეჭ.  
ზამთრიზდ კერა'ის ნთებად  
ზაფხულ ჳმელ ხენ მექეჭ,  
შენდ ჳელჩქარად ნაქსოა'  
ფეწსამოს სკივრთ მეკეც.  
წყალმონაჩქეფა' ბანზე  
სიბუქად ცოცხ მექენწ,  
ფარდაგთად ტან გამებერტყ,  
ცალწელა'ებ მექერწ.  
მონარიდალ სტუმრისად  
კალთა' მეჭირ, მეხვენწ,  
შენ მოსასვლელ ბილიკა'  
თვალთ მეჭამ-მევენწცლ.

მეაც მინდოდ, მინდოდ, მაგრ  
რამდენიც გინდ მეხვენწ...

\*\*\*

— ჩემ წილ ყველაფერ ქარმ წი'ღვ,  
სიყვარულიც ნიადგა,  
ალარ მწადის, უფალო,  
ვის რად ვსჭირდებ მე, აბა?  
ერთხენა'ემ მახედვი,  
რა'გვერ დავრჩებ მე ამბად...

— ერთ დროს ცას პირ გე'წსნება-დ  
შენ ლექსთ მოსთოვს ნიადგა.

— მერავ,მერავ, უფალო,  
მერავ, მერავ, მერავ...

\*\*\*

სენ-სარიჯელ გაშოროსთ,  
სუ ჯვარ გწეროსთ უფალმ,  
ჩვენ მომდევნო ქართველნო.

\*\*\*

ცაიც სუუ ძაძანაცვამ,  
დღეებ ქარიშხლიან,  
რა'გვერ დაგქანც, სულო.

\*\*\*

ფერგაცრეცილ ყაყაჩოდ  
ამოვწდებ საფლავეითი-დ  
შენ მთა-ველებს ავიშლებ.

მთელ ზაფხულებ ნაფრიალ,  
ქანცგანაცვალ ფურცლებით  
შენივ მინას ჩავიშლებ.

„ფერგაცრეცილ“ — ეს სახელ  
მე მოგიგონ, არ მივიწყვ,  
შე მართლ ფერგაცრეცილო.

\*\*\*

ჰო, შენ ვერ იც, რა მძიმე  
გზაკვალს გავდივარ,  
სული-დ იმედ გამორთმულ  
მკვდარს რო ვადრივარ.  
ჰო, შენ ვერაფერ ვერ იც...

\*\*\*

მთისთავ ნანწნარ ჯანლებს  
ფიქრებ მიგავის...



დიანა ანფიმიადი

ტყვეთა გაცვლა

რაც მავინყდება  
და ყოველდღე რასაც ვიხსენებ,  
შელამებისას გამოება ჩრდილებად ნივთებს.  
და ვარ ბავშვით,  
შეხორცებულ მუხლს რომ იჩიქნის,  
სტკივა — ერთობა, სტკივა და ითმენს.

ტყვეთა გაცვლაა სიყვარულის და ომის შემდეგ,  
დაგამარცხეს თუ დაამარცხე,  
გძლიეს თუ სძლიე,  
დავინყებულს და გადაკარგულს იბრუნებ შენს თავს —  
სანაცვლოდ ატან  
მას, ვინც გიყვარს ყველაზე ძლიერ.

ჩიტიფაზა

ჩიტებმა ხის ჩრდილი წაიყოლეს, წაილეს,  
შრილიც — პლასტმასის ფერადი ნისკარტებით,  
თუ შენს ჩრდილს ვერ ვხედავ ნიშნებად, გზამკვლევადა,  
ხომ იცი, როგორ მარტივად ვიკარგები.  
გზა — ქარს მივანერე ჩემი სახელივით,  
ნაწერით გაკრულით და ოკრობოკროთი,  
ქარს პოლიეთილენის აფრებით მოვქონდი —  
ნაგავსაყრელიდან მშობლიურ ადგილამდე.  
უნდა მოვუხარშო ჩიტებს ჩიტიფაზა,  
უნდა დავაპურო სიტყვებს შესუელი,  
ჩიტები. შენი ჩრდილი მინიდან არ აკენკონ,  
ჩემი წაიყოლონ სულიც და სხეულიც.

ძალეზი

სარკის ზედაპირი გავკანრე კალმით,  
სარკის ზედაპირზე დავწერე ფრჩხილით,  
ფრჩხილებში მრჩება ვარსკვლავის მტვერი,  
თვალეებში — სარკეში ჩახედვის სიფრთხილე.

ხმა, ბედნიერება, შეხება, წერილი,  
დამსხვრეულ შუქს ვერც ვერაფერი ამთელებს.  
კითხვიდან — მონყვეტილ წამწამს ამომაცლი,  
თვალისაგან დაფივით შუქს — ციციანათელას,

ადამიანები უყეფენ ძალეებს,  
ძალეებს ეს ყეფა და წემუტუნი ახელებს,  
— ადამიანები ხელსაც ვერ გვახლებენ!  
კვდებიან ძალეები, მერე სხვა ახალი  
ძალეები მოდიან, კაცები ყეფენ...  
ველი მოთმინებით იმედის სიკვდილს.  
ცოტაც და მოკვდება, სულ ცოტაც, ახლავე...  
ყმუიან კაცები.  
ყმუიან ძალეები.  
ქარმა ყვავილები ჩემს კვალზე მოფინა.  
მე კი მიხარია,  
ხვალისაგან ვინყებ  
ახალ, უიმედო, მაგრამ მშვიდ ყოფნას.



# ზაზა ბიბილაშვილი თხილი

დასასრული

\*\*\*

ზოგს რომ ჰკითხო, პიესის კინოსცენარად გადაკეთებას რა უნდა, მაგრამ ვერც არ ყოფილა.

ერთი ჯარის ძმაცაი მყავს კინორეჟისორი. უფრო სწორად, რალა ძმაცაი — ნლეზია, არ მინახავს. მაგრამ გაჭირვება ვის არ გაგახსენებს. ჯერ ხომ გამაკვირვა, რომ დაინტერესდა, მერე სულაც გამაოგნა, როცა დამირეკა და მითხრა — დამფინანსებული ვიზიტი და მალე გადადებოდასაც დაეინფორმე.

ახლაც ვერ გავიხსენებ ვიზიტი და ვუსმენ: ჭკბკ, ჭკბკ... კრკნკრკნ... ჭკრნ... კჭკბ, ჭკს... კნრკნკნ... კრჭ... კრკ-კნრკრკ...

\*\*\*

აჰა, ყველაზე მეტად რასაც ვერ ვიტან, ისიც გავიჩალიჩე. მჭევრმეტყველებით ხომ ისედაც არ გამოვირჩევი და თუ გინდა, სულ გამოვიყვანე, კამერა უნდა მომიშვირო. ასეთ დედამართობაში ჭკვიანიური აზრების მოფიქრებას და გადმოცემას ლამის ისევე თხილის კრანჭის მოსმენა მიჩვევია. ეგ არის, ტელეგადაღება ხანმოკლე მარტივობაა, თხილით კი, უკვე მგონია, სამშობიაროდან მოყოლებული მანამდე. ამიტომ ვეღარ მივართვი თავს ტრადიციულად მოქცევის ფუფუნება და „თამილას შოუს“ ჩანერაზე წავიდე. ჯარის ძმაცაცაც ვერ ვულაატები. ფილმის გაპირება გადაღების დამთავრებამდე უნდა. ძლივს ჩაანყო ეს ეთერი. ოღონდ თავიდანვე მტკიცედ გადავწყვიტე, ყველაზე ცოტა მელაპარაკა. გამომივიდა. მით უმეტეს, წამყვანიც არ ჩამოცივებია. მგონი, წესიერად არ აუხსენს, ფილმთან რა მკავშირებდა.

\*\*\*

„თამილას შოუს“ ფრაგმენტი ვნახე. წამყვანი, რეჟისორი, მთავარი როლის შემსრულებელი და ვითომ მეც მომავალ ფილმს განვიხილავდით. როგორც მივხვდი, რალაც ფსიქოლოგიურ დრამაზე იყო ლაპარაკი. თუმცა მისი შინაარსი მაყურებლისთვის აშკარად სიურპრიზად დაგვეტოვებინა — ან ჩვენ, ან გადაცემის მემოტივს.

ფილმის ამბავი გამოჩნდება, „თამილას შოუს“ კი მართლა ჰყოლია მაყურებელი. ყოველ შემთხვევაში, მეორე დღეს სამსახურიდან დაბრუნებულს კორპუსის წინ ნოდარამ ისეთი შეხვედრა მომიწყო, ლამის გადაცემის ჩანაწერს აკიდებული დარდი გამოიჭრა. მეზობლებში ჩამდგარიყო. ეტყობა, ფაქტებს აგროვებდა — მოგვიანებით კონკრეტულ სამხილებზე დაყრდნობით რომ ეგინებინა. სადღოლო, ხელი ჩამომართვა. მერე იმით მიუტრიალდა — ესო, იცი, რა კაციაო? იცი, რა ამბები ჩანატრა ტელევიზორშიო? ისინიც გუმინდელზე ოდნავ მეტი პატივისცემით მიყურებდნენ. იქნებ თვითონ არც ენახათ „თამილას შოუს“, მაგრამ ხომ გაიგეს, რომ ტელევიზორში ვიყავი.

ნიკა იმათში არ ერია. სადარბაზოში მისაღწევად კორპუსის გარშემოვლა რომ დავიწყე, მხოლოდ მაშინ შევნიშნე — პერიფერიული მხედველობით, ჩემი ფანჯრის ზემოთ, თავის აივანზე. კრანკარუნის არ ისმოდა. ეტყობა, ოჯახი ჯერ მხოლოდ ემზადებოდა მორიგი ტრაპეზისთვის. ემზადებოდა რა — ჩემ დაბრუნებას ელოდა.

— როგორ ხარ, მეზობელი? — ღიმილიანი ხმით გამომძახა ნიკამ.

არ მახსოვს, პასუხად რა წავილულულე.

— ამოიარე ერთი ჩვენკენ, თუ გცალია! სუროგატი ღიმილითა და ძნელად შესაცნობი ჟესტით ვანიშნე — ჯერ შინ შევივლი-მითქი.

სახლში შესულმა ვიგრძენი, რომ სხეული დამბუჟებდა. აჰა, ბატონო პროზაიკოსო, დრამატურგო და კინოსცენარისტი (პოეტობა აღარ გამახსენდა), მიაღწიე, ხო, რასაც ელტვიდი? ადი ახლა და ჩახედე თვალებში იმ კაცს! აგე პასუხი შენს ყოველ

ელ სიტყვაზე, რომელიც მასზე, მის ცოლზე და მათ უმსგავსო საქციელზე დაგცდენია მოთხრობაში, პიესაში თუ კინოსცენარში! — ფიქრობდი. ანუ თავს ვიკატუნებდი, ვითომ მართლა ამ ყველაფრისთვის ვემზადებოდი და, სინამდვილეში, დრო გამყავდა იმ სასწაულის მოხდენამდე, რომელიც მეორე სართულზე ასვლისგან მიხსნიდა.

მერე ან სასწაულის იმედი გადამეწურა, ან, უბრალოდ, გავაცნობიერე, რომ ჩემ ცხოვრებაში ყველაზე დაიდი წამი დამდგარიყო. წამი, რომელსაც ამდენ ხანს ველოდი და რომლის დასადგომად ამდენი ვიღვანე. წამი, როცა შემეძლო, ჩემი ამქვეყნად მოვლინების მისია შესრულვებულად გამომეცხადებინა. წამი, რომლის მერეც სულ ერთი იყო, მეორესართულელი მეზობელი პატიების თხოვნით ჩამივარდებოდა მუხლებში, თუ ძვლებში თხილივით დამამტვრევდა და აივნიდან ნაჭყვივით გადმომაბნევდა.

მოკლედ, ავედი, რა.

\*\*\*

ჩვენ აივანზე ვისხედით. მას „თამილას შოუს“ ენახა და ახლა იმას არკვევდა, მე რა ხელი მქონდა ფილმთან — რეჟისორი ვიყავი, მსახიობი თუ კოსტუმების მხატვარი. შეძლებისდაგვარად აუხსენი. და მან მთავარი კითხვა დამისვა:

— რაზეა ეგ შენი კინო?  
— თხ... თხილზე... — რა მოხდა, თუ ცოტა წავიზორძიკე. სამაგიეროდ, ამის მერე ნიკას თვალეში ისე შევხვდე, როგორც რამდენიმე საათის წინ „თამილას შოუსი“ ნამყოფ კაცს ეკადრებოდა.  
— თხილზე? აი, ვიცოდი, რო შენც გეყვარებოდა, რაა! ნანა!

აივანზე ვიქვიფეთ. თხილი ვჭამეთ და არაყი ვსვით. სასმელი ნანამ თხის პატარა დოქით მოგვართვა. არყის ამოქრობისგან გადასარჩენად დოქის ყელში ქალაღდი ჩაეჭმუჭნათ. მოგვიანებით ვიცანი — კონკურსში გამარჯვებული მოთხოვნების კრებულიდან ამოხეული ფურცელი იყო. კარგა ხანს კი შემორჩენოდათ ის კრებული. ეტყობა, იზოგავდნენ და თითო ფურცელს რამდენჯერმე იყენებდნენ. აბა, რომ გამოელიოთ, ახალ ნიგნს ვინლა დაუგდებთ კარის წინ?..

ჰო, ერთხელ გავიბრძოლე კიდევ. მორიგი თხილი რომ ვავტეხე — ეს ნაჭყვი სად წავილო-მეთქი — თან ემზაკური და თან მწარე ღიმილით ვიკითხე. ჩაყარე, პრობლემა არ არიო — ნიკამ. რა მექნა. დიდი ამბავი ახლა, სახლში მინც არ ვიყავი.

\*\*\*

მეორე სართულიდან ახალი ჟინით დამუხტული ჩამოვედი. მინც როგორ იცის ალკოჰოლმა. ნამდვილი არაყი თუ შეგხვდა და მისატანებელიც კარგი მიატანე, მერე შეიძლება მთებსაც დაეჭიდო.

მე მინც ახალი გეგმების დალაგება ვარჩიე:

ფილმი ლამის გამოსულია. კინოთეატრებშიც მალე გაუშვებენ. ორ ბილეთს ნოდარას ვაჩუქებ, ორსაც მეორე-სართულელების კარში შესატანად გავატან. მერე ტელევიზორშიც აჩვენებენ უეჭველად. რა იცი, დღეს კინოში ისეთი დომხალია, იქნებ საერთაშორისო ფესტივალეების კენაც გაიკვალოს გზა. ოსკარზეც თუ გაქაჩა, უკვე ვარიანტი არ არი — ნიკანანასაც დაინტერესებს.

ამისგან არაფერი გამოვა და, იმავე თემაზე რამე სულის ამავორიაქებელ სკულპტურულ კომპოზიციას მოვიფიქრებ. გავძვრები-გამოძვრები, მერიაში ვინმეს ვიპოვი და აქვე დავადგმევივებ, ეზოში. მეზობლები გაივლიან, გამოივლიან — თვალში მოხვდებათ.

არასამთავრობო ორგანიზაციის დაარსებაც კარგი აზრია, სხვათა შორის. თან ეგ ნიშა თავისუფალია — ეგენი ყველაფერს მიედ-მოედებიან თხილის გარდა.

მერე საპარლამენტო არჩევნებშიც ნამომენევა და დეპუტატად ვიყრი კენჭს. დარწმუნებული ვარ, ეს პრობლემა მარტო მე არ მანუხებს და ახალ საკანონმდებლო ინიციატივას სერიოზული მხარდაჭერა ექნება.

ბოლოს და ბოლოს, ამასობაში ან გავვიფიქრებ, ან დავებრდები და მოვკვდები. ან ნიკა და ნანა დაიხოცებიან. დროებითია ყველაფერი, ამიტომ როდისმე ყველაფერი კარგად იქნება. წყნარად მინც, კრანაკარუნის გარეშე.

## მაკა ცხველიანი

# მე და შენ, მარინე



დასასრული

სულ მივირდა, როგორ არ შეიძლება ბებიანემმა რაჭა, სადაც თორმეტი წლის შვილი დედამთილს დაუტოვა და ბედნიერება — წარსულს; საიდანაც გაკაპასებული ნამოვიდა თბილისში, რომ ქოქილა დაეყარა მარინესთვის გაგანია გამოცდების დროს უპატიებელი დაუდევრობისთვის.

სახლის გაყიდვა რომ გადაწყდა, მაშინაც ზაფხული იყო, აგვისტო მთავრდებოდა. სექტემბრის შუა რიცხვებში უკვე გაიყიდა. იმ პერიოდში მარტო მამა დადიოდა ბებოსთან, მე და გიგისას არ გვინახავს, როგორ ცლიდა ბებო ბინას, როგორ ალაგებდა ნივთებს ყუთებში, როგორ ჩამოსხნა საწოლის თავიდან შავ ჩარჩოში ჩასმული შავ-თეთრი პორტრეტი. ვერც ჩვენს მეგობრებს დავემშვიდობეთ.

მერე ბებოსთან ისევ მივედი. ახალ სახლში, სადაც მისაღებ ოთახში ისევ მწვანე ფარდები და საწოლის თავზე შავ-თეთრი პორტრეტი ეკიდა, ბუფეტი იდგა და ფანჯარაზე იები იგიჟებდნენ თავს. ოღონდ ეზოში სულ სხვა, უცნობი ბავშვები ხმაურობდნენ, აივნიდან ცაცხვების ხეივანი მოჩანდა და ქალაქის გარეუბანი შეყვარებული მშობლების დაამორცხვებულ ამორძალს წაგავდა.

მომდევნო ზაფხულს ისევ ერთად წავედით რაჭაში. აგვისტოს ბოლოს, უკან რომ ვბრუნდებოდით, ბებომ და ბაბუამ გადაწყვიტეს კიდევ ერთი თვით დარჩენილიყვნენ. 17 სექტემბერს, გიგისას დაბადების დღეზე, ბაბუამ ამბროლაურიდან დაგვირეკა და გვითხრა, რომ ბებოს წნევა დაარტყა.

იმედს არ გვაძლევდნენ, მაგრამ გადარჩა. სახლში რომ დაბრუნდა, მე და გიგისა სანახავად მივიყვანეს და წინასწარ გავგაფრთხილეს, რომ ბებო ცოტათი შეიცვალა. სავარძელში იჯდა, თმა სულ გათეთრებოდა, მარცხენა, უმოძრაო ხელი მარჯვენაზე ეჭირა, ვეღარ დადიოდა და გვერდულად გვილიმოდა მე და გიგისას.

\*

სადაც თორმეტ-ცამეტი წლის ასაკიდან ძალიან ხშირად მეფიქრებოდა მარინეზე. მეფიქრებოდა იმიტომაც, რომ ყოველ შაბათს ბებო მისი სურათების ალბომის გადმოღებას მიხვოდა, მაგიაზე გადავფიქრებოდა ერთად ვათავლიერებოდათ. ბებო აღარ თუ ვეღარ იკავებდა ცრემლებს. მარინე თხელი იყო და ძალიან ლამაზი ფეხები ჰქონდა. არ არსებობს, არ სცოდნოდა, იმიტომ, რომ წარწერი უმოკლესი კაბა ეცვა. ალბათ, გაგიჟდებოდნენ ბიჭები მის ფეხებზე, მის დრამატულ თვალეზე. ვერ მოვასწარი ბებოსთვის მეკითხა,

უყვარდა თუ არა ვინმე — ამაზე ფიქრი მერე ამეკვიტა, ცოტა უფრო დიდს, როცა პირველად შემეყვარდა და თვალდახუჭულმა პირველად ვუპასუხე კოცნაზე კოცნით. დღემდე მეფიქრება და ვერც მამაჩემს ვეკითხები, ვერც ზაზას — მოასწრო შეყვარება? ან პირველი კოცნა, რომელიც წვიმიან შუადღეს ცისარტყელის ამბორს ჰგავს? ოცნება მანაც მოასწრო?

მეფიქრებოდა ყველაზე ხშირად იმ ზამთარს, ბებოს რომ ინსულტმა გაუმეორა, რეანიმაციულ განყოფილებაში დაანვიწეს და სახლში ვეღარ დაბრუნდა. თექვსმეტი წლის ვიყავი, აბიტურიენტი.

მეფიქრება მარინეზე, ხშირად. იმ პერიოდის ფილმების ყურებისას, საიმონისა და გარფანქელის მოსმენისას, მეორადი ტანსაცმლის მალაზიაში ვინტაჟური კაბების ჩიჩქნისას. ისე ხშირად მეფიქრება, რომ ზოგჯერ ლამის ვეძებ. თან მდევს თვითონაც და ამბავიც, რომელმაც ჩვენი ოჯახის ისტორია შეცვალა, სულ სხვა, ახალ კალაპოტში მოაქცია.

\*

ვდგავარ და ისევ ვფიქრობ, რატომ გიყვარდა ეს ჯანდაბის სახლი, რატომ იხახდნენ, ვერ გაუძლო იმ სახლის გაყიდვას, საიდანაც შვილი გაასვენაო? რატომ აა ნორმალური ეს გვემა? ეს დროში განელი ხორცის ათლა, ეს ნელი კვდომა. სულ ვფიქრობდი, რომ თავიდანვე უნდა გაგეყიდა აქაურობა — რაჭიდან საქმიანად რომ ჩამოქანდი და კარი ღია დაგხვდა.

მენატრები და ვხვდები, რომ შეგნებულად შეიძლება მიისწრაფოდე სევდისკენ, ფესვებს იდგამდე ამ სევდაში, მყუდროებას პოულობდე და შეგებასაც.

რამდენჯერაც მიხსრეს, ასაკში მოგეწონება შენი სახელიო, პროტესტის გრძობა მიჩნდებოდა და ვერაფრით წარმოვიდგინე საკუთარი თავი ხანშიშესული, პროტეზით, თმაგაქუცული, ოსტეოქონდროზისგან ნელში გაკაკვული ან ინსულტისგან მარცხენა ხელწარმოებული. მარჯვენა ხელში ჩაბლუჯული რეზინის სავარჯიშო რგოლით და უსუსური იმედით, რომ გაზაფხულდება და გარეთ გავალ.

თვრამეტი წელი გავიდა და დღემდე ხავერდით ბუსუსებს მაყრის, როცა სადმე ქოთნის იებს ვხვდავ, როცა რუჰანს ვჭრი სალათისთვის, როცა ყანა წარბებს მიკეთებს და ყურებში აკვიტებული მლოდიასავით ჩამესმის: „შენს წარბებს შემოევლოს ბებო“, „შენს წარბებს შემოველოს ბებო.“

...როცა კახეთში დამსკდარი ატმები ძილის წინ ნაკითხულ გალაკტიონს მაგონებს, როცა ბუხარში ცეცხლი ტკაცუნობს, რაჭაში ქრიჭინებს საზაფხულო ნადიმი აქვთ გამართული, როცა რიონი მოქუხს და თავს ჯიუტად ვაჯერებ, რომ თუ არ მივფიქროვებდი, გადავირჩები.

ეზოდან ახალი თაობის ყიყინა მწვდება. სოციალური ქსელით გაიოლებული კომუნიკაციის წყალობით, კარგა ხანია, ყველას ამბები ვიცი. ანა და გიორგი მიყვებიან, რომ მარტოხელა მანიათ ლამის ასწლის იცოცხლა, ძიმა დედამისმა ლიუდამ, ყოფილმა ბალერინამ, მშობლიურ ბალტისპირეთში წაიყვანა საცხოვრებლად. ღარიბაშვილები გათხოვდნენ, ჯერ მათი ბებია გარდაიცვალა, მერე ბაბუაჩემივით ობლობაში გაზრდილი მათი კაკო ბაბუ.

იმას ფიქრობ, იცის თუ არა ნათვამ, ამ სახლის ახალმა მეპატრონემ, ჩვენი ოჯახის ისტორია? მეზობლებისგან აუცილებლად გაიგებდა. მამაჩემი მიყვება ხოლმე, რომ მთელი ქუჩის ტრაგედია იყო მარინეს სიკვდილი. ნეტარა გრძობა უნდა გეუფლებოდეს, როცა მყუდრო სამზარეულოში შვილიშვილს მოკოლაღის კექის უცხოზე და უტეც გახსენდება, რომ ამ შენი ციხესიმაგრის კარი ერთ დღეს საბედისწეროდ მოაფრიალეს?

ვდგავარ და ვბუტბუტებ, თან ვფრთხილობ — იქნებ ნათელას ყური აქვს კარზე მოდებული და უკერის — მე მქვია მარინე. მე მქვია მარინე. მე მქვია მარინე...

ყველაზე პატარა ზღვა

მსოფლიოს ყველაზე პატარა ზღვა თბილისის ზღვაა. მაგრამ ზღვაა, და მე ბავშვობაში ძალიან დიდი კი მეგონა, ისეთი დიდი, რომ, როცა მეორეკლასელებს გამოგვიცხადეს, გემით უნდა შემოვუაროთ თბილისის ზღვასო, და საექსკურსიო დღეც დავგინიშნეს, დედას ორი კვერცხიც კი მოვახარშინე, თონის პური ვაყიდინე, ყველიც, კიტრიც და სამოგზაუროდ გავემურე დანარჩენ ორმოცდაორ მეორეკლასელთან ერთად.

ამ ექვსდღიან მისიერად მსოფლიოში ყველაზე დიდი სასწავლო ნაწილის გამგე, გვარად ჩიტაძე, ძალიან დიდი კაცი. და რადგან ჩვენ ყველაზე კნაჭები და პატარები ვიყავით, ის ჩიტაძე სულაც დინოზავრად გვეჩვენებოდა.

ხომ გინდობა ბები, ამხელა კაცი ჩიტაძე არა ყოფილიყავი. მაგრამ იყო და, რაღა ექნა, ჩიტაძეობდა პატიოსნად, თმაც კი გასთეთრებოდა ამ ჩიტაძეობაში.

დავიძარიო. არც მეტი, არც ნაკლები — ამ დიად მოგზაურობაში ტრამვით წავედი.

მთელი ექვსი კილომეტრი უნდა აგვევლო და მივდგომოდით ზღვას.

და მივადექით კიდევ. მწკრივში ხელიხელჩაკიდებულებს დამრიგებელი, ანუ პირველი მასწავლებელი გვერდიდან არ გვმორიდებოდა.

ჟიამაშული უთუოდ იქნებოდა — აბა, როგორ?!

იქნებოდა გადაძახილ-გადმოდახილებიც, და განსაკუთრებით, როცა გემს დავინახავდით!

ეს გემი ნამდვილად არსებობდა. არ იფიქროთ, მწერალ ირაკლი ლომოურის „შეხვედრის“ მეტროს აქლემებით ჩანდა ჩავლილი ჰორიზონტზე. არა, ბატონებო — ნამდვილად იდგა, ირწოდა და გველოდა. ნამდვილი გემი, ალბათ, თბომავალი, თავისი კაიუტებითა და გემბანი. მთლად კაიუტა არა, უფრო სწორად სალონი, რადგან ყველანი ერთად ვისხვდით, ერთ დიდ სალონში და გაფაციცებულები ვიყურებოდით პატარა ფანჯრებიდან წყლისკენ.

გემბანზე, რა თქმა უნდა, სიფრთხილის გამო არ გაგვაჭაჭანეს — ამიტომ ყველანი სალონში გაენაწილდით ზუსტად ისეთივე ხის ძელკაშებზე, როგორზედაც ტრამვაიში ვისხვდით აქეთკენ მომავლები.

თოლიებიც იქნებოდა — ყოველ შემთხვევაში, მე მახსოვს, მაგრამ ვერ დავიჩემებ, ეს თოლიები მართლა იყვნენ თუ მე დამამახსოვრდნენ მოჩვენებულების სახით.

რისი დაჩემებაც კეთილსინდისიერად შემეძლია, ეს იყო გემი, რომელმაც დაიყვინა, დაიძრა, კიდევ დაიყვინა და წყალზე გასრიალდა ნახევრად ლურჯად და ნახევრად თეთრად შელებილი.

ასევე ნამდვილი იყო ქარი, რომელიც სახეში მცემდა.

ნამდვილი იყო დიდი წყალიც.

ნამდვილი იყო სიხარულიც და ბედნიერი ბრძანებაც: ბავშვებო, შეგიძლიათ ჭამოთ!

ვჭამოთო?!

ოხ, გადავფურჩქნეთ ჩვენი საუზმეები და ვაქნიეთ ყბები, მოვიგდეთ შიგ მოხარული კვერცხი, კიტრი, ყველი და პური.

ყველაზე გემრიელი საუზმე მთელ მსოფლიოში.

მერე ვცვალეთ ერთმანეთში მომპასვები და კონახურის კანფეტები, და იმდროის „ყველაზე-ყველაზე“ ნამცხვარი — შაქარმოყრელი კარაქიანი პური. ჰო, შაქარმოყრელი. ახლანდელდებმა რა იციან ამ უგემრიელესი ჩაროზის გემო?! არადა ეს იყო, თუ იყო! ყველაზე კარგი ნამცხვარი — სახელად არც ჟოზეფინა, არც ნაპოლეონი, არამედ „საბჭოთა ბავშვობა“!

ამასობაში გემმა მსოფლიოს ყველაზე პატარა ზღვაც შემოიარა, თითქოს ჰორიზონტს წრე დაარტყა და ისევ გაჩერდა.

გემზე დიდი იყო ჩიტაძე, მთელ ჰორიზონტს ფარავდა. ის პირველი გადმოვიდა მერე ჩვენ მოვყევით კვალში, მერე — ჩვენი მასწავლებელი და ასე დავბრუნდით შინ, ისევ ტრამვით. დაცლილი საუზმის აბგებით, მაგრამ სავსენი შთაბეჭდილებებით. ჩვენ უკვე გაცილებით სხვანი ვიყავით, ვიდრე აქეთობას. ზღვა მოვლილები გავმხდარიყავით!

მარიამ ნიკლაური



ეს იყო ჩემი პირველი და ყველაზე დიდი მოგზაურობა ყველაზე პატარა ზღვაზე. ახლა ზღვა, წყალი, ქარი და თოლიები ისევაა. თუ გაჭირდა, ყველს, პურს, კიტრს და მოხარულ კვერცხსაც იშოვი, მაგრამ — კარგა ხანია მას აქეთ, ლამის ნახევარი საუკუნე — გემი არსად ჩანს, არც ტრამვაი. ალბათ, ერთ-ერთი შემოვლის დროს, ამ პატარა ზღვას დიდ ოკეანეში გასასვლელი უპოვეს...

ჯერ არ დაბრუნებულან — ვინც მაშინ ამ გემზე და ტრამვაიში იყო, თან გაიყოლეს და წავიდნენ დიდ მოგზაურობაში...

მე ისევ აქ ვარ, ამ პატარა ზღვასთან... გემს ველი...

ველი ტრამვაისაც... არაფერი ჩანს ჯერ...

დიდ ზღვებზე და ოკეანეებზე ვოცნებობ, მაგრამ აი, ასე — კვლავაც ყველაზე პატარა ზღვის სანაპიროსთან მდგარი...

უთაოდ დამარხული კაცი

სიკვდილი პირველად ფოტოდან გავიცანი. ჩვენ სახლში ერთადერთი ფოტო ეკიდა, ოქროსფერ თხელ ჩარჩოში ჩასმული. ზედ ახალგაზრდა ქალი და კაცი იყო გამოსახული. გვერდიგვერდ იდგნენ თუ ისხდნენ, ვერც გაარჩევდი, მარტო ლამაზი თავები მოუჩანდათ — თითქმის ერთმანეთზე მიდებულნი. ეს ოქროსფერი ჩარჩო უფრო „მაკიაჟს“ მოჰგავდა, ძალიან რომ არ დათრგუნულიყო მნახველი. ახალგაზრდა კაცი თეთრი პერანგით, ჰალსტუხით; ქალიც ძალიან ახალგაზრდა ლამაზი მოსასხამით... „ბები“ და „პაპა“ — ამ სიტყვების ტოლები არაფრით იყვნენ, მაგრამ ასე გაგვაცნო მამამ თავისი მშობლები.

დედის მხრიდან კი მყავდა ბები, ერთადერთი, ცოცხალი. ამ ბებიასთან რომ ჩავედი სოფელში პირველად, იქაც უამრავი სიკვდილი დამხვდა ფოტოებზე. ბებიას სანოლის თავთან ხალიჩა ჰქონდა კედელზე გაკრული, ხალიჩაზე კი მთელ სიგრძეზე ოვალური პატარა ჩარჩოები. ყველაზე ახლოს, თავთან, ულამაზესი სიკვდილის ფოტო ეკიდა, ქერჩში დაღუპული, თითქმის თავის კბილა ძმისგან.

ღმერთო, ფოტოებზე რა ლამაზია სიკვდილი, დაუნდობლად ლამაზი, როგორც ის კოლია, ნიკოლოზ ბახტაძე იყო.



მესამედაც გავიცანი, როცა მამას მეგობარი, ოცდახუთიოდე წლის ბიჭი ისე გარდაიცვალა, რომ ვერც გაიგო, თავისი ორი თვის, პირველი შვილის გარდაცვალება. ჩვენი უსაყვარლესი ციური დეიდა კი, აი, ასე დიდებულად თამაშობდა როლს, სახლიდან ორი თვის ერთადერთი შვილი რომ ანგელოზებს გაატანა, საავადმყოფოში ჭრელი კაბით აკითხავდა ავანაჟის ხელით სასიკვდილოდ გამეტებულ ულამაზეს მუდღეს და ანგელოზებს უყვებოდა, მერე სახლში ბლოდა, მერე ისევ საავადმყოფოში ანეკლოტებს ყვებოდა და ბოლოს დაისვენა, რადგან ერთ დღესაც პატარა ისევ ამოგლიჯა ხელიდან მინის ანგელოზს და თავის მამიკოს გააყოლა შორ გზაზე, ერთად რომ ყოფილიყვნენ და იქ მაინც ეჯერა გული მამას შვილის მოფერებთ.

ჩვენ სახლში ეს სიკვდილიც სურათით მოვიდა. პატარა ვიყავი, მაგრამ სრულიად მესმოდა, რამხელა ტკივილმა დაიბუდა ჩემებში, მხოლოდ ის არ მესმოდა, რატომ იყო ყველა სიკვდილი ფოტოზე ახალგაზრდა და ლამაზი?

სიკვდილს კიდევ გავიცნობ მერე — ჩემი ბაღელი მეგობარი, ხუჭუჭთმიანი, შავთვალემა, გაჩხიკული მანანა რომ ცეცხლის ანგელოზმა ნაიყვანა და ისევ სურათით მოვა სიკვდილი, მაგრამ საბავშვო ბალის სურათით.

გავიცნობ მერეც, როცა ინეზასთან, ულამაზეს გოგოსთანაც გადაიღებს სურათს... არც ქმარს დაიყენებს გვერდით ინეზა, არც უსუნთქველ ყრმას, პირდაპირ სიკვდილთან გადაიღებს ფოტოს.

და ასე ბევრჯერ, კიდევ ბევრჯერ...

ახალი წლის ღამეს რომ ერთი მეზობლის ნასროლი ტყვია მეორე მეზობლის რვა წლის გიოს გაუვლის სხეულში, აბა, ის სურათი უნდა ნახოთ, რაა...

სახლის საოჯახო ალბომში ვინ მოთვლის რამდენი ასეთი სურათია ჩაკრული ან უბრალოდ ჩადებული, თუმცა ბოლოში, სულ სულ ბოლოში, სოფლის განაპირს რომ მიუვავს. ალბომიც ხო სოფელს ჰგავს, ასეთი მიცვალბულებსთვის ადგილი მასაც შუაგულიდან კაი მოშორებით მოულობავს.

სიჩუმეა იმ ფურცლებზე ალბომშიც, მზეც ნაკლებად აღწევს, მზერასაც ყველა არიდებს, სიხარული კი იქ, აბა, რა უნდა?! ერთი კარგად გამოძლებოდა ხოლმე სიკვდილი და მიდიოდა, გვანებებდა ყველას თავს. პირველი ქელებიც მახსოვს, ის

ხალხით სავსე ეზოც, უხუცესი სოლომონი რომ გააცილეს იმ სოფელში, ოთხი წლისა ძლივს ვიქნებოდი, მეზობელი იყო და ამიტომ ყველაფერი მახსოვს, თან ვილაც მთვრალი კაცის ანთებულმა პაპიროსმა ბებოს შეკერილი რუშებიანი კაბის სახელო ამომინვა და ისე მწარედ ვიტყვი, ვინ იცის, სოლომონ ბაბუა სიხარულით დამყურებდა ციდან, როგორ მტირის ეს თითის სიგრძე ბავშვიო.

მხოლოდ ერთხელ აჯობა სიკვდილს კაცმა ჩვენ სოფელში. არა, რის ნახარეველი, რა აღდგომა?!

ამ კაცს კაკიას ეძახდნენ. მონტიორი იყო, „დენის კაცი“. ცხოვრობდა. როგორც ყველა. მუშაობდა, მაგრამ ყველა რომ მიწაზე მუშაობდა, ზოგი თოხნდა, ზოგი „ჩასკრფდა“, ზოგიც „ავტოზაოდში“ დაიარებოდა ცვლებში, ეს კაცი ბოძებზე ან მხოლოდ ისეთ შენობაში აკეთებდა საქმეს „არ მიეკაროთ, სასიკვდილოა“ რომ ეწერა. ზედაც თავის ქალა და ჩონჩხის ძვლები ეხატა. არ ჰგავდა მისი სამსახური სხვა სამსახურებს, ძია ლენინი რომ ეხატათ ან, ნამგალი და ურო. ჰოდა, კარგი რა უნდა დამართოდა ადამიანს, რომელიც სულ „სასიკვდილოებში“ დაიარება?!

ავიდა ერთხელაც რომელიღაც ბოძზე რკინის ფეხებით. დაარტყა დენმა, მოისროლა მთელი ძალით და დიდი სიმაღლიდან ძირს, მიწაზე დაანარცხა. ყველას ეგონა, მოკვდაო კაკო. მოვარდა ხალხი. ცუდი ამბავია კაკიას თავს. უცებ ვილაცამ მოისაზრა, სასწრაფოდ მიწა ამოთხარა და ჩაფლო. ალბათ სხვებაც დაიხმარა, თორემ კაი მაღალი კაცი იყო კაკო და ასე თვალის დახამხამებაში ერთი ხომ ვერ გაუთხრიდა საფლავს?!

ასეთი სასწრაფო წესით ალბათ არც არავინ დაუკრძალავთ ქვეყნად. არც ზეთიანი ბრინჯის ფლავი მოუხარშავთ, არც ოცდაათი წლის წინათ გარდაცვლილ მეზობელთან მოსაკითხი გაუტანებით, ისე ჩაფლეს საწყალი აყალო მიწაში. ცოტა უცნაურად კი ჩამარხეს, მარა ვინ ჩიოდა ახლა მაგას, თავი მინით რატო არ დაუფარეთო?!

სხვა მხრივ კი, ინვა კაკო სამარეში და იყო უძრავად. არც სანთელი, არც საკმეველი, არც ლოცვა და არაფერი... რაის წესის აგება და რაის მღვდლის ბუტბუტი?! ან მღვდელი სად იპოვებოდა იმ დროში?! ცა ჩამოქონდა მისი ცოლის კივილი. ხალხი კი ხმას არ იღებდა, სულგანაბული მიჩრებოდა უთაოდ დამარხულ კაცს. ხო უთაოდ, აბა?! თავი დაუტოვეს მაღლა. არც წამოუწვიმია, არც კრეტსაბელი გახეულა სადმე, არც ჯვარი შეუჭედავთ, არც ნელსაცხები უცხიბათ, არც სამი დღე გასულა, მაგრამ აღსდგა კაკოე!

ჭეშმარიტად აღსდგა! მოხდა სასწაული!

გადირია სოფელი, მთლად შეიშალა და დადუმდა ცოლიც.

გაულოკა მიწამ რაც რამ დენი და ჯანდაბა ჩადგოკოდა ტანში, გამოაცოცხლა და გაახილა თვალები!

ეგებ და, ჯოჯოხეთიც მოატარა უფალმა და ბჭენიც ამსხვრევინა, ვინ უწყის: სამარიდან ამოვიდა კაკო ცოცხალი, დაბრუნდა აქ. აჯობა სიკვდილს და დენს, ყველაფერს აჯობა!

დადიოდა ასე მაცხოვარივით მობრუნებული სოფელ-სოფელ. არც სიმაღლე დაკლებია, არც ფერ-ხორცი — ცოტა ეგ იყო ზნე შეეცვალა, თვალის გამჭურება და უცნაური მისალმება დასჩემდა ბედნიერს. რომ მიესალმებოდნენ და მოიკითხავდნენ, პასუხობდა, მე რა ვიცი, მე რა ვიცი, არაფერი მინახავსო. სულ ეგ იყო კაკოს აღდგომა.

არც სურათი გადააღებინა სიკვდილს, არც არაფერი, დატოვა ეგრე ხახამშრალი. გაგოჟდა სიკვდილი, ეს რა მომივიდაო... დიდად შეურაცხყოფილიც კი დარჩა...

ასეა, ერთი ალილუია მღვდელსაც წასცდებოდა ერთი კაკო სიკვდილსაც გამოეპარებო... მაგრამ ეს ერთადერთხელ მოხდა. სხვა უთვალავ ჯერზე ყველაფერი ფოტოსურათის გადაღებით მთავრდებოდა. აპარატი იგივე, ტექნოლოგიაც იგივე, მაგრამ სულ სხვანაირი გამოდიოდა სიკვდილის ფოტოები, სულ სხვანაირი...

არასდროს არაფერში აგერევა ადამიანს...

ჭირი ეცეს და სიკვდილი მაგას...



მწერალი

იუნონა გურული

იუნონა გურული დაიბადა და გაიზარდა თბილისში, 1999 წლიდან კი გერმანიაში ცხოვრობს. შოთა რუსთაველის თეატრალურ უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის შემდეგ აკადემიურ განათლებას იღებდა ჰანოვერისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტებში, რომლებიც პოლიტიკური მეცნიერებებისა და უახლესი ისტორიის მაგისტრის ნოდებით დაამთავრა. ფლობს ქართულიდან გერმანულად და გერმანულიდან ქართულად მთარგმნელის სახელმწიფო სერთიფიკატს. ირაკლი ჩარკვიანის „მშვიდი ცურვა“, სალომე ბენიძის „ქალაქი წყალზე“, აკა მორჩილაძის „გასეირნება ყარაბაღში“ და სხვა ავტორების არაერთი ნიგნი გერმანულ ენაზე სწორედ მან თარგმნა. რაც შეეხება ორიგინალურ ტექსტებს — ქართველმა მკითხველმა რამდენიმე წლის წინ ის ლექსებით გაიცნო, შემდეგ კი მისი პროზა შეიყვარა. მისი პირველი პროზაული კრებული „დიავნოზი“ ლიტერატურულ კონკურსზე „საბა“, 2016-ში წლის საუკეთესო დებიუტად აღიარეს.

ერთ-ერთ გერმანულენოვან ინტერვიუში შეკითხვაზე: „რა ქარმა გადმოგიხროლათ ბერლინში?“, ის პასუხობს: „პირველად — შემთხვევამ, მეორედ კი — ცხოვრების საუკეთესო გადაწყვეტილებამ“. სწორედ ბერლინიდან არის გადმოგზავნილი ეს პასუხებიც „ლიტერატურული გაზეთისთვის“.

— თქვენ განსაკუთრებული ავტორი ხართ, იცით, რა თვალსაზრისით? აი, მაგალითად, გამოჩნდებიან ახალი ავტორები, საინტერესო დებიუტანტები და მათზე ამბობენ: „იმედისმომცემია“, „საინტერესო დაინყო“ და ასე შემდეგ. თქვენ კი მკითხველმა გაგიცნოთ როგორც მწერალი და არ გამოვიდა, ვინმეს ენოდებინოს „დამწყვეტი“. მეც სულ მიკვირდა, სხვებივით: „რატომ აქამდე არ ვიცნობდი მას? როგორ მოხდა, რომ არაფერი გამეგო მის შესახებ, არ ნამეკითხა“. როგორ დაინყო თქვენი მწერლობა „გამოჩნენამდე“? როგორ დაინწყით წერა?

— უპირველესად, დიდი მადლობა ინტერესისთვის. ბავშვივით გამიხარდა ინტერვიუს შემოთავაზებამ.

წერა ძალიან ადრე დავიწყე. თუმცა ეს ძალიან ხმაბლადი ნათქვამია. რალაცებს ვვლავლი ჩემთვის. დედაჩემს შენახული აქვს ჩემი პირველი ლექსები, 5-6 წლის ასაკში დანერვილი. აი, მაგალითად, ერთის ნაწყვეტი მახსოვს:

„აცივდა, აცივდა, აღელდა ზღვა,  
მე არ მეყვარება“

დედოკოსნიარად ადამიანი სხვა“.

მოთხრობების წერაზე ძალიან გვიან, სულ რამდენიმე წლის წინ გადავედი. უბრალოდ, მივხვდი, რომ ისეთი ამბები დამიგროვდა, რომლებიც თხრობის სახით უკეთ გამოიხატებოდა, ვიდრე ლექსის საშუალებით.

ლიტერატურაში გამოჩენას რაც შეეხება, რუსული ზღაპარი რომა თალგამის ამოღებაზე, ბაბუა ბებიას რომ ეჭიდება, ბებია შეილიშვილს და ასე შემდეგ, ზუსტად ასე მოხდა ჩემ შემთხვევაშიც. სამი წლის წინ რამდენიმე ადამიანი, დაახლოებით ასე, მწკრივში ჩაება, ჩამეჭიდა, ჩემი ნაჭუჭიდან გამომართია, წიგნი გამაკეთებინა და ლიტერატურა პროფესიად გადამიქცია. როდესაც დათო ტურამვილი ჩემი მოთხრობები ნაიკითხა და წიგნის გამოცემის იდეა დაიბადა, სულ რამდენიმე მოთხრობა მქონდა „გადმოჩენილი“. უმეტესობა იმ ლექსობაზე შეიძინა, რომელიც ცოტა ხნით ადრე „შემომეღენა“. ამიტომ მომიწია ძალიან მოკლე დროში მოთხრობების დიდი ნაწილის თავიდან დაწერა. სანამ წიგნი გამოიცემოდა, ჩემი რამდენიმე მოთხრობა და ლექსი დაიბეჭდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში, მათ შორის „ლიტერატურული გაზეთისა“ და „ახალ საუნჯეში“. როდესაც ლიტერატურულ კონკურს „ლიტერას“ „შორთლისტში“ მოვხვდი საუკეთესო დებიუტისთვის, პირველად დავიჯერე, რომ მართლა ვარგისი, რასაც ვწერ. ეს იყო პირველი სერიოზული სტიმული ჩემთვის, როგორც მწერლისთვის. შემდეგ იყო „საბას“ ნომინაცია. იმდენად არ მეგონა, რომ გავიმარჯვებდი, თბილისში არც ვაფერხნდი. ნიკუმას, ჩემ შვილს, ვუთხარი, რომ თუ სასწაული მოხდა და მაინც მივიღე „საბა“ და თანხა, ვენეციაში წავიდეთ-მეთქი. ბერლინში ვუყურებდით პირდაპირ ტრანსლაციას. მახსოვდა, რომ ნომინაცია „წლის საუკეთესო დებიუტის“ შედეგებს ყოველთვის დასაწყისში აცხადებდნენ, ამჯერად თითქმის ბოლოში იყო; დავიჭაბე ყველა ფარჩხილი, დავლიე სამი ლიტერი წყალი, და ბოლოს, ჩემი სახელი რომ გავიგონე, მე და ნიკუმა ერთდროულად, ერთ ხმაში ავღრიალდით. მე ვყვიროდი: „საბა! საბა!“ ნიკუმა: „ვენეცია! ვენეცია!“ მართლა სასწაული გრძნობა იყო. იმდენად ადრენალინი გამომეყო იმ ორ საათში, მომდევნო სამი დღე საერთოდ არ მიძინია.

ამ წარმატებით შეგულიანებულმა გადავთარგმნე ჩემი მოთხრობები გერმანულად და გავგზავნე ბერლინის უცხოენოვან ავტორთა ფესტივალზე. იქიდანაც რომ დადებითი პასუხი და მოწვევა მოვიდა, გავთავსე დიდი და უკვე გერმანულ ლიტერატურულ სააგენტოებს დაუფუკავ-პირდი აქაური მეგობრების საშუალებით.



მაიკლ მელერსის სააგენტომ, რომელიც თითქმის ოცდაათი წელია არსებობს, გამიფორმა რეაგნიანი კონტრაქტი. იმავე, 2016 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე რამდენიმე გამომცემლობა დაინტერესდა ჩემი წიგნის გერმანულად გამოცემით, მათ შორის Dumont, Ullstein, btb Verlag. საბოლოოდ btb Verlag-თან გავაფორმე ხელშეკრულება. წიგნი „Wenn es nur Licht gäbe, bevor es dunkel wird“ („სინათლე მაინც იყოს, სანამ დაბნელდება“) ზაფხულში გამოვიდა და „დიავნოზი“ შესული მოთხრობების გარდა, იქნება რამდენიმე ახალი მოთხრობა. ბოლო ორი წელია, რეგულარულად ვმონანილებ სხვადასხვა ლიტერატურულ ღონისძიებაში, როგორც საქართველოში, ასევე გერმანიაში. 19 აპრილს ფრიდრიხსჰაინის ფოტოგალერეაში, რომელიც 80-იან წლებში პირველი ფოტოგალერეა იყო „გედეერში“, პიტერ ოლმანის ფოტოგამოფენის „საქართველო — სურათები და გზები“ ფარგლებში, გაიმართა ჩემი მორიგი ლიტერატურული საღამო.

— რამდენიმე ადამიანი ერთმანეთს ჩაეჭიდა და ჩემი ნაჭუჭიდან გამომართია, თქვით. ვიცი ავტორები, რომლებიც დიდხანს ფიქრობდნენ ტექსტების გამოშვებებზე, გასაჯაროებებზე და არ ეადვილებოდნენ ეს. თითქოს ძალზე სანუგეშო მათ უნდოდათ ქანშირება. როგორც ჩანს, თქვენთვისაც ნაცნობია ეს განცდა.

— გასაჯაროების სერიოზული პრობლემა მქონდა მეც. ეგ იყო, პრინციპში, ერთ-ერთი გადაწყვეტი მიზეზი, რატომაც არ ვჩანდი ამდენ ხანს. „სასუკვართან განშორება“ ნაკლებად — უბრალოდ, სიშიშვლის შეგრძნება მიჩნებოდა, როდესაც სხვა კითხულობდა ჩემს ნაწერებს. თითქოს პირად, ძალიან ინტიმურ დღიურს ვაკითხებდი უცხოის. ამიტომ წლების განმავლობაში მხოლოდ უახლოეს მეგობრებს და ოჯახის წევრებს ვუჩვენებთ ეს „პრივილეგია“. ერთხელ ლიტ.ჯე-ზე დავრეგისტრირდი, რა თქმა უნდა, სხვა სახელით. რამდენიმე ლექსი დავდე. ერთ-ერთის გამო კრიტიკის ქარცეცხლში გამხვიეს — ისე დავითრგუნე, რომ გამოქვეყნება კი არა, კარგა ხანს არაფერი დამინე-

რია. ზოგადად, ძნელად ვიტან კრიტიკას, ბავშვობაში ხომ კატასტროფა იყო — სამწილად ბუტია ვიყავი. ახლა, რაც „გავიზარდე და დაგეჰქვიანდი“, ცოტა გამოვსწორდი. წიგნის გამოქვეყნებამდე ძალიან ვნერვიულობდი მკითხველის რეაქციაზე. არ იყო იოლად მოსაყოლი ამბები, მით უმეტეს, რომ მათი ნაწილი ავტობიოგრაფიულია, რაც, თავისთავად, ათმაგად უფრო რთული გასასაჯაროებელია, განსაკუთრებით ქართველ საზოგადოებაში.

— ძალიან საინტერესოა, როგორ გადაიტყვეა ხოლმე მწერლის ბიოგრაფია მსახურული ტექსტის მასალად?

— ჩემი აზრით, ნებისმიერ ლიტერატურულ ნაწარმოებში არის მწერლის ბიოგრაფიული რალაც, თუნდაც ცალკეული მომენტები, პერსონაჟის შტრიხები. პირადად მე, დიდიხანა, ჯერ კიდევ საკუთარ ან ახლობლების ამბებთან ვტრიალებ — აქედან გამომდინარე, ჩემი მომავალი რომანიც ნახევრად ავტობიოგრაფიული იქნება.

— რომანს წერთ?

— დიას, პირდაპირ გერმანულად ვწერ. როდესაც ახალი დანწყებული მქონდა

ლობდით, შემდეგ თსუ-ში, მერე გერმანიის ცნობილი უნივერსიტეტები დაამთავრეთ, დაბოლოს — პოლიტოლოგისა და თანამედროვე ისტორიის მაგისტრის წოდება მიიღეთ. ამდენი წელი მონაღმეთ აკადემიური განათლების მიღებას არა ლიტერატურის დარგში, არამედ სულ სხვა მიმართულებით. და მაინც ლიტერატურა გახდა თქვენი ასპარეზი. როგორ მოხდა ეს?

— სწავლისა და სამუშაოს მხრივ, მართლაც მივედ-მოვედე. ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ სფეროებში აღმოვჩნდი. მართალია, პარალელურად ვწერდი, ოღონდ დიდი ინტერვალებით — ორი-სამი წელი გასულა ისე, რომ არაფერი დამინერია. თუმცა ყოფილა, რომ დღეში რამდენიმე ლექსს ვწერდი. უმეტესად, შეყვარებულობის პერიოდში. ამიტომ, ლიტერატურას არასდროს ვუყუარებდი, როგორც პროფესიას. ის იყო ჩემი თერაპია, საშუალება, გადაემუშავებინა და რამე ფორმა მიმეცა ჩემი შიშები-სთვის, თავსგადამხდარი ამბებისთვის, იმ დანაკარგებისთვის, რომლებიც სამწუხაროდ ძალიან ბევრი მქონდა ცხოვრებაში.

— ძირითადად, ქართულ რეალობაზე ყველაზე. როგორ ახერხებთ, რომ გერმანიაში იცხოვროთ და იმავე დროს არ მოწყდეთ ქართულ რეალობას და თქვენი თემები ასეთი საინტერესო და ცოცხალი იყოს?

— დავიწყეთ იქიდან, რომ საქართველოში გავიზარდე. 20 წლის ვიყავი, როდესაც საბოლოოდ გადმოვბარედი გერმანიაში, მაგრამ თბილისში სისტემატურად ჩავდივარ. ჩემი ოჯახი, მეგობრების, ნათესავებისა და ახლობლების დიდი ნაწილი საქართველოშია, ასე რომ, იქაურობა ჩემთვის მორს არასდროს ყოფილა და ნახევარი ცხოვრების გერმანიაში გატარების მიუხედავად, თბილისში მაინც არასდროს ვგრძნობ თავს უცხოვ. თემებს რაც შეეხება, მგონია, რომ საინტერესო ამბები ყველას ირგვლივ და ყველას ცხოვრებაში ხდება, მწერალს მხოლოდ მათი სწორად არჩევა და კარგად მოყოლა ევალება.

— თანამედროვე საქართველო, თავისი ამბებით, ისტორიით, ტიპაჟებით ძალიან საინტერესო ადგილია მწერლებისთვის, ამოუწურავი მასალაა. თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად აისახა ქართულ ლიტერატურაში ჩვენი უახლესი ისტორია, ჩვენი ხასიათი, ჩვენი ტკივილები და სიხარულები.

— გეთანხმები, ჯერ მარტო ჩვენს უახლეს ისტორიას რომ გადავხედოთ, რა გამოვლევს მოსაყოლო მწერლისთვის. პირადად მე, თბილისის ომის დროს, სანამ ახლობლებთან არ გავიქცეოდით საბურთალოზე (მე — ჩემი ზაზუნის გალიის კონწილით), რამდენიმე დღე იატაკზე შეძინა ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, იმიტომ, რომ ტყვიები დაფრინავდა ირგვლივ და სახლები ინვოლუცად ასანთის კოლოფებივით. პარლამენტის ყოფილი შენობის ახლოს ვცხოვრობდი და 9 აპრილის ტრაგედია და თბილისის ომიც, ფაქტობრივად, ჩვენი ფანჯრების წინ მოხდა. ალბათ ძნელია ქართველის მოძებნა, რომლის ცხოვრებაზეც უახლესი ისტორიის პერიპეტებს რამე, ძალიან პირადული კვალი არ დაეტოვებინა. ამ ყველაფერზე ძალიან ბევრი კარგი წიგნი დაიწერა. მათი ნაწილი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისთვის ითარგმნა და ძალიან მიხარია, რომ მალე გერმანული მკითხველიც გაეცნობა.

— თქვენ თვითონ როგორი მკითხველი ხართ. ვინ არიან თქვენი ავტორები, ნაწარმოებები?

— ამჟამად მთარგმნელი-მკითხველი ვარ. იმდენად ნონ-სტოპ რეჟიმში ვმუშაობ, რომ წიგნის კითხვის დროსაც კი, ტექსტებს ენის კუთხით ვუყურებ და ვუკირკიტებ. სიტყვების და გამონათქვამების გარდა, ხანდახან მთლიან წინადადებებს ვიწერ, ისე მომწონს. ავტორი და ნაწარმოები იმდენია, რომელიც მიყვარს, ამ ინტერვიუს ფორმატი არ ყუოფა ჩამოსათვლელად. ერთ-ერთი ბოლო, ვინც ნავიკითხე და ძალიან მომეწონა, ხალიდ ჰოსეინია.

— ქართველ ავტორებს თარგმნით გერმანულად. წელს, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, გერმანულენოვანი მკითხველი, ქართულ ლიტერატურას თქვენი თარგმანებითაც გაეცნობა. მაინ-

„სიუიზლის შებრძნება მიჩნდა“

მასზე მუშაობა, აქაურ ერთწლიან ლიტერატურულ სტიპენდიაზე გავგზავნე განაცხადი, რომანიდან ნაწყვეტებიც დაეყურეთ. უარი რომ მივიღე, ჩამოვყარე ყურები და იმედგაცრუებულმა კინალამ ნაწვალე ფაილი. რამდენიმე დღის შემდეგ შევხვდი გამომცემლობა btb Verlag-ის ერთ-ერთ რედაქტორს, როგორც გითხარით, ჩემს წიგნთან — „Wenn es nur Licht gäbe, bevor es dunkel wird“ („სინათლე მაინც იყოს, სანამ დაბნელდება“) — დააკავშირებთ. მოუყევი სტიპენდიის ამბავიც და მან რომანის ფრაგმენტების გამომცემლობაში გავგზავნა მთხოვა. ზუსტად ორ კვირაში მივიღე კონტრაქტი საავტორო უფლების წინასწარ შეძენაზე, რაშიც იმაზე დიდი თანხა გადამიხადეს, ვიდრე ის ერთწლიანი სტიპენდია იყო. ჩემსათვის უცნობი ავტორისთვის ეს იმდენად წარმოუდგენელი და ფანტასტიკური ამბავია, რომ დიდი ძალისხმევა დამჭირდა, „თავში არ ამეგრძნოდა“ — ეს ხუმრობით. სერიოზულად კი, ძალიან გამიამართლა გამომცემლობამ. რომანი, საგარეოდ, 2019 წელს გამოვიდა.

— თქვენ პოეზიაშიც ხართ და პროზაშიც. რამდენად ადვილია ეს მწერლისთვის? ორივე ხომ ასეთი განსხვავებული სამყაროა, სხვადასხვანაირ მიდგომას, სხვადასხვანაირ მუშაობას, დროს, ენერჯიას ითხოვს ავტორისგან. როგორ ახერხებთ მათ შორის ცხოვრებას?

— როგორც უკვე ვთქვი, არის ამბები და ემოციები, რომლებიც უფრო ადვილად პროზის ფორმით გამოიხატება, ზოგადაც ლექსი უფრო უხდება. პრინციპში, ეგ თავისთავად ხდება, წინასწარ ბევრი ფიქრის გარეშე. ლექსის შემთხვევაში, რამე ფრაზა ამეკვიტება ხოლმე, ხანდახან რამდენიმე დღე, ხანაც თვეები დამაქვს ასე, ტვინში ფორფიტასავით ვატრიალებ, მერე ერთბაშად მოდის დანარჩენი. ანუ ლექსში მუშაზე უფრო ვარ დამოკიდებული მოთხრობებს რაც შეეხება, შედარებით გაზარბებული მაქვს — ვარჩევ ამბავს, ვალაგებ თავში სიუჟეტს, ვვადები და ვწერ. თუმცა მუშაობა ისეც დამიწყია, რომ საით ნამიყვანდა და რითი დასრულდებოდა ამბავი, არ ვიცოდი.

— თქვენს ბიოგრაფიას გადავხედე: ჯერ თეატრალურ უნივერსიტეტში სწავ-



### ტერესებს, პროზასთან ერთად, ლექსებსაც თარგმნით?

— დიანა ანფიმიადის წიგნი „პირადი კულინარია“ შევიდა რამდენიმე ქართველი პოეტის, მათ შორის, თვითონ დიანას, ეკა ქევიანიშვილის, ლელა სამნიაშვილის ლექსები, რომელთა თარგმნაც მომიწია, ასევე ვთარგმნე შალვა ბაკურაძის, ზურა რთველიაშვილისა და პაატა შამუგიას რამდენიმე ლექსი ერთ-ერთი ლიტერატურული ღონისძიებისთვის, რომელიც შარშან ბერლინში გაიმართა. მაგრამ, ზოგადად, ვერადეები და აქამდე რა შემოთავაზებაც მქონდა ლექსების თარგმნაზე, ჩემი ვორკოპოლიკობის მიუხედავად, უარი ვთქვი. უბრალოდ, მგონია, რომ პოეზიის თარგმნა უფრო მაღალი დონეა, იქ ბევრად მეტი ნიუანსია გასათვალისწინებელი, ვიდრე — პროზაში. რა თქმა უნდა, მხოლოდ რითმას და რიტმს არ ვგულისხმობ. ამიტომ ჯერ-ჯერობით ლექსების თარგმნისგან თავს ვიკავებ.

### — ბევრს მუშაობთ? როგორია თქვენი ყოველდღიურობა?

— ბოლო ორი წელია, ძალიან ბევრს ვმუშაობ. ვთარგმნი, ვწერ. პირველად 2016 წლის თებერვალში ვთარგმნე აკა მორჩილაძის „მოგზაურობა ყარაბაღში“, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გამოსცა გამომცემლობა Weidle-Verlag-მა. ახლა უკვე მერვე წიგნს ვამთავრებ. ეს იმის ხარჯზე ხდება, რომ ყოველდღე, ხშირად შაბათ-კვირის გარეშე, ვმუშაობ, უმეტესად გვიან ღამემდე. ამჟამად, მაგალითად, ფრანკ-ფურტის წიგნის ბაზრობისთვის ოთხი წიგნი მზადდება ერთდროულად — დღის ბოლოს ლექსებში, როგორც წესი, ოცამდე „ვორდის“ და „პედეფის“ ფილია ხოლმე გახსნილი, ვებგვერდებზე აღარაფერს ვამბობ. როდესაც მუშაობთ ვიღლები, გარეთ გავდივარ, ყურსასმენებს ვიკეთებ, თან სახლთან მდებარე პატარა კაფეში ნასაღებ ყავას ვყიდულობ და რამდენიმე კილომეტრს დავდივარ ფეხით — წვიმაშიც, თოვანშიც. ესეც ერთგვარი თერაპია და განტვირთვის კარგი საშუალებაა. გარდა ამისა, ბევრს ვკითხულობ, ფილმებს ვუყურებ, ვხატავ. თარგმნა რაც დავინწყე, უფრო დიდხანს ვანდომებ კითხვასაც და ფილმის ყურებასაც. როგორც ვთხარით, თუკი რამე საინტერესო გამოთქმას ან უცხო სიტყვას ვაწყობ, სასწრაფოდ ვინიშნავ. ხანდახან მეგობრებს ვნახულობ, გამოფენებზე და ლიტერატურულ საღამოებზე დავდივარ. ბევრს ვმოგზაურობ. სკოლის არდადეგებზე ყოველთვის მივდივართ მე და ნიკუშა ცოტა ხნით სადმე. საქართველოში წელიწადში, მინიმუმ, ორჯერ მაინც ჩამოვდივართ ხოლმე რამდენიმე კვირით. ნიკუშა განსაკუთრებულად კარგი შვილია, როცა ძალიან დაღლილი ვარ, აქეთ მივლის. მიუხედავად იმისა, რომ ლამის გადამასწრო სიმალეში, დღემდე კოლასავით მეხუტება და ენერჯიბისგან დაცლილ აკუმულატორს მივსება. ამიტომაც ვეძახი „ჩემს სუპერდამტენს“.

### ესაუბრა თამარ ჟურული



მარიამ ნიკლაური

### ტუნანა

ხშირადაა ასე, სახელი და გვარი კაცის ტოლი არაა. ან ბევრად მეტია პატრონზე, ან არც ჰყოფნის ადამიანს.

აბა, რომ ვიტყვი სპარტაკ მარჯანიშვილი, და თქვენც რომ წარმოიდგენთ, როგორი შეიძლება იყოს კაცი ასეთი სახელითა და გვარით, ხომ ვერასდროს წარმოისახავთ პატარა, განუვითარებელ და კუჭ კაცს, რომელიც ვერც გონებით, ვერც ფიზიკური სხეულით ვერ გაიზარდა და ვერც განვითარდა — მერე რა, თუკი სახელი და გვარი ჰქონდა ასეთი დიდებული.

არადა, საბრალო სპარტაკიე, როგორც ეძახდნენ, ნახევარმეტრზე ოდნავ მეტი თუ იქნებოდა და მუდმივად ჰამაკში იწვა. ეს სიტყვა „მუდმივად“ ნიშნავდა ზაფხულს, როცა ვხედავდი ხოლმე სოფლად ჩასული, თორემ ზამთარში ვინ აკადრებდა სპარტაკს ჰამაკში წოლას?!

ცივ ნიავს არ აკარებდნენ ბიჭს. დედამისი ხან საწყალად აიყვანდა, მოიკიდებდა და ბოგირზეც დასვა მდე. ეს იყო სპარტაკისთვის მთელი ელისის მინდვრებიც.

ეს ბოგირი, ანუ ხიდი, სახლის ჭიშკრის წინ, დიდი თავშეყრის ადგილად ექციათ სოფლის ახალგაზრდებს. საღამო ისე არ ჩაივლიდა ზაფხულში, აქ, ამ ბოგირის ორთავე ჯვებიზე, სკამებზე რომ ქცეულიყო, ახალგაზრდები არ ჩამომსხდარიყვნენ, რადგან ამ სახლში სპარტაკის გარდა სპარტაკის ბიძაშვილები, ძალიან ლამაზი გოგონები, მედეა და ნაზიბროლაც ცხოვრობდნენ.

იცით რა ლამაზები იყვნენ? ერთი ნესტან-დარჯანის და მეორე — თინათინის როლს ასრულებდა, სოფლის სკოლამ რუსთაველის რვაასი წლის იუბილე რომ გადაიხადა და, აბა, ის რა საღამო იყო, მედიასთან და ნაზიბროლასთან ერთად არ გვეთამაშა ბავშვებს „ამის პატრონმა რა ქნას?“ „ბრის ილი მიაუ?“ და არ გვეხებოდა გაუთავებლად ჭინკებზე, სიყვარულზე და იყო თუ არა სიცოცხლე მარსზე?

სოფელში ქალაქიდან არდადეგებზე ჩამოსულ ბავშვებს ხომ ვერავინ დაასწრებდა აქ მოსვლას — საღამოსაც არ უცდიდნენ, ასე გამოპრანჭულები ნაშუადღევს უკვე ბოგირზე იხსდნენ.

გამოპრანჭვა რას ერქვა? რას და, ფეხებს დაიბანდნენ და „ნასკე-ბს“ ამოიკვამდნენ, ერთი სანდლები ჰქონდათ ან „ცეხობს“ „ბასანოშკები“ და ან სამამანეთიანი კეტები... ეს სამივე ერთად კი არა, ცალ-ცალკე, რალა თქმა უნდა! ერთს — ერთი, მეორეს — მეორე და მესამეს — მესამე. თმასაც დაივარცხნიდნენ. სულ ეს იყო, თორემ მაშინდელი გასაპრანჭიც არაფერი ეხადათ დიდად. ზაფხულისთვის დედები რომ ბებოების ნაქონ ხელის ან ფეხის „ზინგერებზე“ მოჩითული სატინის ან ჩითის თითო კაბას ან ხალათს შეუკერავდნენ, ეგ იყო ჩვენი ივსენლორანობა და

მოდა. ბიჭებს სამამანეთიანი „ფიზკულტურის ფორმა“ და კედები ჰყოფნდათ. ეგეც მთელი „შმოტკობა“, „ზმანობა“ და ზედაც მთელი „ადიდასობა“.

ეზოებს წინ ხელოვნურად გაყვანილი არხი ჩაუდოდა, ჩვენ რომ მდინარე გვეგონა და ეზოში შესასვლელად ყველა სახლს ხიდი სჭირდებოდა.

ამ ხიდი მიხვდებოდათ, რა სულის ხალხი ცხოვრობდა სახლში.

ეს ბოგირი, რომელზეც ჩვენი სპარტაკი იდო ხოლმე საბრალოდ, სახლის პატრონს ფართე და მოცემენტებული გაეკეთებინა. ნამდვილი არტი იყო, ბოგირ-არტი: მოაჯირები გრძელ სკამ-მერხად ექცია და საზურგეებით მოესამკაულებინა. ეს საზურგეები, ერთის მხრივ რომ კომფორტს უქმნიდა სკამზე დამჯდარ ადამიანს, მეორეს მხრივ წყალში გადავარდნისგან იცავდა. ერთი სიტყვით, პატრონისაგან ყველა დეტალი იყო გათვლილი და გააზრებული.

ამ ბოგირით უნდა შესულიყავი ეზოში. ჭიშკრის ორთავე მხარეს მაღალი, თვალუწვდენი კვიპაროსები იდგა.

ლობის გასწვრივ ფერადი გეორგინები ყვავოდნენ.

ლელე წყნარად მოაჩხრიალებდა. კოინდრიანი ეზო და ქვის კიბეები შუშ-აბანდინი, კოხტა იმერული სახლისკენ გეძახდნენ.

რამხელა აივანი ჰქონდა ამ სახლს მერე?!

უჰ, რამდენი სპექტაკლი და კონცერტი გაუმართავთ აქ ბავშვებს... ზუსტად იმავე რეპერტუარის, „იმერულ ესკიზებში“ რომ გინახავთ. ლაპარაკობდნენ პატარა მსახიობები, იგონებდნენ ათას ტყუილსა და მართალს ზედ „სცენაზე“.

სპარტაკიეს დედას კი სხვა არაფერი სმენია თავისი შვილის პავიდან: „ტუნანა, ტუნანა, ტუნანა“ და ეს იყო სულ სპარტაკისთვის „ლექსი თქვი“, სპარტაკის „იმ-ლერე“-ც, სპარტაკის „მადლობა თქვი, ბიჭო“-ც, სულ ეს „ტუნანა“ იყო ყველაფერი — გაკეთილიც, ვეფხისტყაოსანიც“, სადღერამელოც და გინებაც. თუმც უკაცრავად, ამ ოჯახში და არც გარშემო გინება რა საკადრისი იყო. იმერეთში წყევლას უფრო გაიგონებდი, ვიდრე ბილწისტყვაობას და გინებას. წყევლა როგორი იყო და ასეთი — „შენ გაგაცია წელში!“

ამ სახლში ერთი გაუთხოვარი დეიდაც ცხოვრობდა, ისიც სპარტაკის გადანევ-გადმონევა, მოკიდება-აყვანა-დასმაზე გამეცადინებული.

ამ დებს, ამდენ ამაგში ჩაფლულებს, ეჩვენებოდათ, რომ სპარტაკს არც დორბლი სდიოდა, გონებაც უჭრიდა და იზრდებოდა კიდევ მათ გასახარად.

მერე რა, თუ ბავშვების გამართულ სპექტაკლებში ვერ მონაწილეობდა?

ან რა სპექტაკლი ეს თხაბიკობა იყო, თამაშობდნენ შტერი ბოვონები მეველეს და ნანაის ჩხუბს, და თვითონვე კვდებოდნენ სიცოცხლით. ამ ამბით ხომ ისინი თვით შე-

ქსპირსაც კი არ უდებდნენ ტოლს.

განა ჯოხზე გადამჯდარი სოფლის ყველაზე მსუქანი, შვიდიოდე წლის, თმბუჭუჭა გოგონას, კულულებიანი ნანას ჩხუბი მეველე კირილესთან და ორი კილომეტრი დევნა ჯორიანი კაცისა, ყანისპირზე დაბმული ერთი ქვრივ-ობრის ხბო რომ ნაიყვანა და მაინც რომ წაართვა ბოლოს თავისი ბავშვური რისხვითა და გაუტყებლობით, რომ წაართვა და პატრონს მიუყვანა სახლში, არ ღირდა ერთ სპექტაკლად? ცალ მხარეს მარტოკინა შვიდი წლის ბავშვი დამეორე მხარეს სოფლის ჩინოვნიკი-მეველე, შუაში კი ქვრივ-ობრის ხბო, რომელ შექსპირს დაუდებდა ტოლს თემის ტრაგიკომიკურობის სიდიადით? „სპექტაკლიც“ დიდებული გამოდიოდა.

ან სიმღერას შემოსძახებდნენ ბავშვები. აი, იმ სიმღერას, ძალიან მოდაში რომ იყო მაშინ :

*„მე კომბინატის ეზოში ომარი შემხვდა, მითხრა — ჯემალ, წამოდიო, გავსწორდეთ ერთად.“*

*მე პიჯაკი გავიხადე დასარტყმელადა, მან კი დანა ამოიღო დასაჭრელადა. თექვსმეტი წლის ჯეირანი დედას*

*უკდება, ოთახში ბნელა, სანთელი ქრება. იტირე, გულო, იტირე, სულო, იტირე, ჩემო ლამაზო შეყვარებულო“.*

ან სოფლის მთავარი სიძის, ღვინისთვის ნამეტნავად სულწაწყმედილი ხუტაია ლანდიის ოინებს წარმოადგენდნენ, არღნით რომ მოადგებოდა ღამე სიღედრის სახლს და მთელი ხმით გაჰყვიროდა: აქაა ხუტა ლანდიე! ვისაც ხუტა ლანდიე არ გიყვართ, ყველას მოგი... დედის ტრ... და ასე სართულებიანი. ეს საავტორო შეძახილი რალაციით უთუოდ მოგაგონებდათ „ლამის ცხრა საათია და ყველაფერი რიგზეა“ შეძახილს „სამოსელი პირველიდან“.

მაგრამ რა ვიცოდით მაშინ „სამოსელი პირველი“ და მისეული პერსონაჟები. ჩვენ ჩვენი წიგნი გვექონდა — ჩვენი სოფელი, ნამდვილი, გამოუგონებელი გმირებით, თავგადასავლებითა, ცოცხალი პერსონაჟების სახელებითა და ხასიათებით. ყველაფერი რაც ირგვლივ ხდებოდა, ბავშვებს სცენაზე გადაგვექონდა ჩვენეული ინტერპრეტაციით. ეს იყო თეატრი — ცხოვრება!

დიდი ამბავი, მაგისტანა კონცერტებში თუ არ მიიღებდა სპარტაკი მონაწილეობას და ისიც — მარჯანიშვილის გვირგვინის კაცი! სამაგიეროდ, ამ კონცერტებზე მოსულ დამსწრებს, ამ თხაბიკობა ბავშვების ბებიებს კი უჩვენებდნენ, რა შეეძლო სპარტაკ-იეს.

განსაკუთრებით ერთი ლამაზი გოგოს ბებიანზე იყვნენ გადაკიდებული ეს კუტის თრევიტ წელში მოხრილი დები. დიანახავდნენ თუ არა ამ ქალს ეზოში შემოსულს, ხომ მოიკითხავდნენ ერთმანეთს. ხომ ეს ქალიც მოიკითხავდა. ხომ იტყოდა, ისიც ზრდილობის გამო — გაზრდილაო სპარტაკი, დამშვენებულიაო, ხომ კარგადააო — და ე, მაშინ ინყებოდა თუ ინყებოდა თავის გამოჩინება, აბა რავა?! — „აკოცე ბიციოლას, სპარტაკია, აკოცე ბიციოლას, აკოცე-თქვა, ბიჭო, აკოცე...“

და იყო ერთი განწევ-გამონევა. საწყლები, ახლა ყველა ცაცხვების ძირში წვანან და...

ალარც ქარი არხევს ჭიშკრის ორთავე მხარეს აწონილ მაღალი კვიპაროსების წვერებს.

ალარც ლელე მოჩხრიალებს. ალარც გეორგინები ყვავის გვიან შემოდგომამდე.

ალარავინ ცხოვრობს იქ და...

რაც მოსაჭრელი იყო, ყველაფერი მოჭრეს მეზობლებმა სამეშედ.

აფსუს, მარჯანიშვილის კაცო, აბა, სახელ-გვარის ტოლი ყოფილიყავი, „ტუნანისას“ აჩვენებდი ამ მუხთლებს, ალარაფრის რომ არ შერცხვებოდა და კარის ბოლო გამოხურვისთანავე ჯერ ჭის გვიმზე შემოდგმული ვედრო ჩამოსხნეს თოკიდან, მერე ბანარი გადაიხვიეს ხელზე, მერე ქვაბები გაუყენეს თურქეთის გზას, მერე კარ-ფანჯრები გამოგლიჯეს და თავის სახლებს მოარგეს, მერე...

მერე...

მერე თვითონაც გავიდნენ ამ სოფლიდან და ვინ იცის, ახლა თავად არიან დაკუთმებული იქ, სადაც ყველაფერს თავისი სახელი ერქმევა — სახელი, რომელიც, იმედა, იქ მაინც ტოლი ხდება კაცისა...

**ბრიტანეთის ქუჩის „სარანაღობი“**

50-იანი წლების ლამაზი თბილისი წყნარზე წყნარი ქალაქი იყო: თითო-ორთა მანქანა თუ ჩაივლიდა, ხალხიც გაუბრადა და ღამით სიარულს, ბავშვებს ტკბილ ძილს არავინ გვიფრთხობდა. სისხამ დილით კი უკვე იწყებოდა მევზოვითა ცოცხის ჩხაკუნო, ქუჩების მორწყვა უზარმაზარი სარწყავებიდან, ამასაც შეჩვეული ვიყავით.

იყო გამონაკლისიც, რომელიც მაშინ ძალიან მამაჩვენდა, ახლა კი მხოლოდ ღიმილს მგვრის: ჩვენს გვერდით სახლში მცხოვრებმა სოფლიდან მამალი ჩამოიყვანა და აივანზე დააბინავა! აბა, რა უნდა ექნა?! მამალი, როცა გაუხარდებოდა და დრო დაუდებოდა, წესისამებრ, ბუნებით ნაბოძები ომხიანობით, ყიოდა. აბა, იმასაც რა უნდა ექნა?! ღამის სამარისებურ სიჩუმეში მისი გამყვანი ხმა იერიქონის საყვირივით ჭექდა...

მამლის ყვირილი, ისევე, როგორც ძაღლის ყეფა და ჩიტების ჭიკჭიკი თუ ჭახჭახი, ბუნებრივ ხმებად მიმაჩნია და შედარებით იოლად ასატანი მგონია; დღეს ჩაძინებულ პატარებს უფრო ფოიერვერკების გაუთავებელი „კანონადა“ ბოლო ხმაზე აღრიალებული ვითომმუსიკა და გაუმართავმაყურისანი ან სულაც უმაყურ მანქანების ბლუილი აწინებთ...

მამლის ყვირს კი გაუძლებდა კაცი, რომ არა ვიღაც ძილგამერთალი ანონიმი მეზობლის მყისიერი რეაქცია მამლის ყვირზე: „დაკალი მამალი, დაკალი მამალი, ეგ უპატრონო, შე შობელძაღლო!“

ამ კაცის გამაყრუებელი შეძახილები სხვადასხვა ვარიაციებით (კიდევ კარგი, მაშინ დღის გინება არ იყო „გამოხატვის თვისუფლება“ და დიდ უზრდელობად ითვლებოდა), ბევრად უფრო შემანახებელი იყო, ვიდრე მამლის ყვირილი!

ამ „სინქრონულმა“ კონცერტმა მხოლოდ ორიოდე თვე გასტანა. მამალი ან მართლაც დაკლეს ან სოფელში უკრეს თავი, თავისი მამლური მისიის აღსასრულებლად.

**„კონცერტი“**

ჩემი ორი წლით უფროსი და და მე, ქუჩისპირა ოთახში ვინეტი, თვალს გავახედოდი თუ არა, ჩვენი სახლის მოპირდაპირე სამხატვრო აკადემიის ფასადის ბარელიეფს ვხედავდი. რა არ მიტრიალებდა ბავშვურ გონებაში: ელინური მითოლოგიის გმირები, პატარა ანგელოზები, მზე-თუნახავები... თუმცა ბარელიეფის ცენტრალური გამოსახულების, პირქუში მოხუცის თავის დანახვა არ მსიამოვნებდა. ამ იდუმალ ფიგურებს ბედურები უცერემონიოდ იყენებდნენ ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ღამით კი ბარელიეფის უკან იყვნენ შეყუჩულნი, ეს სივრცე, როგორც ჩანს, „პრივატიზებული“ ჰქონდათ. ხშირად დამინახავს, რა ყოჩაღად აძევებდნენ ბუდის ადგილის მაძიებელ მერცხლებს.

აკადემიის ქვედა, მეორე სართულს პატარა, ლამაზი აივნები ამშვენებდა. ერთ მათგანზე, ოდნავ ირიჟრაჟებდა თუ არა, უსაქმურობისაგან გაბეზრებული ნაბდისქუდიანი მოხუცი ღამის დარაჯი გამოდიოდა. ალბათ სუფთა ჰაერიც ხიბლავდა და გათენებდასაც სიხარულით ხვდებოდა. ფანდურით ხელში სკამზე მოკალათდებოდა, ააჩხაკუნებდა ფანდურს და დაამღერებდა.

ასაკის მიუხედავად, იმდენს კი ვხვდებოდი, რომ მომღერალს არც მუსიკალური სმენა ჰქონდა და ფანდურიც აუნყოფელი იყო.

ახლა ვფიქრობ, რომ დედაქალაქში, ვინ იცის, როდის და რატომ ჩამოხვეწილი მოხუცი ან ფშაველი იქნებოდა ან ხევსური (თუში თუ მოხვეე უკეთესად იმღერებდა); ეტყობა მას მთის ნოსტალგია ტანჯავდა და დარდს ამგვარად იქარებდა; თავის ჭიას კი ახარებდა, მაგრამ მძინარე მეზობლებზე არ ფიქრობდა.

გრიბოედოვის ქუჩის ბინადართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მოხუცი მომღერლის უდროო დროს გამართული „კონცერტი“ არასდროს არავის გაუპროტესტებია.

**მეტამორფოზა**

იმ უხსოვარ დროს, როცა თბილისში ტროლეიბუსი დადიოდა, საოცარ ამბავს



ლალი ავალიანი

**არავირტუალური წვრილ-წვრილი ამბავი რეტრო**

შევვსწარი: ორკაციან სავარძელში ახალგაზრდა ბიჭი გათხლავდა, გამომწვევად იბღვირებოდა და შარიან ხულიგანს ჰგავდა. ხალხით გადაჭედებულ ვაკონში ყველა თვალს არიდებდა. მის მოპირდაპირე სავარძელზეც კი შიშით ვერავინ ბედავდა დაჯდომას, მით უმეტეს, რომ ბიჭს ზედ ფეხები შემოეწყო.

ერთ-ერთ გაჩერებაზე ხანდაზმულმა ბებია, ხუთიოდე წლის გოგუცუნას თანხლებით, რის ვაივაგლახით ამოაღწია ტროლეიბუსში, ცარიელი სკამის დანახვაზე შევებით ამოისუნთქა, სასწრაფოდ დასვა ბავშვი და თვითონაც გვერდით მიეჭურჭნა. ახალა შეამჩნია „სამიში“ მეზობელი, მაგრამ გოგონასაგან განსხვავებით, „თვალს აარიდა. ბავშვი დაჟინებით მიაჩერდა ბიჭს: დიდი ლურჯი თვალები პროუექტორივით მიანათა, უყურა და უყურა, გაკვირებული, საყვედურნარევი მზერით სავსე თვალი არა და არ მოაპორა.

ბიჭმა ერთხანს ადრინდელი გამომეტყველება („მიმიფურთხები თქვენთვის!“) ინერციით შეინარჩუნა, მერე კი მართლაც მოულოდნელი მეტამორფოზის მომსწრე გახდა: ჯერ ფეხები ჩამოიღო უკმაყოფილოდ, მერე ფანჯრისაკენ ჩაიჩოჩა და ადგილი გაათავისუფლა, ბოლოს თვალი აარიდა ბავშვს და ფანჯარაში დაიწყო ყურება. არც მაშინ გატოკებულა, როცა გვერდით ვიღაც ახალ-მოსკული მეზავრი მიუჯდა.

არც კი ვიცი, საჭიროა თუ არა იმის თქმა, რომ გოგონა ნამდვილი მზეთუნახავი იყო. ნებისმიერი ბავშვისთვის თვალის გასწორება, მისი დაჟინებული, გამოცდელი, უცოდველი, თვალდაუხამამებელი მზერა უფროსებისათვის არცთუ ადვილი გამოცდაა, მით უფრო, თუ სინდისიც არ აქვთ სუფთა.

**პარტიკლი**

„ბრძოლა წესების გარეშე“ ახალი ხილია საქართველოში, არადა, უკვე მსოფლიო ჩემპიონებიც გვეყოლია.

წესების გარეშე, მამლებისა და ძაღლების ჩხუბიც კი უამური სანახაობაა; ნებისმიერი ხერხით ერთმანეთის თავპირის მტვრევა ნეტავ რატომ ითვლება სპორტად? ძალიან მიყვარს რაგბი, მკლავჭიდი, ძალოსნობა, კალათბურთი; მიყვარდა ფეხბურთიც — როცა ვიგებდით.

XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე თბილისში ჩატარებულ კიკბოქ-სინგის საერთაშორისო ჩემპიონატს გადმოსცემდნენ პირდაპირ ეთერში. მოხდა სასწაული: შუქი ჩართო! ასეთ იშვიათ შემთხვევას, რასაკვირვებელია, ხელიდან ვერ გავუშვებდი და ტელევიზორს „მივსვარეკე“.

მაშინ უსინათლოებით გაბეზრებული მთელი თბილისი ასე იყო: ოღონდ დენი მოსულიყო და, სამყაროს აღსასრულის

პირდაპირ ტრანსლაციასაც არ გამოვტოვებდით.

პირველად რინგზე ჰოლანდიელი სპორტსმენი გამოვიდა — მოხდენილი (ჟან-კლოდ ვანდამს ჰგავდა), მზემოკიდე ბული, ერთიანად დაკუნთული, მწვევარივით წელწვრილი, საოცრად მოძრავი და ზამბარასავით შემართული.

ზანტად შემოიზღაზნა მისი ქართველი მეტოქე — მოუქნელი, თანთალა, ფითქინა თეთრი, დონდლო კუნთებით. თავი გავიგიჟე: რაღა ეს გამოიყვანეს პირველად, ხომ გაუერთიანეს ცხვირ-პირი-მეთქი? ამრეზილმა ისიც „გამოვიანგარიშე“, რომ ერთ ჯერზე, ალბათ, სამ-ოთხ ლიტრ ღვინოს დალევდა.

დახტის და დაქრის ჰოლანდიელი, ზვერავს სიტუაციას, ხან მარცხნიდან უტევს, ხან მარჯვნიდან, მარდად ასხმარტალებს ხელ-ფეხს; ქართველი დინჯად, რაჭული სიდარბასილით ირჯება, გულზე მხეთქებს. ისე, ხანდახან ოსტატურად კი ირიდებს დარტყმებს, ქართული ჭიდაობისა და კრივის ილეთებსაც იყენებს. მაინც ამკარად ზარმაცობს და არც სადმე მიეჩქარება.

როდის-როდის მოუქნია ხელი თავდაჯერებულ მეტოქეს და ნაბარბაცა, ცოტაცოტა თავდასხმასაც მოუხშირა — აბარბაცა და აბარბაცა, ბოლოს მძიმე ტორი დაუძაბავად, არცთუ გამეტებით ჩასცხო. ახლა კი მიხვდა უცხოელი, ნასულა ჩემი საქმეო, შეწყვიტა ბრძოლა და თავი დამარცხებულად ცნო. ქართველმა კაი დედამამივილივით ჩაიკრა გულში მეტოქე, გამარჯვებულმა დატოვა რინგი, მე კი იმდროინდელი ეიფორია დღემდე გამომყვა.

**დაშლუპრუპული სილაპაზა**

1997 წლის 16 ივლისს ლამაზი დილა გათენდა — არც ცუდ სიზმრებს გავუტანჯივარ; რადიომიმღები ჩავრთე თუ არა, თემო ნაცვლიშვილისა და გერმინის მუსიკას გადმოსცემდნენ, უაზრო და პრიმიტიული ჯაგი-ჯუგის ნაცვლად. მზით განახჩახებულ შუშაბანდში გავედი და სარკის წინ, ბავშვობიდან თვალმჩევეულ ძველთაძველ, დაბალ კარდაზე დამჯდარი და გარინდებული უმშვენიერესი ჭრელი პეპელა შევნიშნე; ღამის პეპელა კი არა, ნამდვილი პეპელა. გავიხარე, ღმერთს მაღლობა შევნიშნე ამ მოულოდნელი საჩუქრის მოვლენებისათვის. შევჩერდი, პეპელა რომ არ დამეფრთხო. პეპელა არც შერხეულა. ვიფიქრე, ცოდვია, აქ რა უნდა-მეთქი და მოურიდებლად მივუახლოვდი, პეპელა კვლავ არ იძროდა. მერე თითქმევადიდი სიფრთხილით, „პეპლის ფრთასავით“. პეპელამ ძლივძლივობით გამაღლა ფრთები და კვლავ გაიარინდა. ფრთებგაშლილი კიდევ უფრო მშვენიერი იყო, ნითელი, ნარინჯისფერი, თეთრი და შავი

წინკლებით — ბუნების ნამდვილი საოცრება! აფრენა სცადა, არ გამოიფიქრა, სულს დაფავდა! იმამსვე ცრემლები წამსკდა, თავში მექანიკურად გამიღვია იდიოტურმა აზრმა, რომ ცრემლი სახის კანს აფუჭებს. სარკეში ჩაიხიხიე, ლოყები მთლად სველი მქონდა.

პეპელამ დაკეცა ფრთები, გაიბრძოლა, მაგრამ ვერ გაფრინდა. ცრემლი შემაშრა, ჩემი ალტაცებაც გაქრა, მერე ოთახში შევბრუნდი. ესეების ნიგნი, რომელსაც ვკითხულობდი, განზე გადავდე და ეს დავეჩერე, რასაც ახლა კითხულობთ. მერე ავდექი უაზრო ცნობისმოყვარეობით აღვსილი, პეპელა რომ მენახა. პეპელა აღარ დამხვდა! სიხარულის ძალა აღარ შემრჩა, ეჭვმა შემიპყრო და ურწმუნოებამ: პეპელა გამოცოცხლდა და გაფრინდა თუ არა? ხასიათი გამიფუჭდა, კვლავ შემოვბრუნდი და დავასრულე წერა.

ეს სპონტანური ჩანაწერი მხოლოდ იმითაა ღირებული, რომ სრული სიმართლეა — რა თქმა უნდა, რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელია.

**P.S.** ოცი წლის შემდეგ ტელევიკრანიდან ვგებულობ ლიკა ქაფარაძის უდროო და მოულოდნელი გარდაცვალების თავზარდამცემ ამბავს... ერთიანად შეძრულს თვალწინ მიდგას რუსთაველიდან ალექსანდრე ჭავჭავაძის აღმართზე თითქმის სირბილით ამომავალი მოზარდი, ათარბეგოვის (ახლანდელი ზუბალაშვილების) ქუჩაზე მდებარე ნიჭიერ ბავშვთა მუსიკალურ ათნელედის მოსწავლე უმშვენიერესი ლიკა, ნათელს და სიკეთეს რომ ასხივებდა. რუსთაველზე ჩამავალს, მისი გაბრწყინებული სახის დანახვისას მოულოდნელად მიპყრობდა სიხარულისა და ამაღლებულობის განცდა. გადამდები ბედნიერების ნიჭი კინოეკრანზე არ დაუკარგავს, ჰაეროვანი და პეპელასავით მშვენიერი, პეპლების მადეგარი გოგონა ქართული კინემატიოგრაფის მავსტროს თენგიზ აბულაძის „ნატვის ხემოც“ მოგვევლინა გოგლა ლეონიძის მარტივად... ლიკა ქაფარაძეს ბევრ სხვა ფილმშიც მიუღია მონაწილეობა, თუმცა მუდამ დარჩება დაუცველი სილამაზის სიმბოლოდ — დაუვინყარ მარიტად.

**ისევ მეტამორფოზა**

ორი-სამი წლის წინანდელი ამბავი: გაგანია ზაფხულია; როგორც ხდება ხოლმე, მთელი თბილისი გახიზნულია, ბარნოვის ვინო ქუჩაზეც კანტი-კუნტად დადიან მანქანები. მივაბიჯებ ჩემი სახლის სიახლოვეს, ჩრდილიან ტროტუარზე. მოულოდნელად მანქანების გამაყრუებელი ღრჭიალი მაფრთხობს. ბედად, ორმა მანქანამ ერთდროულად დაამხურჭა, თორემ ამკარად შეასკდებოდნენ ერთმანეთს. ისე უხერხულად გაეხიზნენ შუა ქუჩაში, ძნელია ამოიხსნო, ვინ დაამაჯა, უშველებელი შავი ჯიპის თუ პატარა გაკრი-ალებული მანქანის მძღოლმა.

ორივე მძღოლი ქალია, ნაპატივები და მოვლილი, ერთმანეთს კარგად ვერ ხედავენ: ჯიპი მაღალია, მეორე მანქანა — დაბალი. გაეჩრდო და ველოდები, რომ მშვედობით გავცალონ აქაურობას. თქვენც არ მომიკვდეთ! ერთი კი მიიხედ-მოიხედეს პატარულის შიშით, მერე კი უტრიალეს და უტრიალეს ერთმანეთს კეთილები, ისეთი ახლებური „მოდიფიკაციებით“, რომ ასეთი კრეატიული გინება კაცებისგანაც არასოდეს გამოგონია.

ჩემს გარდა იქვე სეირის მავურებელი ახალგაზრდა კაციც იგდა და რამდენიმე ყურებდაცქვეტილი პატარა ბიჭი. ვერ მოვითმინე, თუმცა ჩემი უსაზღვრო აღმფოთება „კულტურულად“ გამოვხატე: გამანადგურებელი მზერა ვტყორცნი ამ ამარ და უზრდელ დედაკაცებს, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, ძალადაც არ ჩამავდეს.

ბოლო-ბოლო ერთმა მანქანიდან გადმოსულა ინება. როგორც იქნა, ერთმანეთი დაინახეს. აქ კი დაუჯერებელი რამ მოხდა: ჯიპის მძღოლმა გაკვირვებულმა გადმოსძახა, ქალი, შენ ხარ? როგორც ჩანს, კარგი ნაცნობები აღმოჩნდნენ; ჯერ სიცილით მოკვდნენ, მერე წაიშუსაიფეს კიდევ; დაქოქეს მანქანები, ერთმანეთს ხელი დაუქნიეს და თავიანთი გზით გასწიეს.

ვისაც ხელენიფება, უმოჩინოდ ვთხოვ, ჯერ ვერბალური აგრესიის (ენა-გარყენილებათა“ საბა) შესახებ მიიღეთ კანონი, მერე კი რამდენიც გინდათ, იმდენი იმსჯელო, მოხდენილი ქალისათვის თვალის გაყოლება ძალადობაა თუ არა!

დეკლამაცია  
ქრისტინე ჩიხლაძე

\*\*\*  
შენი შუქიდან ჩამოიქცა შიშის სპეკალი,  
მე რა ვარ? მარჩხი სიტყვის ნარჩენი,  
ვრჩები და ველარ ვესაგნები რამეს უამიერ,  
შენი დუმილით არ შეგეძლო არ მოგეკალი,  
ვისია ეს ხმა, შესიტყვება შენი და ჩემი  
ვინ გამოსტაცა მწუხარებას დასაბამიერს.

შენ იყავ იგი, მაძალებდი ნათელში მალვას,  
ვინ გაიტანა ჩემი სუნთქვა მტკბარი სისხლიდან,  
მე არ ვარ ახლა, შესიტყვებით გულს ვერ მოგიღობო,  
ნარსადგომელო, ჩემი ლანდი მოგაგებს კრძალვით  
სხეულს, რომელსაც ნიღაბით შემოიხსნიდა  
ძალაგამოცლილ ლექსებიდან სიტყვების ლიბოდ.

სათაური: დაკარგული ხელნაწერები  
ქვესათაური: დაკარგული კი არა,  
არდაწერილი ჩანაწერები  
ნამდვილი სათაური: ვორდში აკრეფილი  
ჩანაწერების სეველა

ჩვენ მექანიკური ბავშვებით ვართ,  
ჩვენ რობოტი ბავშვებით ვართ,  
ჩვენ არ ვართ ბიოლოგიური ბავშვები,  
ჩვენ ბუნებრივი გზით არ გავჩენილვართ —  
ასე ჩავგავაგონებენ რეტროგრადები,  
მაინც ვართ...  
ვბევრდებით და სევდაც გვიბევრდება,  
ჩვენი ჩრდილებიც უკვე დაგრძელდნენ,  
და სიყვარულის დაბაცილებულ სტრიქონებში  
ბზარები გაჩნდნენ.

უთხარით ფურცლებს და სანერ კალმებს,  
ვინც მახვილი აიღო, მახვილითვე განიგმირების.  
ბატის ფრთის და შტილის სევდა დიდხანს გამოგყვით?!  
ქვაზე ნაკვეთივით დაივინყებენ ფურცლებზე ნანერს,  
ოღონდ ამაში ჩვენ წილი არ გვიძევს,  
ჩვენ მექანიკური ბავშვებით ვართ.  
ჩვენ გაუქმებული ნარსელების ნატვრა ვართ.  
ჩვენ შენი არნანატრი მომავალი ვართ,  
თუ არ გინდათ ჩვენი სიცოცხლე,  
მაშინ ადექით და საკუთარი მოისწრაფეთ რამენაირად.

ლუსანარა

არ მტკივა... მტვრიან გზატკეცილებს  
გააქვთ ტკარცალი,  
გზათა ტვერებში ტავერნები სოკოებს ჰგვანან,  
შეხედვა — გეზი, საგუმანო და დამქანცავი,  
ო, ლუხანერა, ზაფხული ხარ! ან ქალი განა?  
მომერეოდა განა ქალი, საზორველს, ტარიგს?  
მეხდაცემული ხეებიდან ცეცხლით დამდაგე-  
ვეომო როგორ, სამტრო მზერა მივავო რარიგ,  
შენს თბილ სხეულში აფეთქებულ ლალატს გადამდებს,  
მხრებზე სვირინგი გადგრახტავს თვალენბნამზეურს,  
მე ამ სალამოს ნალალატარს, ხრამის პირს მკლავენ,  
შენ, ლუხანერა, შავი შარფი გაამზეურე,  
კასტანეტები შეაბნიე შავგვრემან მკლავეებს.  
დედამინაზე სადმე, მაინც უნდოდა ფესვი,  
აქ დააშინეთ სამართი და მიწაში დაფლვით  
ჩემი სხეული, შენს ნატვრაში მთვლემარე ვეფხვი,  
და სისხლი შენი, ლუხანერა, მოცხარის თაფლი.  
ლაშის უყვარდი. ლუხანერა, მასაც უყვარდი,  
მსურხარ... ზურგს მაქცევს ახლა უფალიც,



ამ გზებს, შარავზებს გადათელვას იგი უქადის,  
შენ ქალღმერთი ხარ, სამზევე ხარ და დედუფალი.  
შეხედვა — გეზი, საგუმანო და დამქანცავი,  
ო, ლუხანერა, მომაგებე სიკვდილი წყნარად.  
შენს სისხლს და მტვრიან გზატკეცილებს  
გააქვთ ტკარცალი,  
აქ მოზიზივით ტავერნები სოკოებს ჰგვანან.

\*\*\*  
„ქრისტე ესპანელია“.  
მიგელ დე უნამუნო  
„ღმერთი ქართველია“.  
მე...

მელაპარაკე, ოღონდ ქართულად... ლაზარე მქვია,  
სიტყვები ახლა სანთლებით უნდა ავინთო.  
უდაბურ სინტაქსს, უში სიტყვის უდაბნოს ქვიანს  
გადავეგო და მხოლობითში მზესთან გაგრითმო.  
ვერ შემოგანვა ჩემზე ფიქრი ჯავრად, დარდებად,  
მზერას შეგინყო, სისხლის ფეთქვაც შენ შეგენოს,  
მე ის კრავი ვარ, არასდროს რომ არ გეკარგება,  
არ მოგინია კარდაკარ თუ ტყე-ტყე მეძიო.  
შენ მომისაჯე დღე და ღამე დახურულ კართან  
ყოფნა და ფიქრი, რაც არ იყო, რაც ვერ იქნება,  
ასგზის უწყალო, შენი ასგზის მფარველი კალთა,  
მარადიული პაემანი მარად ფიქრებთან.  
არ მომწყენია ზევით, ზევით ლოდის აზიდვა,  
მზესუმზირისფერს დღე და ღამე გითხზავ არაკებს,  
მთვარე ამოვა დაწერილი პეიზაჟიდან,  
სხვა ხსოვნა არ მაქვს და ქართულად მელაპარაკე.  
მელაპარაკე, ოღონდ ქართულად. მე ვარ ლაზარე,  
სიტყვები ახლა სანთლებით უნდა ავინთო.  
მოგიკვდები და გამაცოცხლებ, ისევე შევიძლებ  
ისევე გიგრძნო და მხოლობითში მზესთან გაგრითმო.

\*\*\*  
შემოიქნიეს ქურბებს კუდი,  
შემომისიეს ფოთლის ფიფქები,  
ეს შემოდგომა დაწყებას უდრის  
შენზე დარდის და შენზე ფიქრების.  
ნოემბრის ცივ-ცივ ქარებს ვაგროვებ,  
ყველა სიზმარი დილაში გადნა,  
მადროვე ახლა, ცოტა მადროვე,  
ოცნებების და სურვილის გარდა,  
ვისწავლო რამე, რომ აქვე დავრჩე,  
ფოთოლცვენების ავი სახადი  
რომ მოვიხადო, მადლობა გამჩენს —  
აპრილის სითბო მომყვა აქამდი.

\*\*\*  
დაგეცა გულზე ქარვისფერი ფოთლების ნვეთი,  
შემოდგომების უყვითლესი კოსმოგონია,  
ჩემში შემდორდი უსასრულო თვითმკვლელი ღმერთი  
და დასასრული დასაწყისი აღარ მგონია.  
ჩემი მწუხარე შემოდგომის ქარიან ამბით  
გლოვას ინყებენ ჩრდილებზე მთები,  
ალილია, ავაჟღერებ არფას და ბარბითს,  
ხამლიან ფეხებს შეგიმშრალე განწილ თმებით.  
გავყურებ, როგორ მიუყვები მდინარეს აღმა,  
ნოემბრის მკვდრის მზე მოგიყვანს ჩემთან,  
შენი ჯვარია, ჩემს თვალებს რომ ატყვიათ დაღად,  
სულის აღრჩევა, თუ ოქროს კვეთა.  
დაგეცა გულზე ქარვისფერი ფოთლების ნვეთი,  
შემოდგომების უყვითლესი კოსმოგონია,  
ჩემში შემდორდი უსასრულო თვითმკვლელი ღმერთი  
და დასასრული დასაწყისი აღარ მგონია.



ანი ბადალაშვილი  
რამდენიმე წამის,  
წუთის და თვის შემდეგ...

რამდენიმე წამის, წუთის და თვის შემდეგ...  
მე შევწყვიტე გახუნებულ ფურცლებზე წერა, ჩემი  
არეული ფერების თქვენთვის განდობა, ჩემი ფიქრების  
უცნაურად გადმოცემა...  
თვალეები გავახილე, როგორც ყოველთვის, პირველად  
ბორდოსფერი ფარდები დავინახე და მივხვდი, რომ ველ-  
არ ვწერდი, მენატრებოდა თითოეული სიტყვა, ასო —  
განსხვავებული განცდებით. მეორე წამს მივხვდი, რომ  
ნელ-ნელა დავიშლებოდი, აღარ ვიარსებებდი, რომ არა  
ჩემი თქვენთვის განდობილი გახუნებული ფურცლები.  
აი, ახლა ვწერ, ვწერ და ვწერ...  
...და იცით, მე ვივსები, ვიცვლები, გიახლოვდებით...  
სიახლოვის გარეშე ხო უღიმღამოა ჩვენი ოცნებები,  
რომელშიც პოტენციურ მოახლოებას განვიცდით... მოახ-  
ლოება ერთობ ცუდიცაა და კარგიც... მე ეს განვიცადე  
ჩემს პერსონაჟებთან ერთად... ეგოსტურად მიყვარდა  
მათი განმორება, შემდეგ კი ერთმანეთისკენ გადადგმუ-  
ლი ნელი თუ სწრაფი ნაბიჯები...  
იცით, ჩემ რეალურ გმირებს რომ ვუყურებ, ვხვდები,  
რომ ჩემს პერსონაჟებთან თან საერთო აქვთ, თან არა...  
იმის მიუხედავად, რომ რეალურობაში შექმნეს თავიანთი  
სცენარი, მე კი ეს ყველაფერი გახუნებულ ფურცლებზე  
გადმოვიტანე...  
ჩემთვის და თქვენთვის...  
წამების, წუთების და თვეების შემდეგ მე ისევ ვწერ...  
ჩემთვის და თქვენთვის...  
იცით, ერთხელ უცნობი, მაგრამ ამავდროულად  
საოცრად ნაცნობი ადამიანი დავინახე, რომლის უკითხა-  
ვაცა ჩემი ლურჯი კალმით ყოველდღე ვწერდი ჩემს გახ-  
უნებულ ფურცლებზე...  
შემდეგ?  
შემდეგ უკან გავყევი, ის წინ მიდიოდა, მე კი  
ვუთვალთვალე მის თითოეულ მანერას, გამოხედვას...  
მატარებელთან პირველი მივიდა, მეგონა გამასწრებ-  
და, თუმცა შევძელი და მის ვაგონში ამოყავი თავი.  
გვერდზე ვილაც ედგა, მასზე ოდნავ დაბალი, ერთმა-  
ნეთს კი რალაცით ძალიან გავდნენ. მას შემდეგ ბევრჯერ  
მხედვებან ქუჩაში, მე კი ისევ უკან მივყევი და ისევ ერთ  
ვაგონში ვხდებით. ამ მსგავსებას კი ყოველთვის ვამჩნევ...  
ეს კი მომწონს, რადგან ერთნაირი სასიამოვნო ფაქტების  
აღმოჩენა, ძალიან მახარებს...  
ჰო, სად ვიყავი?  
გამაფრთხილებელი ნარწერის მიუხედავად — „წუ  
მიეყრდნობით“ — მატარებლის კარებს მაინც ვეყუდებო-  
დი და იქიდან მოურიდებლად ვუყურებდი, სანამ არ შე-  
მამჩნევდნენ, შემდეგ წიგნს ვიფარებდი სახეზე და ისე  
ვუთვალთვალე...  
წამების, წუთების და თვეების შემდეგ შემაჩნის, მო-  
ვიდნენ და ჩემი გახუნებული ქალაქები თან წაიღეს, არ  
დამიბრუნეს და დაუდევრად მოექცნენ, რადგან მე მათ  
შესახებ დაუკითხავად ვწერდი ლურჯი კალმით...  
შემდეგ?  
შემდეგ დაბრუნდნენ და მითხრეს, რომ კვლავ განიც-  
დიდნენ იმ მოახლოებას, რომელიც მე მათ დავუწესე...  
ვიბრალე, ვიბრალე...  
ჩვეულებრივ მოკვდავს, რამხელა ნარმოდგენა უნდა  
ჰქონდეს საკუთარ თავზე, რომ ფიქრობდეს, ვინმეს რამე  
მან დაუნესა...  
მე კი ურცხვად გამოვართვი ჩემი დაკარგული ნივთე-  
ბი. ვაგონში, იქვე სკამებთან დაჯექი (იმ დროისთვის ად-  
გილი არ იყო) და კვლავ წერა გავაგრძელე — ჩემთვის და  
თქვენთვის...  
დიახ, დიახ, მათ გამო დაკარგული წამების, წუთების  
და თვეების შემდეგ...  
➔



ანი  
ბადალაშვილი

ფანჯარასთან...

ფანჯარისკენ მივინვე, რომლის ჩარჩო ყვითელი საღებავით შევღებეთ მე და ყვითელმა ისურვიანმა. მინის ნახევარი ნაწილი დაბურულია, ნახევარი კი გამჭვირვალე. კუთხეებში საღებავის კვალი ატყვია, აქა-იქ კი დაკანრულია. ფანჯარის მიღმა ნაძვის ხეები მოჩანს, მათ მიღმა მატარებელი, რომლის ხმაური ჩემ ძილს აფრთხობს. ბილიკზე, უპატრონო ძაღლებისთვის და კატებისთვის პურია მოგროვებული. მზე ცას თავის სიფერადეს მატებს, ყვითელგულა ჩიტებს ჟღერს და გააქვთ, თან ფრენით ირთობენ თავს, თავის მოვალეობას ასრულებენ. მე ყოველთვის ყვითელი ფერით ვიხედები ამ ფანჯარიდან, რადგან ამავე ფერის ჩარჩო არ მაძლევს საშუალებას, სამყაროს სხვა ფერით დავუნყო ყურება. რაფაზე ყვითელი ყვავილები აწყვია, რომელსაც წყალს ვუსხამ, შემდეგ იატაკზე ვუქებნი ადგილს და ვთავსდები რაფაზე. ხელებზე ყვითელი ფლომასტერით ფოთლებს ვიხატავ და კვლავ გარეთ ვიხედები, თან ყვითელ ადამიანებზე დაკვირვებებს ვახდენ. აი, ყვითელმა ისურვიანიც გამოჩნდა. როგორც ყოველთვის, კედლები დასვრია, ხელები კი საღებავით მოუთხუპნია. თვალები კი... თვალებს ვერ გავუგე — ხან ლურჯი აქვს, ხან ცისფერი, ხან კი სალათისფერი. მე კი მინდა ყვითლად ელვარებდეს, მაგრამ იშვიათად ხდება. ღიმილს ყვითელი ფერი ყოველთვის თან დაყვება... იცით, ადრე ის ნითელ მაისურს ატარებდა, მაგრამ შეიცვალა, აღარ მოსწონს ნითელი... მე კი ის არ მომწონდა ნითლად მოელვარე... მგონი, გატყუებთ, არა? ნითლად მოელვარეც მიზიდავდა, მაგრამ სადაც ეს ფერია, იქ სხვა ფერს არაფერი ესაქმება. მაჯებზე მოცეკვავე ლურჯი ფერის ვენების ნაცვლად, ყვითელი აქვს... და ჰო, ყვითელი აზრები...

როგორი ვარ მე?  
მეც ყვითელმა ისურვიანი ვარ, მეც სხვა ფერის თვალები მაქვს, თუმცა ჩემს თვალებში ყოველთვის შეამჩნევთ ყვითლის

ჩემი ფანჯარის ჩარჩო ყვითელია, მე კი ყველაფერს ყვითლად ვხედავ...  
ის კი ჩემით ხედავს ყველაფერს ყვითლად...

მტრელები

— ნამოხვალ?  
— სად?  
— ნამოდი! — ხორბლისფერ ხელს მკიდებს მკლავზე და წინ მირბის.  
— დამიცადე! — ვყვირი მე და წიგნებს სასწრაფოდ ვალაგებ ჩემს ყავისფერ ზურგჩანთაში.  
— დამენიე! — კვლავ გარბის. მის ლურჯ ყვავილებიან კაბას ნიაფი აფრიალებს, ნაბლისფერი თმა კი ზურგზე ლამაზად ეფინება.  
— მოფრინდი, მტრელებო, მოფრინდი! — ხელებს შლის და კისკისით გზას უყვება. კრემისფერი კედლის თასები ეხსნება, ორი ნუთით ყოვნიდება და კვლავ მტრელებთან ერთად განაგრძობს გზას.  
— ნინა! — გავძახი მე.  
— მალე, მალე! — ცალი ხელი ჩემკენ აქვს მომართული, ცალით კი მოლულუნე მტრელებს ეფერება.  
— სად მირბის? საით მიისწრაფის? მტრელები?  
— მტრელები, მტრელები... ჰო, ფერად-ფერადი მტრელები! თეთრი, ნაცრისფერი, მონითალო...  
— ნინა მათი ნაწილია, ჰო, ჩემი ნინა...  
— თუ არ ნამოხვალ, ჩემი მტრელები აღარ მივიღებ! — ამბობს და აივნიბიდან მომზირალ ხალხს უყურებს.  
— მერედა მტრელები რაში მჭირდება? — ვჩერდები, ხელზე გაკეთებულ სამაჯურს ვიხსნი და ისევ ვიკეთებ.  
— ისიც ჩერდება. წარმოგიდენიათ? ჩემს გამო გაჩერდა, ჩემს გამო მიატოვა მტრელები, მისი სულის ნაწილი, მისი თანამგზავრები...  
— წყლის ხმა გესმის? — მეკითხება და ვარდისფერი ყვავილებით გარშემორტყმულ ხეს ვყურებ.  
— მესმის!  
— რას გრძნობ? — ყავისფერ თვალებს არ მასწორებს...  
— როგორ მიყვარს ეს თვალები! გყვარებიათ ოდესმე ასე ძლიერ თვალები? ერთხელ მეკითხეს, სიყვარულის თუ გნამთო? მე კი თვალების სიყვარული მწამს. ეს ორი ყვავილი როცა გიყვარს, მაშინ ცოცხალი არსების ყველაფერი გიზიდავს... მისი ჟოლოსფერი ბავებები, ცისფერი ხაზებით შეღებილი მაჯები...  
— სიმშვიდე და რაღაც ამოუცნობს...  
— გაურკვევლად ვპასუხობ მე.

— მტრელები... — გვერდზე მიღება ის — სიმშვიდეა, რწმენაა, სიკეთეა, სიყვარულია, ღიმილია, ბედნიერებაა, სუფთა სულია, სამოთხეა... — თეთრი მტრედი ხელზე აჯდება და წინას ღიმილსაც იმსახურებს, — ეს კი ჩვენი, ადამიანების საგანძურია!..  
— ნამოხვალ? — თითქოს მოვლენა მეორდებაო, კვლავ ხელს მკიდებს.  
— თუ არ ნამოვალ, ჩემს საგანძურს ვერ მივიღებ! — ვპასუხობ და მივრბივარ წინასთან და მტრელებთან ერთად.  
— მტრელები, მტრელები... ნინა მათი ნაწილია, ნინასი და ჩემი...

თურმე სიზმარი არ ყოფილა

ჰო, თურმე სიზმარი არ ყოფილა... ანდა ჩემი ცხოვრება როგორ შეიძლება სიზმარი ყოფილიყო? ეს რეალობა იყო: ჩემი შეცდომები, გასაჭირი, ბრჭყვიალა წუთები...  
კი მაგრამ, როდის იყო ბრჭყვიალა წუთები? მაშინ, როდესაც საროსკიპოდან წამოსული მემძვის სხეულს ვხატავდი თუ მაშინ, როდესაც ჟანა კავიციანი? ჩემი სული არ ყოფილა ვარსკვლავებით მოჭედული ცა, არც საფრანგეთი, არც ვენეცია, არც ჩემი სახლი...  
— დიახ, არაფერი ყოფილა აკვარელივით ფერადი...  
— დიახ, მე ამაღეო მოდილიანი ვარ...  
— ჯონ, როგორც ყოველთვის... — და თეთრ უნიფორმაში გამოწყობილი ბიჭმა მონითალო სითხით გამივსო ჭიქა.  
— აი, ესაა ჩემი ცხოვრება... სასმელი ჩემი შინაგანი სამყაროა, გარესამყარო სადღა დაიკარგა? ამ ჭიქის მეშვეობით ვიძირები შავ-ბნელ ოკეანეში, საკუთარ მემოც...  
— მხატვრებო, ხმა მომანვედინეთ!  
— პიკასო, როგორ ფიქრობ, ამ სახლის მეპატრონეც გამაგდებს აქედან?  
— ეს არ დაკარგო... — მანიშნა ნახატზე.  
— და დაიკარგა, დაიკარგა ბევრი ქალი; ჟანას ლამაზი ნაკეთები...  
— გალიაში ვარ გამომწყვდეული — მიშველეთ...  
— პარიზი ერთადერთი ქალაქია, სადაც მუშაობა შემიძლია...  
...და შემიძლია ლუქსემბურგის სკვერში უფასო სკამზე დავსხდეთ მე და ჟანა...  
— ჟანა, ჟანა, ჟანა...  
— რატომ მაქვს პორტრეტზე მხოლოდ ცალი თვალი? — მეკითხა სიურვაჟმა.  
— იმიტომ, რომ შენ ცალი თვალით უყურებ ქვეყანას. მეორე თვალით საკუთარ თავში იხედები.  
— გაიგეთ, ხალხნო, როცა შევიცნობ სულს, მაშინ დავხატავ თქვენს თვალებს!  
— კალამს ვიღებ და ვაგდებ — ქანდაკებას ვუყურებ, თვალს ვარიდებ, ფუნჯს ვიღებ და...  
— ფუნჯს ვიღებ და დრო ჩერდება, ვიკარგები, ვიძირები, დავფრინავ...  
— რა საამო სურნელი აქვს საღებავს...  
— რაღაცის თუ ვიღაცის სურნელს მაგონებს...  
— სიზმარის სურნელს, რომელიც ცხადია, რეალურია...  
— ვდებ ფერებში მოცეკვავე ფუნჯს...  
— სურნელიც სადაც ქრება...  
— მოდისთან — ამ სახელთან — არაფერი გაქვს საერთო, შენ ძალიან გიყვარს ადამიანები...  
— ამას თქვენ წყვეტთ, მოდი დემონს ნიშნავს...  
— შენ სულაც არ ხარ დემონი!..  
— უკან გაბრუნდი, ფუნჯი ავიღე, მოლბერტს შევხედე და...  
— ოცდათხუთმეტი, ოცდათხუთმეტი, ოცდათხუთმეტი...  
— აღარ ვარ ჩემს სახლში, აღარ ვარ ვენეციაში, აღარ ვარ ლამის პარიზში...  
— მე — ამაღეო მოდილიანი — იმ ქვეყნად ვარ ოცდათხუთმეტი წლისა...  
— თურმე სიზმარი არ ყოფილა...

